თათია ბილისეიშვილი

ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორები, როგორც სიღარიბის შემცირების საფუძველი

(მონოგრაფია)

თბილისი
2023

Tatia Biliseishvili

Inclusive Business-Incubators as a Basis for Poverty Reduction

(Monograph)

TBILISI
2023

UDC (უაკ): 338.22
ბ-676

ბილისეიშვილი თ., _ **ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორები, როგორც სიღარიბის შემცირების საფუძველი.** (მონოგრაფია) - თბილისი 2023 გვ. 140.

წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილულია ინკლუზიური ზრდის მიღწევის გზები, ეკონომიკის (მ.შ. ბიზნესის) ინკლუზიური ზრდის დახასიათება, მეცნიერები ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების და სიღარიბის დაძლევაში მათი როლის შესახებ, უმუშევრობის და სიღარიბის მდგომარეობა და მათი ტენდენციები საქართველოში, ცხოვრების დონე და შემოსავლების უთანასწორო განაწილება საქართველოში, წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში მოსახლეობის ცხოვრების დონის და ახალგაზრდა ლტოლვილების ბიზნეს-ინკუბატორში სწავლებისთვის მზადყოფნის გამოკვლევა, საქართველოს რეგიონებში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების არსებული ჩარჩო - მოდელის შეფასება და ტრანსფორმირება, წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნება-ამუშავების კონცეფციის შემუშავება.

წიგნი განკუთვნილია ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორან-ტურის კურსის მსმენელთათვის, პროფესორ მასწავლებლებისათვის. იგი აგრეთვე დიდ დახმარებას გაუწევს ფისკალური დეცენტრალიზაციის საკითხების შესწავლით და გაცნობით დაინტერესებულ სხვა პირებსაც.

მეცნიერ-რედაქტორი: პროფესორი **ვალერი მოსიაშვილი**

რეცენზენტები: : პროფესორი **გიორგი ცაავა**
ასოც. პროფესორი **ნინო სამჭკუაშვილი**

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა), გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება ავტორთა წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

© გამომცემლობა „ეკგი“ 2023
ISBN 978-9941-8-5721-8

რეზიუმე

მონოგრაფიული ნაშრომი-,,ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორები, როგორც სიღარიბის შემცირების საფუძველი“-შედგება შესავლის, სამი თავის და დასკვნისგან.

შესავალში წარმოდგენილი გვაქვს გამოსაკვლევი პრობლემის აქტუალურობა, კვლევის საგანი და ობიექტი, მიზანი და ამოცანები, პრობლემის დამუშავების დღევანდელი დონე, კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები და სიახლეები და სხვა.

მონოგრაფიული ნაშრომის პირველ თავში -,,ბიზნეს-ინკუბატორების არსი და მათი როლი ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდაში“ სამ ქვეთავად გვაქვს დამუშავებული. პირველ ქვეთავში-,,ეკონომიკის (მ.შ. ბიზნესის) ინკლუზიური ზრდის დახასიათება“ განხილული გვაქვს ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის არსი, ეკონომიკურ ზრდასთან მისი შედარება და ნაჩვენები გვაქვს მისი უპირატესობები ამ უკანასკნელთან შედარებით. ამავე ქვეთავში ვსაუბრობთ თუ როგორ ამცირებს სიღარიბეს შემოსავლების უთანასწორო განაწილების შემცირება და ვიზიარებთ სხვადასხვა მეცნიერების შეხედულებას ინკლუზიური ბიზნესისა და სოციალური მეწარმეობის მსგავსებაზე.

მეორე ქვეთავში-,,ინკლუზიური ზრდის მიღწევის გზები”–ინკლუზიური ზრდის მიღწევის გზებად ჩათვლილი გვაქვს: დასაქმება, ახალი სამუშაო ადგილები, ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და სხვა. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მის მისაღწევად საქართველოში საჭიროდ ჩავთვალეთ: ხარისხიან განათლებაზე თანაბარი ხელშეწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სწავლება, განათლების

მუდმივი სრულყოფა და პროგრამების დახვეწა და სხვა. ამის გარდა, ამავე ქვეთავში ნაჩვენები გვაქვს საქართველოს ადგილი მსოფლიო ინკლუზიური ზრდის რეიტინგში. აღნიშნული გვაქვს მისი პოზიციების გაუმჯობესება, მაგრამ მიღწეული საკმარისად არ გვაქვს ჩათვლილი.

მესამე ქვეთავში განვიხილეთ ცალკეული მეცნიერების - შ. მაჭავარიანის, ზ.ღუდუშაურის, ე.ბალიაშვილის და აგრეთვე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების (NBIA, SPCA და სხვები) შეხედულებები ბიზნეს-ინკუბატორებზე და მათ როლზე სიღარიბის დაძლევაში. აღვნიშნეთ ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებები და მათი შესრულების დღევანდელი შედეგები.

მონოგრაფიული ნაშრომის მეორე თავი- ,,საქართველოში (მ.შ. წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში) მოსახლეობის სიღარიბის და ცხოვრების დონის ანალიზი“-სამ ქვეთავად გვაქვს დამუშავებული. პირველ ქვეთავში ,,უმუშევრობის და სიღარიბის მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები საქართველოში’’-ავსახეთ უმუშევრობის დონე, რომელიც მართალია წლიდან-წლამდე მცირდება (2008 წელს 17,9%, 2019 წელს ძველი მეთოდოლოგიით 11,5%, ახალი მეთოდოლოგიით-17.6%), მაგრამ მაინც მაღალია (ზოგიერთ რეგიონში კიდევ უფრო მაღალი: თბილისში 17.7%, ქვემო ქართლში-14.6%), აბსოლუტური სიღარიბე (2019 წელს-19.5%), 100 ლარ თვიურ შემოსავალზე მყოფი ადამიანების მაღალი ხვედრითი წილი (16%, ანუ 191 ათასი ადამიანი) და ა.შ.

მეორე ქვეთავში წარმოვადგინეთ საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონე და უთანასწორობა შემოსავლებში, ანუ ჯინის კოეფიციენტი, რომელიც ასევე წლიდან-წლამდე იკლებს (ხარჯების მიხედვით 2008 წელს-

0.40, 2019 წელს-0.37), მაგრამ კრიტიკულ ზღვართან მაინც ახლოსაა, და, ღარიბი მოსახლეობის შემოსავლების ასამაღლებლად საქართველოს მთავრობის მხრიდან ქმედით ღონისძიებების გატარებას საჭიროებს. რაც შეეხება შემოსავლებს, დასაქმებულთა ხელფასი ზრდადია და თვეში 1000 ლარს აღემატება, მაგრამ საშუალო სულადობრივი შემოსავალი არის ძალიან მცირე - საშუალოდ 300-330 ლარი, და, იგი მხოლოდ 4-5 ლარით აღემატება თვიურ ხარჯებს. მცირედით უფრო უკეთესია თბილისის მაჩვენებლები, დანარჩენი რეგიონები კი კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან. ცხადია ასეთი შემოსავლებით საქართველოს მოსახლეობა სიღარიბის ზღვარზეა.

მეორე თავის მესამე ქვეთავი მივუძღვენით წეროვანის დასახლებაში მოსახლეობის ცხოვრების დონის და ბიზნეს-ინკუბატორში სწავლებისთვის ახალგაზრდა ლტოლვილების მზადყოფნის გამოკვლევას. ეს კვლევა ჩავატარეთ 80 ოჯახში და მათი შემოსავლების შესწავლით დავადგინეთ, რომ მათი საშუალო სულადობრივი თვიური შემოსავალი მხოლოდ 395.8 ლარია, გამოკითხულთა 72.5% ანუ 57 ოჯახი ღარიბია, 7.5 %, ანუ 6 ოჯახი ღატაკი, ხოლო 20% ანუ 17 ოჯახი საშუალოდ შეძლებული. წეროვანის დასახლებაში შემოსავლების უთანასწორობის კოეფიციენტი 0.33-ია, მაგრამ ეს არ ნიშნავს კარგ მდგომარეობას. ეს მაჩვენებელი იმიტომაა ამ დონის, რომ, აქ თითქმის ყველა ღარიბია, აქ მდიდრები არ ცხოვრობენ, და, ცხადია უთანასწორობა შემოსავლებში მკვეთრი არ არის. მონოგრაფიული ნაშრომის მეორე თავის ბოლოს გავაკეთეთ დასკვნა, რომ, როგორც წეროვანის ლტოლვილ მოსახლეობაში ისე საქართველოს რეგიონებში, სიღარიბეა შესამცირებელი. ამის მისაღწევად ამ მოსახლეობის დასაქმებაა საჭირო.

ნაშრომის მესამე თავი-,,საქართველოში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების პერსპექტივები“ ორ ქვეთავად დავყავით. პირველ ქვეთავში წარმოვადგინეთ საქართველოს რეგიონებში ბიზნეს-ინკუბატორების განვითარება-გავრცელების არსებული ჩარჩო-მოდელის შეფასება, მეორე ქვეთავში კი წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნება-ამუშავების ჩვენეული კონცეფცია.

პირველ ქვეთავში ჩვენ წარმოვადგინეთ და კრიტიკულად შევაფასეთ ,,ბიზნესის განვითარების და ბიზნესმენთა უფლებების დაცვის ასოციაციის“ მიერ 2004 წელს შემუშავებული ასეთივე დასახლების კონცეფცია. ჩვენი კრიტიკა შეეხო როგორც ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების ეტაპებს (ნაცვლად 6 ეტაპისა უნდა იყოს 10 ეტაპი) ისე ვადებს, ისე ინკუბატორების დაკომპლექტებას და მრავალ სხვას. ჩვენი ღრმა რწმენით ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორში უნდა ვასწავლოთ მოსახლეობის მოწყვლად ფენებს-ღარიბ-ღატაკებს, დაუსაქმებლებს, ლტოლვილებს, შრომის უნარშეზღუდულებს, ანუ იმათ, ვისაც ბიზნესის დამოუკიდებლად სწავლის სახსრები არ გააჩნია. დავაყენეთ საკითხი, იმის შესახებაც, რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავოს კანონი ,,მცირე ბიზნესის და ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების შესახებ“, საქართველოს მეწარმეობის სააგენტომ შეიმუშავოს ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების გასახსნელი ტიპიურ დოკუმენტთა პაკეტი, საქართველოს მთავრობამ დაავალოს მერიებს და მუნიციპალიტეტებს შექმნან ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების დამფუძნებელი მუშა გუნდები და შეიმუშაონ პროგრამები და მრავალი სხვა. საქართველოს ცალკეულ რეგიონებისთვის ჩვენ შევიმუშავეთ მათთან დასაფუძნებელი ბიზნეს-ინკუბატორების პროფილები:

რაჭა-ლეჩხუმში-ტურიზმი, მესაქონლეობა, მინერალური წყლების ჩამოსხმა, გურიაში-სოფლის მეურნეობა (ჩაის და თხილის ბიზნესი), აჭარაში-მეციტრუსეობა, ტურიზმი, მეთამბაქოება, მესაქონლეობა და ა.შ. ასე განვითარებულ ბიზნეს-ინკუბატორებში ღარიბი მოსახლეობა ბიზნესს დაეუფლება და თავის თავს თვითონ დაასაქმებს. ამ გზით საქართველოს მოსახლეობა თანდათან გამოვა სიღარიბიდან.ჩვენი აზრით, ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორებში წინა პლანზე უნდა წარმოვაჩინოთ აგრობიზნესი, რადგან სასოფლო პროდუქციის წარმოების პოტენციალი საქართველოს ყოველთვის ქონდა და დღესაც აქვს. ასეთ დროს საქართველოში სასურსათო პროდუქტების 80% უცხოეთიდან შემოდის. ჩვენი ასეთი დამოკიდებულება უცხოეთზე განსაკუთრებით შემაშფოთებელია დღევანდელ პანდემიის პირობებში. პანდემია აუცილებლად მოითხოვს მომხმარებლური ეკონომიკიდან საქართველო გადავიდეს მწარმოებლურ ეკონომიკაზე.

მონოგრაფიული ნაშრომის მესამე თავის მეორე ქვეთავში შევიმუშავეთ და წარმოვადგინეთ წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნება-ამუშავების ჩვენეული კონცეფცია. მან მოიცვა 30 ლტოლვილი, რომლებიც ინკუბატორში პირველ წელს ისწავლიან ბიზნესს, ხოლო მეორე წელს დააფუძნებენ მიკრო ან მცირე საწარმოს. ნაშრომის ამ თავში გამოანგარიშებული გვაქვს ინკუბატორის დაფუძნება-ამუშავების სამუშაოთა შესრულების და ლტოლვილ ბენეფიციართა სწავლების ხარჯები, რომელიც უნდა დაიფაროს მცხეთის მუნიციპალური ბიუჯეტიდან. ამასთან გამოთვლილი გვაქვს ის სავარაუდო ეკონომიკური და სოციალური ეფექტი, რომელსაც ამ ღონისძიებების გატარებით მიიღებს მცხეთის მუნიციპალიტეტიც და წეროვანის ლტოლვილი მოსახლეობაც.

Resume

The monograph "Development of the Network of Inclusive Business-Incubators as a Basis for Poverty Reduction" consists of an introduction, three chapters and a conclusion.

The introduction introduces the urgency of the problem to be researched, the subject and object of the research, the goal and objectives, the current level of the problem, methods and methodology, results and news, etc.

The first chapter of the research: ”The Essence of Business-Incubators and their Role in Inclusive Economic Growth" has three subsections. First subsection- “Characterization of Inclusive Growth of Economy (Business)” reviews the essence of inclusive economic growth, its comparison with the economic growth, shows its advantages compared to the latter. This subsection also reviews poverty, unequal distribution of income and we share the opinions of various scientists for reducing the poverty.

The second chapter: “Ways to Achieve Inclusive Growth and their Relationship with Business-Incubators” considers several ways for inclusive growth: employment, new workplaces, investments in human capital and etc. Among them, we paid special attention to the development of human capital and in order to achieve it, it is necessary to provide equal support for qualified education in Georgia, teaching focused on labor market requirements, continuous improvement of education, modification of programs and etc.

In the third subsection, we review the opinions of some scientists Sh. Machavariani, Z. Ghudushauri, E. Baliashvili as well as various international organizations (NBIA, SPCA and others) about inclusive business-incubators and their role in poverty alleviation. We noted the commitments made by the Government of Georgia in this direction and the current results

of their implementation.

The second chapter of the monograph: ”The Analysis of the Level of Poverty and Standard of Living of Georgian Population (according to Tserovani Refugee Settlement)” consists of three subsections. The first subsection- “Unemployment and Poverty and Development Trends in Georgia” reflects unemployment level which reduces from year to year (2008-17.9%, 2018-12.7%), but still remains high, in some regions it is higer, e.g Tbilisi (17.7%),Kvemo Kartli (14.6%), absolute poverty (19.5 % in 2019) large amount of people with monthly salary of 100 Lari and less (16% of those with declared salary income, 191,000 people) and etc.

The second subsection presents unequality in the incomes of Georgian population which reduces from year to year (according to total consumer spending, 2008-0.40,2009-0.37) but it is still close to the credit line and the Georgian government needs to take effective measures to increase the incomes of the population. As for income, the salary of employees is increasing and exceeds 1000 GEL per month. But the average annual income is very small - on average 300-330 GEL and it is only 4-5 GEL higher than the monthly expenses. Tbilisi is in a better condition, other regions are in even worse conditions. It is clear that with such incomes, the population of Georgia is in poverty.

The third chapter of the second chapter is dedicated to the study of the living standards of the population in Tserovni Settlement and the readiness of young refugees to study in a business incubator. We conducted this survey among 80 households and by studying their incomes we found that their average monthly income is 395.8 GEL. 72.5% or 57 families are poor, 7.5% or 6 families are poorer, and 20% or 17 families are average wealthy (they have family members in emigration and receive remittances from there). The income inequality

coefficient in Tserovni Settlement is (Gini coefficient) 0.33, but this is not a good situation. This figure is at this level because almost everyone here is poor, the rich do not live here and the income inequality is not sharp.

At the end of the second chapter of the monograph we made a conclusion that the poverty should be decreased both in Tserovani Refugee Settlement and in Georgian regions . This will be reached if these people are employed. This should apply to all refugees who are able to work in Tserovani. If these people are employed, they will get proper incomes and the government will no longer need to provide them with refugee benefits from the budget.

The third chapter of the monograph – “Development Perspectives of Inclusive Business-Incubators in Georgia” is divided into two subsections. The first subsection introduces the model of spreading and development of business-incubators in Georgian regions, the second subsection offers our concept of establishment and working of buisiness-incubators in Tserovani Refugee Settlement.

In the first subsection, we present and critically evaluate the concept of a similar settlement developed in 2004 by “the Association for Business Development and the Protection of Businessmen's Rights”. Our critique focused on the development stages of business incubators (instead of 6 stages there should be 10) as well as deadlines, staffing of incubators and many others. We believe that, in inclusive bisiness-incubators, we should teach poor people, unemployed ones, refugees, people with disabilities and similar ones,or those who do not have the resources to study business independently. We have raised the issue that the Government of Georgia should develop a law "On the Development of Small Business and Inclusive Business-Incubators", Georgian Entrepreneurship Agency should develop a package of typical documents for

opening inclusive business-incubators, Georgian government should instruct city halls and municipalities to establish Programs and many more. After taking the natural-climatic conditions in all regions of Georgia and the traditions of the population into account, we have developed acceptable profiles of business-incubators to be established with them: Racha-Lechkhumi-tourism, cattle breeding, bottling of mineral waters, Guria - agriculture (tea and hazelnut business), Adjara - citrus, tourism, tobacco, cattle breeding, etc. In such business incubators, the poor population will establish a business and employ themselves. In this way, the population of Georgia will gradually get out of poverty.

We believe that, in inclusive business-incubators, we should highlight agribusiness.Georgia always had and still has potential to produce agruicultural products. In these conditions, 80% of food products are imported in Georgia. Such attitude towards foreigners is especially developed in the conditions of today's pandemic. The pandemic necessarily requires Georgia to move from a consumer economy to a productive economy.

In the second subsection, we presented our concept about establishment and working of business-incubator in Tserovani Refugee Settlement. It includes 30 refugees, on the first year, they will study and on the second year, they will establish micro or small enterprise. In this chapter, we have calculated the schedules of the works for establishment and development of the incubator and training of refugee beneficiaries, incubator costs which should be covered by Mtskheta Municipality Budget. Furthermore, we have calculated the social and economic effects that Mtskheta Municipality and the population of Tserovani Refugee Settlement will receive through these measures.

The monograph ends with a conclusion.

შესავალი

თემის აქტუალურობა: საკვლევად აღებული თემის აქტუალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში ბიზნეს-ინკუბატორების განვითარებას მეცნიერები მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან მექანიზმად მიიჩნევენ. მათგანვე ცნობილია, ისიც რომ ბიზნეს-ინკუბატორები 20-ჯერ და მეტად აჩქარებენ მცირე საწარმოთა განვითარებას და 20%-ით ამცირებენ ბიზნესში წარუმატებლობის შემთხვევებს. ამ დასკვნებს მეცნიერები აკეთებენ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისიდან ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში-ჩეხეთში, პოლონეთში, უნგრეთში, რუმინეთში და ბულგარეთში მასიურად გახსნილ ბიზნეს-ინკუბატორების შედეგებით. მაშინაც და ახლაც, ამ ქვეყნებში ახლად გახსნილ მიკრო, მცირე, თუ საშუალო საწარმოებს, რომლებსაც პრობლემები აქვთ ბიზნესის გაძღოლაში, ბიზნეს-ინკუბატორში ასწავლიან მათ დაძლევას, ამასთან უფასოდ უწევენ ინჟინერინგულ, ინფორმაციულ, მარკეტინგულ, ბუღალტრულ და სხვა მომსახურებას, გადასცემენ ახალ ტექნოლოგიას, ფულად კრედიტს და მრავალ სხვას.

ამ საქმიანობით ბიზნეს-ინკუბატორები დამწყებ ბიზნესმენს ფეხზე აყენებენ, ამაღლებენ მის საქმიან აქტივობას და სათანადო ბიზნეს-განათლების გადაცემით უნერგავენ რწმენას, რომ ის შემდგომში წარმატებით გაართმევს თავს დაწყებულ საქმეს.

საბაზრო ეკონომიკაზე საქართველო ევროპის ზემოთჩამოთვლილ ქვეყნებთან ერთად გადავიდა, მაგრამ ბიზნეს-ინკუბატორები საქართველოში არ გახსნილა (90-იან წლებში ქარხანა ,,ელექტრო ხელსაწყოებში“ იყო ამის მცდელობა, მაგრამ იგი დაფინანსების არქონის გამო, უშედეგოდ დამთავრდა). ასე რომ, საქართველოში ბიზნესის დაწყებას და განვითარებას საქართველოს მოსახლეობა სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. ვიღაცამ მაინც დაიწყო ბიზნესი და გაუმართლა (იღბლიანი გამოდგა). მისი მაგალითით სხვებმაც დაიწყეს ბიზნესი და გაკოტრდნენ. გაკოტრებულები მეტი აღმოჩნდნენ გადარჩენილებთან შედარებით და დაიწყო უმუშევრობა და სიღარიბე. ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ გადასარჩენად ემიგრაციის გზა აირჩია. ეს არ მოხდებოდა, რომ საქართველოს მაშინდელ მთავრობას ყველა რაიონში თუ არა, ყველა ქალაქში მაინც, პოლონეთის, ჩეხეთის თუ უნგრეთის დარად, ბიზნეს-ინკუბატორები გაეხსნა და ბიზნესის სწავლის მსურველებისთვის უფასოდ ან მათთვის მისაღებ ფასად ესწავლებინა ბიზნესი და საწარმოს გახსნა-ამუშავებაში დახმარებოდა. სამწუხაროა, მაგრამ ეს მაშინ არ მოხდა. არ მოხდა შემდგომშიც, როდესაც საქართველოს მთავრობამ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში დიდი წარმატების მქონე პოლონეთის პრემიერ მინისტრი ბალცეროვიჩი მოიწვია პრეზიდენტის მრჩეველად რეფორმებში რჩევების მისაცემად. ბალცეროვიჩის ერთ-ერთი რჩევა იყო მცირე ბიზნესის დაჩქარებული განვითარება ბიზნეს-ინკუბატორების მეშვეობით. საქართველოს მთავრობამ ეს რჩევაც არ

განახორციელა. ეს იყო 2001 წელს.

საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ („ქართული ოცნება" გვაქვს მხედველობაში) ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ბიზნეს-პარკების, ბიზნეს-ცენტრების, ბიზნეს-ინკუბატორების, ტექნოლოგიური პარკების და სხვათა მასიური მშენებლობა, მაგრამ ყველა ისინი უახლეს ინოვაციებზე საქართველოს გადასასვლელად არიან გამიზნული და მათი მუშაობის პროგრამები ახალი ტიპის ტექნოლოგიებზეა ფოკუსირებული. ეს მიზანი გრძელვადიანია. როცა ეს ვადა გავა, ეს პროგრამებიც უპირობოდ მაღალ შედეგებს მისცემს ქვეყანას, მაგრამ რა ქნას დღეს მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელიც სიღარიბის ზღვარზეა (ასეთი კი 70-80 %-ია)? მათ სახელმწიფო ვერ ასაქმებს, თავად კი არ აქვთ ბიზნეს-განათლება, რომ ბიზნესი დაიწყონ და თვითონ დაისაქმონ თავისი თავი. ეს პრობლემა საქართველოში მეტად მწვავედ დგას. ამიტომ არის ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორის გახსნის თემა აქტუალური. საქართველოში ასეთი ინკუბატორები უნდა გაიხსნას ტექნოლოგიური ბიზნეს-ინკუბატორების პარალელურად და მათი მიზანი უნდა იყოს მოსახლეობის მოწყვლადი ფენისთვის-ღარიბები, შრომის უნარშეზღუდულები, მიგრანტები და სხვები-ბიზნესის სწავლება და ამ გზით მათი სიღარიბის შემცირება. ნაშრომში ეს საკითხი გვაქვს საფუძვლიანად დასაბუთებული.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საქართველოს მოსახლეობის სიღარიბის შესამცირებლად ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების როლის

გამოკვლევა და რეკომენდაციების შემუშავება მათი მასიური განვითარება-გაფართოებისთვის.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში დასახული და გადაწყვეტილი გვაქვს შემდეგი ამოცანები:

ქვეყნის ინკლუზიურ ზრდაზე ბიზნეს-ინკუბატორების როლის შესახებ მეცნიერთა შეხედულებების შედარება-შეჯერება და ავტორისეული შეფასება;

საქართველოში უმუშევრობის და სიღარიბის არსებული მდგომარეობის და ტენდენციების გამოკვლევა;

საქართველოში, კერძოდ, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ლტოლვილთა წეროვანის დასახლების მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზი;

წეროვანის დასახლების ახალგაზრდა ლტოლვილების მზადყოფნის გამოკვლევა ბიზნეს-ინკუბატორში ბიზნეს- განათლების მისაღებად;

საქართველოში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების კონცეპტუალური ჩარჩო-მოდელის შედგენა;

წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

კვლევის საგანი და ობიექტი. მონოგრაფიული ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს ბიზნეს-ინკუბატორების განვითარება საქართველოში, ხოლო კვლევის ობიექტს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ლტოლვილთა წეროვანის დასახლებაში ბიზნეს-ინკუბატორის ორგანიზება, მთელ საქართველოში მისი განზოგადების რეკომენდაციით.

კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევა არის არა ფუნდამენტალური ხასიათის, არამედ გამოყენებითი ხასიათის, ანუ ჩვენი კვლევის შედეგი მის პრაქტიკულ გამოყენებას გულისხმობს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენ ინკუბატორების სფეროში ახალი ცოდნა კი არ შევქმენით, არამედ ამ სფეროში არსებული ცოდნის (მოდელები, პრინციპები, პროდუქტები, ტექნოლოგიები და სხვა) საქართველოში, მ.შ. წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში პრაქტიკულად დანერგვის ცდა წარმოვადგინეთ. კვლევის ამ თავისებურებიდან გამომდინარე, შეირჩა კვლევის მეთოდებიც. სადირსეტაციო თემაზე მუშაობისას გამოვიყენეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდები და ხერხები. კერძოდ: შედარება და დაკვირვება, ეკონომიკური ანალიზი, ანკეტირება და შემთხვევის ანალიზი (იგივე წერტილოვანი ანალიზი), ბუდობრივი შერჩევა და პროგნოზირება.

შედარების მეთოდი ჩვენ გამოვიყენეთ მონოგრაფიული ნაშრომის პირველ თავში (1.3), როდესაც ერთმანეთს შევადარეთ ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორებზე და ზოგადად ინკლუზიურ ზრდაზე სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებები. ერთმანეთს შევადარეთ ამ საკითხების ირგვლივ მეცნიერების სამადაშვილის, ღუდუშაურის, შაბურიშვილის, ბერიძის, რანიერის, ხადურის, ბარროს და სხვათა შეხედულებები.

დაკვირვების მეთოდი გამოიყენება ორი ან მეტი ფაქტის, მოვლენის ან შეხედულების შესასწავლად. კვლევის მეთოდების სპეციალისტები მოვლენებზე და

ფაქტებზე დაკვირვებებს აღწერებსაც უწოდებენ . დაკვირვებისას ორი ან მეტი ცვლადი (ფაქტი, მოვლენა) შეისწავლება, აღიწერება და შემდეგ აიხსნება. დასაბუთებული ახსნა აუცილებლად მოითხოვს მათზე ერთდროულ დაკვირვებას. იგი დაგვეხმარა უშუალოდ დაგვეფიქსირებინა ჩვენთვის საინტერესო მოვლენები, კერძოდ სიღარიბის და ცხოვრების დონის ამსახველი მაჩვენებლები. ჩვენს მიერ ამ ინფორმაციის ამორჩევა და შეგროვება საქართველოსა და წეროვანის დასახლების ზონაში დაკვირვების მეთოდით ხდებოდა. ვიღებდით მხოლოდ რელევანტურ ინფორმაციას. არარელევანტული ინფორმაციიდან მის გარჩევაში სწორედ დაკვირვება გვეხმარებოდა. ეს პროცედურები ჩავატარეთ სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვებისას. ჩვენთვის ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო საჭირო ციფრებზე ყურადღების გამახვილება და მეორეხარისხოვან ინფორმაციაზე ყურადღების არ გადატანა. დაკვირვების მეთოდი გამოყენებული გვაქვს ნაშრომის მეორე თავის დამუშავებაში (გვ. 78-105).

ეკონომიკური ანალიზის მეთოდის გამოყენება მას შემდეგ არის საჭირო როდესაც დამთავრდება ინფორმაციის შეგროვების პროცედურა, ანუ დაკვირვების შედეგად ინფორმაციის ამორჩევა. იგი კვლევის პროგრამის რეალიზაციის ერთ-ერთი ეტაპია. სწორედ ამიტომ ეს მეთოდიც გამოყენებული გვაქვს მთლიანად ნაშრომის მეორე თავის შესრულებისას (გვ. 78-105). ამ მეთოდით ამ თავში შევაფასეთ მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში (გვ. 78-93) და

წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში (გვ. 99-105) შემოსავლების უთანასწორობის მაჩვენებელი და სხვა.

ანკეტირების მეთოდი გამოვიყენეთ წეროვანის ლტოლვილთა დასახლების მოსახლეობის ცხოვრების დონის, უმუშევრობის და სიღარიბის დონის შესწავლისათვის. სამიზნე ჯგუფად ავიღეთ 80 ოჯახი და მათი ოჯახის წევრები გამოვკითხეთ 11-მაჩვენებლიანი ანკეტით (გვ.96-99).

შემთხვევის ანალიზი(წერტილოვანი ანალიზი). შემთხვევის ანალიზი ერთი ობიექტის (ერთი ადგილის, მოვლენის) გამოკვლევას ნიშნავს. ჩვენს მიერ წეროვანის დასახლება ერთი ადგილია, ერთი წერტილია ლტოლვილთა სხვა დასახლებებს შორის. ჩვენ ის ავირჩიეთ ლტოლვილების კომპაქტური დასახლების გამო და ჩვენს მიერ ამ დასახლების შესწავლით გაკეთებულ დასკვნებს და რეკომენდაციებს ვთავაზობთ სხვა დასახლებებსაც და საერთოდ საქართველოს ყველა რეგიონს.

ბუდობრივი (კლასტერული) შერჩევის მეთოდის გამოყენება ჩვენს ნაშრომში გამოიხატება წეროვანის სამიზნე ჯგუფის ოჯახებით დაკომპლექტებაში. ოჯახი ერთგვარი ,,ბუდეა", კლასტერია. ასეთი შერჩევა ვამჯობინეთ წმინდა ინდივიდების შერჩევას, რადგან ოჯახის წევრთა გამოკითხვით კარგად დავინახეთ რამდენია მთლიანობაში ოჯახის შემოსავალი და რამდენ წევრზე ნაწილდება იგი.

პროგნოზირების მეთოდი. იგი იმაში გამოიხატება, რომ ნაშრომში შევადგინეთ როგორც მთლიანად საქართველოსთვის ისე წეროვანის ლტოლვილთა

დასახლებისთვის ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების სამომავლო მოდელი (თავი 3, გვ, 106-141).

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. ინკლუზიურ ზრდაზე ნაშრომები აქვთ ქართველ მეცნიერებს-ნ. ხადურს, რ. აბესაძეს, ე. ბერიძეს, უ. სამადაშვილს, რ. ასათიანს და სხვებს, ხოლო ბიზნეს-ინკუბატორებზე ზ. ღუდუშაურს, ე. ბალიაშვილს, შ. მაჭავარიანს და სხვებს. მათგან განსხვავებით, ჩვენს ნაშრომში არჩეულია საქართველოს ერთი გეოგრაფიული ადგილი, კერძოდ, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოფელ წეროვანის ლტოლვილთა დასახლება და ლტოლვილების სიღარიბის შესამცირებლად დასაბუთებული გვაქვს იქ ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნება და ამუშავება, რომლის განზოგადების რეკომენდაციას ვიძლევით საქართველოს მთელ რეგიონებზე.

კვლევის მეცნიერული სიახლეები სმონოგრაფიულ ნაშრომში შემდეგი სიახლეებია მოცემული:

ჩატარებულია ,,ბიზნესის განვითარებისა და ბიზნესმენთა უფლებების დაცვის ასოციაციის“ მიერ 2004 წელს შემუშავებული საქართველოს რეგიონებში ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის განვითარების ჩარჩო-მოდელის კრიტიკული ანალიზი და წარმოდგენილია მისი ტრანსფორმაციული ვარიანტი. დასახელებული მოდელის ტრანსფორმაცია საჭირო გახდა ორი მიზეზით: პირველი მიზეზი ეხება ინკლუზიურობის ნიშანს, რაც მაშინდელ ინკუბატორებს არ ახასიათებდათ, მეორე კი ეხება ბიზნეს-ინკუბატორში არა გარკვეული პრობლემების მქონე მოქმედი მეწარმეების შეყვანას, რასაც დასახლებული

ჩარჩო-მოდელი ითვალისწინებდა, არამედ ბიზნესის დაწყების სურვილის მქონე ადამიანებისას, რომლებიც უპირველესად დღეს, მოწყვლადი ფენის წარმომადგენლები ანუ ღარიბ-ღატაკები არიან.

ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნება-განვითარების ჩვენს მიერ შემოთავაზებული ჩარჩო-მოდელის საფუძველზე ნაშრომში შედგენილია მცხეთა-მთიანეთის რეგიონის წეროვანის ლტოლვილთა დასახლებისთვის ბიზნესის დაწყების მსურველ 30 ბენეფიციარზე ერთი ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორის მაკეტი. მასში გამოანგარიშებულია მათთვის ერთი წლით ბიზნეს-სწავლების და მიკრო ან მცირე საწარმოთა დაფუძნება-ამუშავების პირველი წლის ხარჯები, რომელსაც მცხეთის მუნიციპალიტეტი დააფინანსებს. აღნიშნული ხარჯები შედარებულია ამ ადამიანების იმ სოციალური შემწეობების თანხებთან, რასაც ისინი ასევე მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან იღებენ და დადგენილია შემოთავაზებული ღონისძიების ეფექტიანობა. ნაშრომში მსგავსი ღონისძიებების გატარების რეკომენდაცია მიცემული აქვთ საქართველოს სხვა რეგიონებსაც.

ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულება. ნაშრომში მოცემული კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და წინადადებები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საქართველოს მთავრობის მიერ როგორც წეროვანში, ისე ქვეყნის სხვა რეგიონებში (განსაკუთრებით დეპრესირებულ რეგიონებში), მოსახლეობის სიღარიბის შემცირების გზებად და საშუალებებად.

თავი 1. ბიზნეს-ინკუბატორების არსი და მათი როლი ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდაში.

1.1 ეკონომიკის (მ.შ. ბიზნესის) ინკლუზიური ზრდის დახასიათება

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ეტაპზე მეცნიერ მკვლევარები ინკლუზიური ზრდის ერთიან განმარტებაზე ვერ შეთანხმდნენ, იგივე მდგომარეობაშია ინკლუზიური ეკონომიკა და ინკლუზიური ბიზნესი. თუმცა, რადგან აუცილებელია ინკლუზიური ზრდის არსის გაგება, რათა შემდეგში უფრო გაადვილდეს ამ მიმართულებით მიზნების დასახვა და მათი შემდგომი განხორციელება, მოვიყვანთ ინკლუზიური ზრდის რამოდენიმე განმარტებას:

მსოფლიო ბანკის განმარტებით ეკონომიკური ზრდა ინკლუზიურია, თუ იგი უზრუნველყოფს ღარიბთა პირობების გაუმჯობესებას და მათ აქტიურ ჩართულობას ეკონომიკურ აქტივობაში. იმისათვის, რომ ზრდა იყოს ინკლუზიური, უნდა გაიზარდოს წარმოება და შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. აზიის განვითარების ბანკის განმარტებით კი, ეკონომიკური ზრდა ინკლუზიურია, თუ იქმნება შესაძლებლობები და იზრდება საზოგადოების ჩართულობა ეკონომიკურ აქტივობაში.

ინკლუზიური ზრდის პოლიტიკის საერთაშორისო ცენტრი მიიჩნევს, რომ ინკლუზიური ზრდა არის, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, სიღარიბის დონის და უთანასწორობის შემცირება, მოსახლეობის აქტიური

ჩართულობა ეკონომიკურ პროცესებში და შესაძლებლობების გაფართოება.

მეოცე საუკუნის ეკონომიკას და მის ზრდას მეცნიერები აკავშირებენ ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსის“ პარადიგმასთან, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ აქცენტი კეთდება მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე და მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებით კერძო ინვესტიციების შემოდინებას, განვითარებას ეწყობა ხელი, ეს კი თავისთავად იწვევს ეკონომიკურ ზრდას.

ეკონომიკის კუზნეცისეული თეორიის მიხედვით განვითარების ლოგიკით ეკონომიკური ზრდა საბოლოოდ მიგვიყვანს უთანასწორობის პრობლემის დაძლევამდე.

მეოცე საუკუნის ბოლოდან „ვაშიგტონის კონსენსუსის“ მიმართ მეცნიერები გამოხატავდნენ უნდობლობას, რადგან ე.წ. „ინდუსტრიული პოლიტიკა“ , რომელსაც უარყოფდა „ვაშიგტონის კონსენსუსი,“ წარმატებული აღმოჩნდა მრავალ ქვეყანაში, კერძოდ:

- სამხრეთ კორეა,
- ჰონკონგი,
- ჩინეთი და სხვა.

მომდევნო ხანებში „ვაშიგტონის კონსენსუსმა“ თითქმის მთლიანად დაკარგა დომინანტის პოზიცია, რომელიც ჩაანაცვლა ე.წ. „ ინკლუზიური ზრდის“ პარადიგმამ. საინტერესოა რამ გამოიწვია ეს გარდაქმნა, რატომ გაჩნდა ინკლუზიური განვითარების წარმოშობის საჭიროება.

მეცნიერები ინკლუზიური ეკონომიკის წარმოშობის

ძირითად მიზეზზე ვერ თანხმდებიან, მაგრამ ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ინკლუზიური ეკონომიკა მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიკის განვითარებისათვის.

მსოფლიო ბანკი თვლის რომ ზოგადად ეკონომიკის ზრდა და განვითარება აუცილებელია სიღარიბის შესამცირებლად, თუმცა, ზრდის მდგრადი ხასიათისათვის, აუცილებელია სამუშაო ძალის ფართო ჩართულობის უზრუნველყოფა. ფართო მასების ჩართულობაში ღარიბი მოსახლეობის ჩართულობა იგულისხმება, არა მათთვის მატერიალური დახმარების გაწევის კუთხით, არამედ მათი ჩართულობით ეკონომიკურ აქტივობაში.

უკანასკნელ წლებში მიუხედავად ეკონომიკის განვითარების და ზოგადი ფაქტორების მიხედვით წინსვლისა, აღმოჩნდა, რომ სიღარიბე და უთანასწორობა არ მცირდებოდა, ეს კი გრძელვადიანი ეკონომიკურ ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოებაა.

„მაინც რატომ შეიძლება გამოიწვიოს უთანასწორობამ დაბალი ეკონომიკური ზრდა? ამის პირველი ახსნა არის პოლიტიკური, რადგან რაც უფრო დიდია ეკონომიკური უთანასწორობა მით მეტი ადამიანი ირჩევს ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომლის განაცხადი და პოლიტიკა მიმართულია შემოსავლების გადანაწილებაზე გადასახადების გზით, რაც თავის მხრივ იწვევს ინვესტიციების სურვილის და რაოდენობის შემცირებას და დაბალ ეკონომიკურ ზრდას.“

გარდა პოლიტიკური ახსნისა, დაბალი ეკონომიკური

ზრდის მიზეზი შეიძლება უკავშირდებოდეს კრედიტის ბაზარს. ზოგჯერ რაიმე ეკონომიკური აქტივობა მოითხოვს კრედიტს გირაოთი, თუმცა დაბალშემოსავლიან მოსახლეობას რადგან არ აქვთ ამის საშუალება, ისინი ნაკლებად ერთვებიან ეკონომიკური პროდუქტის შექმნაში. თუმცა, როგორც კვლევები აჩვენებს, ხშირად აქტივების გადანაწილების შედეგად მიღებული დადებითი ეფექტი საკმაოდ ცუდად აისახება ღარიბების მდგომარეობაზე, ვიდრე შედარებით მდიდარი სუბიექტების მიერ ინვესტიციების შემცირება.

ღარიბთა შემოსავლების ზრდის კუთხით გამოთქმული უამრავი მოსაზრებიდან ყველაზე პოპულარულ მოსაზრებად შემდეგი ორი ითვლება:

• უთანასწორობის შესამცირებლად და ღარიბთა შემოსავლების ზრდისათვის საჭიროა სპეციალური პროგრამები.

• ისინი ვინც აღიარებენ კუზნეცის მრუდის ფორმის დამოკიდებულების არსებობას მიიჩნევენ, რომ მთავარი აქცენტი უნდა იყოს გადატანილი ეკონომიკურ ზრდაზე.

კუზნეცის მრუდის მიხედვით უთანასწორობა იმატებს, როდესაც ქვეყანაში ვითარდება სამრეწველო სექტორი, რომელიც სოფლის მეურნეობასთან შედარებით უფრო პროდუქტიული და შემოსავლიანია. ამიტომ მიიჩნევა, რომ სამრეწველო სექტორში დასაქმებულთა შორის შემოსავლები უფრო უთანაბროდ არის განაწილებული, ვიდრე სოფლის მეურნეობაში. ამ დროს უთანასწორობა პროგრესირებს. „კუზნეცის მრუდისეული“ განვითარების სცენარი ამტკიცებს იმას, რომ ეკონომიკურ

ზრდას საბოლოოდ მივყავართ უთანასწორობის შემცირებისაკენ.

უთანასწორობა, რომ უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე და მის ხანგრძლივობაზე ამას აჩვენებს IMF-ის მკვლევარების ანალიზიც.

ამრიგად, დღეს უკვე ნათელია, რომ ეკონომიკურ ზრდას შემოსავლების დისპროპორციის შემცირებასთან არ მივყავართ, პირიქით უფრო ღრმავდება უთანასწორობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის. სწორედ ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად აუცილებელია არა ზოგადად ეკონომიკის ზრდა, არამედ ეკონომიკის ინკლუზიური ზრდა.



ნახაზი 1. კუზნეცის მრუდი

უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელებული საერთაშორისო კვლევები მოწმობს, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ 706 მლნ ადამიანზე მეტი

ცხოვრობს. ამ მონაცემებით, მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 10% ღარიბია.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკის ზრდის მიუხედავად, არ შემცირებულა სიღარიბე. მაგალითად, 2016 წლის მონაცემებით მსოფლიოში უმუშევართა რიცხვი 2.3 მლნ ადამიანით, ხოლო 2017 წელს 1.1 მლნ ადამიანით გაიზარდა. განვითარებადი ბაზრის მქონე ქვეყნებში კი უმუშევართა რაოდენობა 2.4 მლნ-ით გაიზრდა.

ზოგადად მიჩნეულია, რომ ეკონომიკური ზრდა სიღარიბეს სამუშაო ადგილების ზრდით ამცირებს. მაგრამ 80-იან წლებში მსოფლიოში ეკონომიკურმა ზრდამ სამუშაო ადგილების ზრდა არ გამოიწვია. 1980-იან წლებში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 3%-იანმა ზრდამ სამუშაო ადგილები მხოლოდ 1%-ით გაზარდა. 1990-იან წლებში კი იგივე მაჩვენებლის მისაღებად მშპ-ის 8%-ით გაზრდა გახდა საჭირო. ასევე აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, მოსახლეობის შემოსავლები არ გაზრდილა, ხოლო ზღვარი მდიდრებსა და ღარიბებს შორის, უფრო გაფართოვდა. უთანასწორობის გაფართოება საკმაოდ დიდ რისკებს ქმნის. მას დემოკრატიული პროცესებისთვისაც კი შეუძლია საფრთხის შექმნა, რადგან ხალხი თუ იგრძნობს, რომ მთავრობები არ მუშაობენ და არ ზრუნავენ მათზე, შესაძლოა გამოეთიშონ ყველაფერს. ეს კი თავისთავად პოლიტიკურ და ეკონომიკურ არასტაბილურობას გამოიწვევს და საინვესტიციო გარემოზეც უარყოფითად აისახება.

მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით თანასწორობა სიღარიბის შემცირებას უწყობს ხელს. თანასწორობის შემთხვევაში შემოსავლების 1%-ით გაზრდა სიღარიბის მაჩვენებელს 4.3%-ით შეამცირებს, მაშინ, როდესაც უთანასწორობის შემთხვევაში 0.6%-ით შემცირდება. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ აზიაში სწრაფ ეკონომიკურ ზრდას სიღარიბის მნიშვნელოვანი შემცირება ახლდა, მაგრამ ამის პარალელურად მნიშვნელოვნად გაიზარდა შემოსავლების უთანასწორობა. სწორედ ამის გამო, მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური ზრდა აზიაში, არ იყო საკმარისად ინკლუზიური.

ევროპის კომისიამ ის მიზეზები დაასახელა, თუ რატომ არის ინკლუზიური ზრდა ევროპისთვის მნიშვნელოვანი და საჭირო. ეს მიზეზებია:

- სამუშაო ძალის რაოდენობის შემცირება;
- დასაქმების დაბალი მაჩვენებელი (63% - ქალები, 76% - მამაკაცები);
- ასაკოვანი ადამიანების სიჭარბე (46% - ევროპაში, აშშ-სა და იაპონიაში - 62%);
- ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი დონე (21%-ზე მეტი) ;
- განათლების დაბალი დონე - (80 მლნ-ზე მეტ ადამიანს არ აქვს უმაღლესი განათლება, მაშინ როდესაც 2020 წლისთვის 16 მლნ-ზე მეტი სამუშაო ადგილი მოითხოვს განათლების უმაღლეს დონეს და მაღალ კვალიფიკაციას).

საერთო ჯამში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას სარგებელი მოაქვს

ფართო საზოგადოებისთვის, რადგან მას თან ახლავს სიღარიბის და უთანასწორობის შემცირება, განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობების ზრდა.

დასავლეთში ტერმინები - ,,ინკლუზიური ბიზნესი“ და ,,სოციალური მეწარმეობა“ ძალიან მოდური გახდა. ყველა მეწარმე ცდილობს თავისი ბიზნესის სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებას. მიუხედავად ტერმინის პოპულარობისა, ისევე როგორც ინკლუზიური ზრდის შემთხვევაში, არც სოციალური მეწარმეობის ზუსტი განმარტება არსებობს. მკვლევარები, როგორც წესი ტერმინ ,,მეწარმეობის “ ბუნებიდან გამოდიან. ბოლო წლებში ტერმინი - "მეწარმეობა" სულ უფრო ხშირად გამოიყენება მაშინ, როდესაც მსჯელობენ სოციალური პრობლემების გადაჭრაზე, ხოლო ტერმინი - "სოციალური", სიტყვათშეთანხმებაში - "სოციალური მეწარმეობა", განსაზღვრავს ამ საქმიანობის არსს. ამგვარად, სოციალური მეწარმეობაში მოიაზრება - სოციალური მისია, საქმიანი დისციპლინა, ინოვაციური მიდგომები და მდგრადობა.

როგორც ქართველი მეცნიერი შ. შაბურიშვილი აღნიშნავს, სოციალური მეწარმეობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია:

• „ინოვაციურობა, რაშიც იგულისხმება, ერთი მხრივ, ორიენტაცია სოციალურ გარდაქმნებზე, რომელიც უზრუნველყოფს ამა თუ იმ სოციალური პრობლემის ახლებურ გადაწყვეტას;

• მეორე მხრივ, ესაა ეკონომიკური გარდაქმნები, რამდენადაც სოციალური მიზნების მიღწევა ხდება

სამეურნეო სიახლეებზე დაყრდნობით - ეკონომიკური და სოციალური რესურსების განსაკუთრებული კომბინაციით, რაც ადრე ასეთი სახით არ გამოიყენებოდა. ამ შემთხვევაში საკვანძო როლი აქვს სოციალურ მეწარმეს, რომელიც აღმოაჩენს მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას და პოულობს ორიგინალურ მეთოდს მის გადასაწყვეტად.“

სწორედ სოციალური მეწარმეობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს ინკლუზიური ბიზნესი.

ინკლუზიური ბიზნესი, როგორც სოციალური მეწარმეობის მოდელი დამყარებულია ღარიბ მოსახლეობაზე. უფრო ზუსტად კი ინკლუზიური ბიზნესი დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობას ურთიერ-თსარგებლიანობის პრინციპით აკავშირებს ბიზნესთან, რაც ღარიბ მოსახლეობას საშუალებას აძლევს დაიკმაყოფილოს ძირითადი საჭიროებები, მოიპოვოს მყარი შემოსავალი, მიიღოს განათლება, გაზარდოს მწარმოებლურობა.

ინკლუზიური ბიზნესის განვითარების კუთხით არსებობს უამრავი პრობლემა, თუმცა შესაძლებლობებიც საკმაოდ ბევრია და მისგან მიღებული სარგებელიც. განსაკუთრებით რთულია ინკლუზიური ბიზნესის დაწყება და განვითარება სოფლებში ან ქალაქის ღარიბ უბნებში.

მიუხედავად სირთულეებისა, აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზარზე მომუშავე კომპანიების რიცხვი იზრდება. მეწარმეები პრობლემების მოსაგვარებლად მიმართავენ ხუთ ძირითად სტრატეგიას:

- პროდუქტის და პროცესების ადაპტაცია;

• ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად;

• დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ძლიერი მხარეებით სარგებლობა;

• სტრატეგიული ალიანსების ფორმირება;

• დიალოგი მთავრობასთან პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე.

განვიხილოთ ისინი უფრო ფართოდ

პროდუქტის და პროცესების ადაპტაცია საბაზრო ბარიერების გადალახვას გულისხმობს. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ნამდვილად იძლევა ადაპტაციის საშუალებას.

მათ რიცხვებშია :

• მობილური ბანკინგი;

• სმარტბარათები;

• ტელემედიცინა.

ინვესტიციები საბაზრო ბარიერების დასაძლევად . ბაზრის ჩავარდნის დაძლევა, როგორც წესი, მთავრობის საქმიანობის სფეროდ მიიჩნევა, მაგრამ როგორც წესი ინკლუზიური ბიზნესის მოდელით მომუშავე კომპანიები ხშირად თავად წყვეტენ საკუთარი რესურსებით ასეთ ამოცანებს.

დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ძლიერი მხარეებით სარგებლობა. აღსანიშნავია, რომ „დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ძლიერი მხარეების გამოყენება, მათი ბიზნესში უშუალო ჩართვით ან სოციალური ქსელების მეშვეობით, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა.“ ეს გამომდინარეობს იქედან, რომ თითოეულ მათგანს აქვს რაღაცის

გამორჩეული უნარი.

სტრატეგიული ალიანსების ფორმირება. ალიანსი ორ ან მეტ საწარმოს შორის კავშირია. ისინი ერთმანეთს უცვლიან რესურსებს და სხვა შესაძლებლობებს. ამ გზით თითოეულ მათგანს შეუძლია მიიღოს ის რესურსები და შესაძლებლობები, რომელიც საკუთრივ მას საწარმოს დამოუკიდებლად არ გააჩნია.

დიალოგი მთავრობასთან პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე. ყველა ის პრობლემა, რომელსაც ბიზნესი აწყდება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბაზრებზე საქმიანობისას მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია სახელმწიფო პოლიტიკასთან. ეს პროცესი საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, თუმცა დიალოგში მონაწილეობით ბიზნესს შეუძლია მთავრობას მიაწოდოს სასარგებლო ინფორმაცია პრობლემებსა და მათი გადაჭრის ხედვაზე.

საინტერესოა, განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, კერძოდ იმის გარკვევა, თუ მათ როგორ მოახერხეს სოციალური მეწარმეობის პროგრესული განვითარება. მეცნიერ ლ. ლაზვიაშვილის აზრით, ამ ქვეყნებში აღმავლობა გამოიწვია:

• საზოგადოების წარმატებული წევრების სოციალურმა აქტიურობამ;

• პასუხისმგებლობის ზრდამ;

• სოციალურად ორიენტირებული ფასეულობების გავრცელებამ;

• სამეწარმეო პრაქტიკის და სოციალური მისიის წარმატებულმა კომბინაციამ.

ამრიგად, თანამედროვე პირობებში მიიჩნევა, რომ ზოგადად ეკონომიკის ზრდა საკმარისი არ არის. საერთო კეთილდღეობის ასამაღლებლად აუცილებელია ეკონომიკის ინკლუზიური განვითარება. უთანასწორობის, სიმდიდრისა და შემოსავლის უთანაბრო განაწილების და საზოგადოებრივი ჩართულობის პრობლემების დაძლევა მხოლოდ ეკონომიკის ინკლუზიური ზრდით შეიძლება, რადგან ინკლუზიური ზრდა ქმნის შესაძლებლობებს მოსახლეობის ყველა სეგმენტისთვის და სამართლიანად ანაწილებს მთელ საზოგადოებაზე გაზრდილი კეთილდღეობის, როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ დივიდენდებს.

1.2 ინკლუზიური ზრდის მიღწევის გზები

სხვადასხვა ქვეყნებში ინკლუზიური ზრდის მიღწევის გზები შეიძლება, განსხვავდებოდეს, რადგან ისინიც, და, საერთაშორისო ორგანიზაციებიც, დამოუკიდებლად განსაზღვრავენ პრიორიტეტებს.

მაგალითად, აზიის განვითარების ბანკი გამოყოფს სამ ძირითად კომპონენტს, რომელიც ინკლუზიური ზრდის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია:

• მაღალი, ეფექტიანი და მდგრადი ეკონომიკური ზრდა, რამაც უნდა უზრუნველყოს პროდუქტიული სამუშაო ადგილები და ეკონომიკური შესაძლებლობები;

• სოციალური ჩართულობა, რამაც უნდა უზრუნველყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა ეკონომიკურ შესაძლებლობებთან (ხელმისაწვდომი განათლება,

ჯანდაცვა და ინფრასტრუქტურა);

• სოციალური დაცვა, რაც მნიშვნელოვანია ღარიბი მოსახლეობის დასაცავად.

ქართველი მეცნიერი ე. ბერიძე გამოყოფს სხვა კომპონენტებსაც, რომლებმაც შესაძლოა უზრუნველყოს ეკონომიკის ინკლუზიური ზრდა:

• დასაქმება და ახალი სამუშაო ადგილები;

• ეკონომიკური ტრანსფორმაცია;

• ინვესტიციები ადამიან-კაპიტალში;

• პროგრესული ფისკალური პოლიტიკა;

• სოციალური დაცვა;

• არადისკრიმინაციული მიდგომა.

ინკლუზიური ზრდის აქ ჩამოთვლილ თითოეული ფაქტორის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანურ კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციების გაფართოვებას უნდა მიენიჭოს. ეს არის ზრუნვა ახალგაზრდობის სწორ აღზრდა-განათლებაზე, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მათ პროფესიულ დაოსტატებაზე, შემოქმედებითი (კრეატიული) აზროვნებისკენ მათი გონების წარმართვაზე. ეს მარტო ჩვენი აზრი არ არის. ამას აღიარებს ყველა ქართველი თუ არაქართველი მეცნიერი. მაგალითად:

პლატონი: ,,უბადრუკია ყველა აზრი, რომელიც ცოდნას არ ეფუძნება“

ფრანსის ბეკონი: ,,ცოდნა დიდი ძალაა“

ბეკერი: ,,განათლებაა ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების მთავარი მიმართულება“

ნორდსტრემი: ,,ერთ დროს წარმოების გადამწყვეტი ფაქტორი მიწა იყო, შემდეგ კაპიტალი... დღეს გადამწყვეტი ფაქტორი თვით ადამიანია, მისი ცოდნაა...“

სამადაშვილი: ,,ინკლუზიური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ადამიანური კაპიტალის როლი. ნებისმიერ ქვეყანას და მათ შორის საქართველოს რეალურად ესაჭიროება თანამედროვე ეკონომიკური ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი ადამიანები.“

პ. სამუელსონი: ,,რაც უფრო განათლებული და მცოდნეა ადამიანი, მით მაღალია მისი მწარმოებლურობა, მით მეტი წვლილი შეაქვს ეროვნული მეურნეობის განვითარებაში და, შესაბამისად, მით მეტ შემოსავალს ღებულობს“.

ჯოლია: ,,მხოლოდ თანამედროვე ღრმა პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებული კრეატიული ადამიანების შემართებითა და აქტიური ქმედებით განვითარდება საქართველო.“

შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება აქვს დასახელებული პოლონეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ლ. ბალცეროვიჩსაც თავის წიგნში-,,სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში“, რომელიც მან 2002 წელს გამოსცა.

გრძელვადიანი ინკლუზიური ზრდისათვის აუცილებელია მდგრადი და პროგნოზირებადი სტაბილურობა. ამიტომ თუ ნამდვილად გვსურს ეროვნული ეკონომიკის გრძელვადიანი ინკლუზიური ზრდა, ინვესტირება უნდა მოვახდინოთ სუსტად

განვითარებულ ადამიანურ კაპიტალში, რადგანაც ინვესტირებას განათლებაში გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის ისეთივე და ხშირად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფიზიკურ კაპიტალში. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში განათლებასა და მეცნიერებაზე გაწეული კაპიტალური დაბანდებები მშპ-ს ზრდის 40%-ით, ხოლო 5-7 წელიწადში, როდესაც ეს ინვესტიციები სრული ეფექტის მოცემას დაიწყებს, მათი უკუგება აღემატება ნავთობისა და გაზის მოპოვებაზე უკუგებას.

ამ ყველაფრით იმის თქმა არ გვინდა, რომ მხოლოდ განათლება შეცვლის ყველას და ყველაფერს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას სჭირდება. ის მთავარია, მაგრამ ყველაფერი არაა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეპორტში აღნიშნულია, შემდეგი:

„არ არსებობს ეკონომიკური ღონისძიებების რაიმე მაგიური კომბინაცია, რომელიც უმალ მიგვიყვანს ინკლუზიურ განვითარებამდე. მნიშვნელოვანია მთლიანი ეკონომიკა კომპლექსურად სწორად ფუნქციონირებდეს და ინდივიდუალურად მორგებული ღონისძიებები ტარდებოდეს.“

ამრიგად, იმისათვის, რომ სახელმწიფომ მიაღწიოს ინკლუზიურ ზრდას, უნდა შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგიები, რომელიც უნდა მოიცავდეს ზემოხსენებულ საკითხებს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის რეპორტში საუბარია საქართველოზეც. სადაც, ინკლუზიური განვითარების ინდექსის მიხედვით

საქართველო 32-ე ადგილზე იმყოფება, ამასთანავე აღნიშნულია, რომ ამ კუთხით საქართველო საკმაოდ სწრაფად პროგრესირებს და ბოლო 5 წლის განმავლობაში მისი ქულა რეიტინგში 6,8%-ით გაიზარდა.

ნებისმიერი ქვეყნის ყოფნა ამ რეიტინგში გარკვეულ წილად პროგრესის მაჩვენებელია. საქართველოს მიღწევებიც საკმაოდ პროგრესულად უნდა შევაფასოთ, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2018 წლის რეპორტში ასე გადანაწილდა:

• ზრდა და განვითარება - 3,1 ქულით საქართველო 79 ქვეყანას შორის 36-ე ადგილზეა. ბოლო 5 წელში საქართველომ პოზიცია აღნიშნულ კატეგორიაში 10,2%-ით გაიუმჯობესა.

• მშპ ერთ სულ მოსახლეზე - 34-ე ადგილი; ზრდა ბოლო 5 წელში 6,2%.

• სამუშაო ძალის პროდუქტიულობა - 47-ე ადგილი; ზრდა 4,5%.

• ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა - 66,4 წელი. 23-ე ადგილი.

• დასაქმებულთა რაოდენობა - 48-ე ადგილი, ზრდა ბოლო 5 წელში - 3,1%.

საყურადღებოა, რომ საქართველომ ბოლო 5 წელიწადში პოზიციები ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა, თუმცა, ზრდის რეზერვები კიდევ არის.

ჩვენი აზრით საქართველოში მათი ამოქმედება შეიძლება ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების მასიური გახსნით, სადაც ახალგაზრდა უმუშევარი მოსახლეობა

ისწავლის ბიზნესს და აქტიურად ჩაერთვება მასში.

1.3.მეცნიერები ბიზნეს-ინკუბატორების და სიღარიბის დაძლევაში მათი როლის შესახებ

ბიზნეს-ინკუბატორის უნივერსალური განმარტება არ არსებობს. მეცნიერების ბალიაშვილის და ზ. ღუდუშაურის აზრით, ,,ბიზნეს-ინკუბატორი ეს არის ახლად წარმოქმნილი ფირმების მჭიდრო კონცენტრაციის ადგილი. მისი მიზანია მათთვის საერთო ინფრასტრუქტურის მქონე მოდულური ტიპის სათავსოების გადაცემით, მენეჯმენტში მხარდაჭერით და დამხმარე მომსახურებების გაწევით მათი ზრდისა და გადარჩენის შანსის ამაღლება'' . არსებობს სხვა განმარტებებიც.

ბიზნეს-ინკუბატორების უმთავრესი დანიშნულებად მეცნიერი შ. მაჭავარიანი მიიჩნევს:

- მცირე და საშუალო ბიზნესის (მათ შორის დამწყების) საქმიანობის ხელშეწყობას;
- მცირე და საშუალო ბიზნესის (მათ შორის დამწყების) კონკურენტუნარიანობის ამაღლებას;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- მეცნიერების (განსაკუთრებით გამოყენებითი მეცნიერების) სტიმულირებას და ამით უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

თანამედროვე საზოგადოება მთელს მსოფლიოში მუდმივად მიუთითებს ბიზნეს ინკუბატორების როლის და დანიშნულების მნიშვნელობაზე. მაგალითად, NBIA განმარტავს, რომ: "ბიზნესის ინკუბაცია საჭიროა როგორც დამწყები, ასევე მოქმედი ბიზნესისათვის, ვინაიდან ის უზრუნველყოფს მეწარმეებსა და დაქირავებულ სპეციალისტებს სათანადო ცოდნით, საქმიანი კავშირებით და საჭირო საშუალებებით, რითაც წარმატებულს ხდის მათ საქმიანობას. საინკუბაციო პროგრამა იძლევა ბიზნესის დივერსიფიცირების საშუალებას, ხელს უწყობს ინოვაციების კომერციალიზაციასა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებსა და ზრდის დოვლათს."

თანამედროვე პირობებში ბიზნეს-ინკუბატორები სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან მჭიდრო კავშირში ფუნქციონირებენ, მათი საქმიანობა საინკუბაციო პროცესში ჩართული ორგანიზაციებისათვის ითვალისწინებს:

• პერსონალის სწავლებას თანამედროვე პირობებში ბიზნესის განსახორციელებლად (საქმიანობის დაგეგმვა, ორგანიზაციის ოპტიმალური სტრუქტურის აგება და მისი დროული გარდაქმნა, პერსონალის მართვა, საწარმოო პროცესების ეფექტიანობის ამაღლება, მარკეტინგული, საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა);

• მიზნობრივი ტრენინგების გამართვას, საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების მისაღებად;

• კონსულტირებას სამუშაო ოპერაციების შესასრულებლად, საგადასახადო სამართლებრივი საკითხების მოსაგვარებლად;

• დახმარების გაწევას საქმიანობისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოსაზიდად;

• ხელშეწყობას ახალ ბაზრებზე გასასვლელად, საქმიანი პარტნიორებისა და მომხმარებლების მოსაძიებლად;

• საქმიანობისათვის საჭირო ბიზნეს-იდეებისა და ინტელექტუალური დახმარების მიღებას;

• დახმარებას თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად;

• ხელშეწყობას ინოვაციური პროდუქციის კომერციალიზაციისათვის;

• კონსულტირებას ახალი თანამშრომლების შერჩევასა და სამუშაო გარემოსთან მათი ადაპტირებისათვის;

• ბიზნესის წარმოებისათვის სათანადო პირობების შეთავაზებას (სამუშაო ფართი, საოფისე ტექნიკა, ტექნოლოგიური აღჭურვილობა და ა.შ.);

• საინფორმაციო საშუალებებით უზრუნველყოფას (ვებ-გვერდი, ელექტრონული მისამართი, საინფორმაციო ბიულეტენები და ა.შ.);

• საბუღალტრო მომსახურების გაწევას.

იმისათვის, რომ ბიზნეს ინკუბატორმა სრულფასოვნად შეასრულოს ქვეყნის (რეგიონის) ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, საჭიროა შემდეგი სამოქმედო გეგმის შემუშავება:

• მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა;

• ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

• კვლევითი ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების

სამეცნიერო პროდუქციით ბიზნესის დაინტერესება, რაც ერთი მხრივ მიმართულია ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ხოლო მეორეს მხრივ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სტიმულირებისა და სამეცნიერო კადრების დამაგრებისაკენ;

• გარკვეული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრა.

ზემოთ აღნიშნული ფუნქციების გამოსავლენად აუცილებელია ქვეყანაში არსებული სრული სამეცნიერო პოტენციალის გამოვლენა, ასევე მნიშვნელოვანია ამ საკითხში უკვე გამოცდილი ქვეყნების და ამ სფეროში მოქმედი ცნობილი უცხოური საინოვაციო ცენტრების პრაქტიკის გათვალისწინება.

ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კარგად დაგეგმილი მოქმედი ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის საშუალებით ნამდვილად შესაძლებელია სიღარიბის შემცირება და ზოგადად ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური პროგრესი.

ბიზნეს-ინკუბატორები განვითარებულია ტექნოლოგიურად ყველაზე მოწინავე ქვეყნებში, როგორიცაა: ამერიკის შეერთებულ შტატები, გერმანია, გაერთიანებული სამეფო,, საფრანგეთი, იაპონია, ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი, ისრაელი და ფინეთი.

აღნიშნული ქვეყნების განვითარებას მეცნიერები მეტწილად ბიზნეს ინკუბატორების გამართულ მუშაობას მიაწერენ. მაგალითად, მსოფლიოს 75 ქვეყანაში 1998 წელს

ფუნქციონირებდა 2000 ბიზნეს-ინკუბატორი, 2010 წელს მსოფლიოს 102 ქვეყანაში მოქმედებდა 4480 ბიზნეს-ინკუბატორი. აქედან აშშ-ში - 1810, ევროკავშირის ქვეყნებში - 1140, იაპონიაში - 350, სამხრეთ კორეაში - 300, ჩინეთში - 215, ბრაზილიაში - 410, მალაიზიაში - 110 და ა.შ.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან აღსანიშნავია ჩეხეთისა და ესტონეთის გამოცდილება, რომლებიც ამ სფეროში ყველაზე წარმატებულ ქვეყნებად ითვლებიან. ჩეხეთში მოქმედებს 40-მდე მრავალპროფილიანი ტექნოპარკი და სპეციალიზირებული ბიზნეს-ინკუბატორი. მათი ხელშეწყობით ამოქმედდა 500 მდე მცირე და საშუალო საწარმო. ამოქმედდა და დასაქმდე 10 ათასობით ადამიანი და ამ ორგანიზაციების საქმიანობით მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა გადააჭარბა 4 მილიარდ ევროს. ესტონეთშიც ანალოგიური სიტუაციაა. აქაც გაიზარდა მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა.

რაც შეეხება საქართველოს, აქ ყოველმხრივ რთული მდგომარეობა გვაქვს. ოფიციალური მონაცემებით დაუსაქმებელია მოსახლეობის 11,5%. დასაქმებულთა უმრავლესობა ან თვითდასაქმებულია, ან 200-400 ლარად უწევს მუშაობა. ვფიქრობთ, რომ უმუშევრობის მაღალი დონე მცირე და საშუალო ბიზნესის ნაკლებ განვითარებას უკავშირდება, რაც თავის მხრივ, ბიზნეს-ინკუბატორების განუვითარებლობით აიხსნება.

ასეთ დროს, ჯერ კიდევ 2004-2009 წლებში საქართველოში შემუშავდა ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის განვითარების ორი კონცეფცია.: პირველი ეხებოდა მთლიანად საქართველოს, მეორე აჭარას. მაშინდელმა

მთავრობამ არცერთი არ აამუშავა.

მიუხედავად ბიზნეს ინკუბატორების განვითარების კუთხით დიდი ჩამორჩენისა, დღეს მაინც გვაქვს ამ მხრივ გარკვეული სიახლე. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტი -„ბიზნეს ინკუბატორი.“ ეს პროექტი არის დამწყები ინოვაციური ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც ინოვაციური იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა შეღავათიან პირობებში, გაიარონ საკუთარი ბიზნეს-იდეის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. მათ კონსულტაციებს უწევენ ფინანსურ, იურიდიულ, ინტელექტუალური საკუთრების დაცვასა და სხვა საკითხებში. ისინი უზრუნველყოფილები არიან საერთო სამუშაო სივრცით და იღებენ პროგრამულ, ინტელექტუალურ და მატერიალურ დახმარებას სააგენტოსგან, მენტორთა ქსელის წევრებისა და სააგენტოს პარტნიორი ორგანიზაციებისგან.

ასეთი ტექნოლოგიური ბიზნეს-ინკუბატორი უნდა განვასხვავოთ ინკლუზიური ინკუბატორისაგან. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ამ უკანასკნელში ბიზნეს-ცოდნას იღებენ მხოლოდ ღარიბები, რომლებიც სწავლის დამთავრების შემდეგ თავის თავს თვითონ შეუქმნიან სამუშაო ადგილს და ამ გზით ჩაერთვებიან ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობაში.

ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი. სახელმწიფომ, პირდაპირი ან ირიბი გზებით, უნდა შეუწყოს ხელი სამუშაო ადგილების გაჩენას, მით უმეტეს

იმ რეგიონებში, სადაც ყველაზე მაღალია სიღარიბის დონე. ასეთებია საქართველოს დეპრესირებული მხარეები (რაჭა, სვანეთი, ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთი, ფშავი და სხვა) და ლტოლვილთა დასახლებები.

საქართველოში ინკლუზიური ბიზნესის განვითარებაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა ვისაუბროთ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „ საქართველო 2020“ -ზე. სადაც საკმაოდ დიდი ყურადღება სწორედ ინკლუზიურ განვითარებას და ბიზნეს-ინკუბატორებს დაეთმო. ამ დოკუმენტში ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრინციპად მიჩნეულია. ,,საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში (დიასპორის, მიგრანტების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ჯგუფების ჩათვლით), ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

სტრატეგია ,,საქართველო-2020“ მიზნად ისახავდა 2020 წლის ბოლოსთვის შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლების მიღწევას. (ცხრილი 1)

აღნიშნულ პროგნოზთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასეთი ვითარება გვქონდა:

- მოსახლეობა, ათასი კაცი - 3716.9 ათასი;

• მშპ ერთ სულზე - 13251 ლარი;

• უმუშევრობის დონე (%) - ძველი სტანდარტით 11.5%, ახალი სტანდარტით 17.6%;

• ინფლაცია (%) - 4.49%

როგორც ვხედავთ, საქართველოს განვითარების სტრატეგიაში 2020 წლისთვის პროგნოზირებულ მაჩვენებელთან შედარებით, ფაქტიურად, მნიშ წინსვლა შეინიშნება, თუმცა დარჩენილ ერთ წელიწადში ვფიქრობთ ძალიან გაჭირდება პროგნოზირებული მაჩვენებლების მიღწევა.

ცხრილი 1

საქართველოს ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის პროგნოზირებული მაჩვენებლები (მიმდინარე 2013-საპროგნოზო 2020)

მაჩვენებელი	მიმდინარე მაჩვენებელი	საპროგნოზო მაჩვენებელი
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი, ნომინალური)	5811.7	13 000
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი, მუდმივ ფასებში)	5811.7	9200
ჯინის კოეფიციენტი	0.41	0.35
ინფლაცია (%)	2.4	3.0
უმუშევრობა (%)	15.0	<12
გადასახადები (წილი მშპ-ში, %)	24	25
ექსპორტი (საქონელი და მომსახურება, წილი მშპ-ში, %)	45	65
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (წილი მშპ-ში, %)	>10	5
სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-სთან (%)	34	<40

დასანანია, რომ მოცემულ სტრატეგიაში ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდაზე საკმარისადაა საუბარი, მაგრამ მისი მიღწევის ერთ-ერთი ძირითადი გზა რომ ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების მასიური ამოქმედებაა, ამაზე არ არის საკმარისად ყურადღება გამახვილებული. არადა, ეს ის გზაა, რომლის მეშვეობით საზღვარგარეთის ყველა წარმატებულმა ქვეყანამ მოსახლეობის ფართო ფენებს ასწავლა ბიზნესი, გაუჩინა საკუთარი საქმე და ამ გზით შეამცირა სიღარიბე. ეს ღონისძიება, რომ საქართველოში ამ ბოლო წლებში მაინც განხორციელებულიყო, მაშინ საქართველოს განვითარების სტრატეგია- ,,საქართველო-2020“ აუცილებლად შესრულდებოდა.

პირველი თავის დასკვნა

1. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა თანამედროვე მსოფლიოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევაა, განსაკუთრებით ისეთი ღარიბი ქვეყნებისათვის როგორიც საქართველოა.

2. საერთაშორისო საზოგადოება ღრმადაა დარწმუნებული, რომ სიღარიბის დაძლევის და უთანასწორობის შემცირების ერთადერთი გზა ეკონომიკის ინკლუზიური განვითარებაა. მსოფლიოში ინკლუზიური ზრდისთვის შემუშავებული, ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები საუკეთესოდ მიესადაგება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დახმარების, ეკონომიკური აქტივობის გაზრდის და ქვეყნის მთლიანი,

ყოვლისმომცველი კეთილდღეობის მიღწევის მიზნებს.

3. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ახალი სამუშაო ადგილების საჭიროა საქართველოში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის ამოქმედება.

4. საქართველოში ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის ამოქმედებისათვის, საჭიროა დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავება, სამთავრობო და ადგილობრივი სტრუქტურების მხარდაჭერა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა.

5. უკანასკნელ ათწლეულში, ინკლუზიური განვითარების შესახებ აქტიური საუბარია საქართველოში, თუმცა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ მიმართულებით არ გადადგმულა. ამ დრომდე საქართველოს ეკონომიკას ინკლუზიური ეკონომიკის სიკეთეები არ დასტყობია. ჩვენი აზრით , ამის მიზეზი ის არის, რომ არც ადრე და არც დღეს საქართველოს მთავრობამ ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორები არ დააფუძნა.

თავი II საქართველოში (მ.შ. წეროვნის ლტოლვილთა დასახლებაში) მოსახლეობის სიღარიბის და ცხოვრების დონის ანალიზი

2.1 უმუშევრობის და სიღარიბის მდგომარეობა და მათი ცვლილების ტენდენციები საქართველოში

უმუშევრობის და სიღარიბის დონე საქართველოში ჩვენ შევისწავლეთ 2008-2019 წლებში. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს უმუშევრობის დონე საქართველოში, 2008 წელთან შედარებით 6,4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.5% პროცენტი შეადგინა (ნახაზი 2). ეს ძველი მეთოდოლოგიით, ახალი მეთოდოლოგიით კი იგი 17.6%-ია.[1]



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ნახაზი 2. უმუშევრობის დონე საქართველოში (%%-ში)

[1] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2020, გვ. 42.

მაგრამ ეს ვითარება არ ვრცელდება საქართველოს ყველა რეგიონზე. დანართი 1-გვიჩვენებს, რომ იგი მხოლოდ შიდა ქართლის და იმერეთის უმუშევრობის დონეს ემთხვევა. თბილისში და ქვემო ქართლში იგი გაცილებით მაღალია-17.7 და 14.6 პროცენტის შესაბამისად,-ხოლო დანარჩენ რეგიონებში დაბალია. ზოგიერთ რეგიონში უმუშევრობის დონე იმდენად დაბალია რომ იმ რეგიონის განვითარების შუქზე ეს ვითარება პარადოქსად აღიქმება, ასეთია მაგალითად გურია (უმუშევრობის დონე 2.5%), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (უმუშევრობის დონე 4.1%), კახეთი (უმუშევრობის დონე 4%) და სამცხე-ჯავახეთში (უმუშევრობის დონე 5.5%).

2019 წლის ბოლოს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ მთელი მოსახლეობის 62.5 პროცენტი შეადგინა. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე 1.8, ხოლო დასაქმების დონე 0.9 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული. ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე, 0.7 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული, სოფლის ტიპის დასახლებებში კი 1.0 პროცენტული პუნქტით. საერთო ჯამში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით დასაქმების დონის კლება მუდმივ პროგრესს განიცდის, საინტერესოა რამდენად აისახება ეს სიღარიბის დონის შემცირებაზე.

საქართველოში მოსახლეობის გაღატაკების პროცესი 1990-იანი წლებიდან დაიწყო, რასაც ხელი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გამოუცდელობამ შეუწყო. თუმცა

არსებული სიტუაციით ისარგებლა ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა და სწორედ მათ ხელში აღმოჩნდა ქვეყანაში არსებული ქონების დიდი ნაწილი. რამაც სოციალური უთანასწორობის სწრაფი ზრდა გამოიწვია. ამის შემდეგ კი მოხდა მოსახლეობის დიფერენციაცია შემოსავლების მიხედვით. თუმცა სიღარიბის და მკვეთრი სოციალური უთანასწორობის სხვა ფაქტორებიც არსებობს, რომელთა შორისაც აღსანიშნავია:

- რეგიონალური და დარგობრივი ფაქტორები,
- განათლების დონე,
- უმუშევრობის დონე,
- სახელმწიფო სოციალური პროგრამების დაბალი ეფექტიანობა,
- ასაკობრივი სტრუქტურა,
- სქესობრივი სტრუქტურა,
- არასრულწლოვანი ბავშვების რაოდენობა,
- მარტოხელა დედების დიდი რაოდენობა,
- მაღალი შიდა მიგრაცია ,
- მაღალი გარე მიგრაცია და სხვა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით ცხოვრობდა(ნახაზი 3):

- 2019 წელს - მოსახლეობის 19.5%-ი.
- 2018 წელს - მოსახლეობის 20.1%-ი.
- 2017 წელს - მოსახელობის 21.9% -ი.
- 2016 წელს - მოსახელობის 22%.

რაც შეეხება სოფლის და ქალაქის მონაცემებს, მათ შორის რამდენიმე პროცენტიანი სხვაობაა, კერძოდ

საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით ცხოვრობს:

- სოფელში 23.1%-ი.
- ქალაქში 18% -ი.

აბსოლუტური სიღარიბის დონეში გულისხმობენ იმას, რომ ამ რაოდენობის ადამიანებს მინიმალურ საარსებო პირობებზეც კი არ მიუწვდებათ ხელი.

ქვეყანაში არსებული სიღარიბის დონის სხვა მაჩვენებელიც არსებობს, კერძოდ ფარდობითი მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, თუ ქვეყანაში მედიანური მოხმარების 40 და 60 პროცენტს ქვევით მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობს (ნახაზი 4 და 5). ჩვენი კვლევით აღმოჩნდა, რომ საქართველოში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ნახაზი3. ქვეყანაში არსებული აბსოლუტური სიღარიბე.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ნახაზი 4. მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%%-ში)

- 2019 წელს, მედიანური მოხმარების 60%-ზე ნაკლებს მოიხმარდა მოსახლეობის - 20.3%,
- 2019 წელს, მედიანური მოხმარების 40%-ზე ნაკლებს მოიხმარდა მოსახლეობის 7.5% -ი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ნახაზი 5. მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის ნაწილი (%%-ში)

როგორც ვხედავთ, საქართველოში სიღარიბის და უმუშევრობის ტენდენციები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, კერძოდ, უმუშევრობის მაჩვენებელი 2008 წელს 17.9%-ს შეადგენდა, 2019 წელს კი 11,5 % -მდე შემცირდა, აბსოლიუტური სიღარიბის მაჩვენებელი კი 2008-2019 წლებში 33.2%-დან 19.5%-მდე შემცირდა. სიღარიბის ასეთი მაღალი დონე აშკარად არ შეესაბამება უმუშევრობის არსებულ დონეს.

ერთ-ერთი ფაქტორი, რაც დასაქმების მაჩვენებელსა და სიღარიბის დონეს შორის სხვაობას განსაზღვრავს, ჩვენი აზრით, არის სახელფასო პოლიტიკა, უფრო ზუსტად კი ეფექტური სახელფასო პოლიტიკის არარსებობა. მაშინ როდესაც ქვეყანაში ყველაფერი დამოკიდებულია დოლარის კურსის ცვლილებაზე და ამ ფონზე მუდმივად იზრდება ფასები და ძვირდება ცხოვრება, შესაბამისად არ იცვლება ხელფასის მოცულობა. ამასთანავე საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის ხელფასის ქვედა ზღვარი. ამას დამსაქმებლები თავის სასარგებლოდ იყენებენ. მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილის ხელფასი თვეში 200-300ლარია. წარმოუდგენელია ამ ფასად ადამიანმა ცხოვრების ნორმალური პირობები შეიქმნას, მით უმეტეს რომ ამ დასაქმებულის კმაყოფაზე ხშირად მთელი ოჯახია. მეტიც, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებით, საქართველოში დეკლარირებული სახელფასო შემოსავალი მხოლოდ 1 130 ათას ადამიანს აქვს, აქედან კი 191 ათასი ადამიანის

ანუ მათი 16 %-ის ანაზღაურება თვეში მხოლოდ 100 ლარი ან 100 ლარზე ნაკლებია. [2] სწორედ ამ ადამიანების შეტანა დასაქმებულებში გვიჩვენებს უმუშევრობის დაბალ დონეს საქართველოში.

2.2 ცხოვრების დონე და მოსახლეობის შემოსავლების უთანასწორო განაწილება საქართველოში

განვითარების ყველა დონეზე საზოგადოება მუდმივად ცდილობს გაიუმჯობესოს ეკონომიკური მდგომარეობა და დაიკმაყოფილოს მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები, რაც ცხოვრების დონეში აისახება.

პრაქტიკაში გამოყოფენ მოსახლეობის ცხოვრების ოთხ დონეს:

1) უზრუნველყოფილი დონე - ეს არის ე.წ კეთილდღეობის დონე, რა დროსაც ადამიანის ყოველმხრივი განვითარებაა შესაძლებელი;

2) ცხოვრების ნორმალური დონე - ეს არის რაციონალური მოხმარება, რაც ადამიანის ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების აღდგენას შესაძლებელს ხდის;

---

[2] შემოსავლების სამსახური - ჰტტპს://წწწ.რს.გე//

3) სიღარიბე - ამ დონეზე მხოლოდ ადამიანის შრომისუნარიანობის შენარჩუნებაა შესაძლებელი. იგი წარმოადგენს სამუშაო ძალის კვლავწარმოების ქვედა ზღვარს;

4) სიღატაკე - მასში საქონლისა ნაკრები იგულისხმება. სიღატაკის დროს შენარჩუნებულია მხოლოდ ადამიანის სიცოცხლისუნარიანობა.

თანამედროვე პირობებში ცხოვრების დონის დასახასიათებლად სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მაჩვენებლები გამოიყენება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საქართველოში ცხოვრების დონეს შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით იკვლევს:[3]

- ფარდობითი სიღარიბე
- აბსოლიუტური სიღარიბე
- ჯინის კოეფიციენტი
- საშუალო შემოსავალი
- საშუალო ხარჯები
- სულადობრივი მთლიანი შიდა პროდუქტი

რადგან ფარდობით და აბსოლუტურ სიღარიბეზე უკვე ვისაუბრეთ, მათზე მეტად აღარ შევჩერდებით, და, გავაანალიზებთ ჯინის კოეფიციენტს, შემოსავლებს, ხარჯებს და აგრეთვე სულადობრივ მთლიან შიდა პროდუქტს.

---

[3] ვანიშვილი მ.,გიგუაშვილი გ. სოციალური ეკონომიკა, თბ., 2013, გვ.180-181

რაც შეეხება მოსახლეობის საშუალო შემოსავლების სიდიდეს, რომლითაც ხასიათდება მოსახლეობის ცხოვრების დონე, საქართველოში იგი ძალიან მცირეა. ამის შესახებ ცხრილი 2 გვიჩვენებს, შემდეგს:

2016 წელს საქართველოს მოსახლეობის შემოსავალი, ერთ მცხოვრებზე შეადგენდა 302.2 ლარს, ხარჯი კი 297.7 ლარი იყო. შესაბამისად, 2016 წელს თვიურმა დანაზოგმა 4,5 ლარი შეადგინა.

2017 წელს სულადობრივმა შემოსავალმა 317,2 ლარი შეადგინა, საშუალო სულადობრივმა ხარჯმა 312.2 ლარი, დანაზოგი კი 5.0 ლარია.

2018 წელს სულადობრივმა შემოსავალმა 318,3 ლარი შეადგინა, საშუალო სულადობრივი ხარჯი სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით არ შეცვლილა და კვლავ 312.2 იყო, მაგრამ რადგან შემოსავალმა მოიმატა 1.1 ლარით, დანაზოგიც 1.1 ლარით მეტია წინა წელთან შედარებით და მან შესაბამისად 6.1 შეადგინა.

2019 წელს სულადობრივმა შემოსავალმა 336.1 ლარი შეადგინა, საშუალო სულადობრივი ხარჯი 327.7 წინა წლის მონაცემებთან შედარებით 15.5 ლარით მეტია, შემოსავალმა მოიმატა 17.8 ლარით და დანაზოგიც 2.3 ლარით მეტია წინა წელთან შედარებით და შესაბამისად

მან 8.4 ლარი შეადგინა.

ცხრილი 2.

საშუალო თვიური სულადობრივი შემოსავალი და დანაზოგი საქართველოში 2016 -2019 წლებში

წელი	სულადობრივი შემოსავალი თვეში	საშუალო სულადობრივი ხარჯი თვეში	თვიური დანაზოგი
2016	302.2	297.7	4,5
2017	317,2	312.2	5
2018	318,3	312.2	6.1
2019	336.1	327.7	8.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ვხედავთ, თვიური დანაზოგი ბოლო სამი წლის განმავლობაში ათ ლარსაც კი ვერ აღწევს.

2019 წელს წლის განმავლობაში დანაზოგი 100,8 ლარია. რაც იმდენად მიზერული თანხაა, რომ არანაირ რეალურ ზეგავლენას ვერ მოახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე.

უკეთესი მდგომარეობა არც რეგიონებშია. 2013-2019 წლებში გარდა ერთი გამონაკლისისა, რეგიონების მოსახლეობის საშუალო სულადობრივი თვიური შემოსავალი 400 ლარსაც კი არ გატოლებია. ეს გამონაკლისი იყო რაჭა-ლეჩხუმში 2019 წელს, როცა საქართველოს სტატისტიკური სამსახურის ცნობით, ამ მაჩვენებელმა 400.3 ლარი შეადგინა (ცხრილი 3).

ცხრილი3

საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური სულადობრივი შემოსავლები რეგიონების მიხედვით 2013-2019 წლებში (ლარი)

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	დინამიკა 2019 წელი %-ად 2013 წელთან
თბილისი	301.7	316.8	346.1	374	377.6	369.2	365.7	121.6
აჭარის გურია	241.3 ...	265.4 ...	254. ...	287.9 ...	303 ...	295.2 ...	333.8 243.6	136.5
იმერეთი	257.1	266.3	273.8	271.6	319.8	310.3	360	143
კახეთი	250	251.5	289.7	297.3	273	357.6	346.7	138.7
მცხეთა-მთიანეთი	...	...	...	...	...	...	287.2	-
რაჭა-ლეჩხუმი	...	...	...	...	...	...	400.3	
სამეგრელო ზემო-სვანეთი	222.2	282	312	311.6	303.3	275.2	300.7	135.5
სამცხე-ჯავახეთი	...	...	...	...	...	...	361.4	
ქვემო ქართლი	199.1	213	223.7	235.3	268.2	251.5	283.4	142.2
შიდა ქართლი	228.3	252.3	250.5	256.6	282.7	307.1	309.3	134.9
სულ საქართველო	251.1	278.7	290.2	302.2	317.2	310.3	336.1	133.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ესეც მორიგი პარადოქსია, რადგან ეს რეგიონი არის ნაკლებგანვითარებული, დეპრესირებული რეგიონი, რაც იქიდან ჩანს რომ ამ რეგიონში ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდის მხოლოდ 3.8 მლნ ლარი ბრუნვა (საქართველოს შესაბამისი მაჩვენებელი-29.5 მლნ ლარი) და მხოლოდ 1.3 მლნ ლარი დამატებული ღირებულება (საქართველოს შესაბამისი მაჩვენებელი 6.6 მლნ ლარი) (იხილეთ დანართი 2,3,4). დანარჩენი რეგიონებიდან შემოსავლის საშუალო საქვეყნო მაჩვენებელზე უკეთესი მდგომარეობა აღმოაჩნდათ ქ.თბილისს (ყოველ საანალიზო წესს), სამეგრელოს (2014 და 2016 წლებში) იმერეთს (2017 და 2019 წლებში), კახეთს (2018-2019 წლებში) და რაჭა-ლეჩხუმს (2019 წელს). აღნიშნულის მიუხედავად მათი თვიური შემოსავლები, როგორც ავღნიშნეთ, ერთი გამონაკლისის გარდა 400 ლარს არ ასცილებია.

ყველაზე მაღალი შემოსავალი, წელიწადში 100 000 ლარზე მეტი საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 0.21 %-ს აქვს. ყოველთვიურად 5000 ლარი და მეტი შემოსავალი კი-მოსახლეობის 0.57 %-ს. [4]

[4] თვეში 5000 ლარზე მაღალი ხელფასი, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 0.5%-ს აქვს - https://www.bm.ge/ka/article/tveshi-5000-larze-magali-xelfasi-saqartvelos-mosaxleobis-mxolod-05-s-aqvs/36426



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ნახაზი 6. ყოველთვიური შემოსავლების დიფერენცირებული ჯგუფები 2018 წლის მდგომარეობით

ამ ფონზე ძალიან საინტერესოა მონაცემები საშუალო თვიური ხელფასის შესახებ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საშუალო თვიური ხელფასის ოდენობა ყოველწლიურად მზარდია, 2018 წლის მონაცემებით იგი 1068 ლარია, 2019 წელს კი 1204 ლარი.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ნახაზი 7. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ლარში

მაშასადამე, დასაქმებულთა ხელფასებში ზრდა ნამდვილად შეინიშნება, მაგრამ ყველა შრომისუნარიანი დასაქმებული ხომ არ არის. მაშ, რა ქნან უმუშევრებმა, 50 ლარიანი სოციალური დახმარებით როგორ ირჩინონ თავი?

ჩვენ მონოგრაფიული თემის კონტექსტში, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა. საქართველოს შემთხვევაში მთლიანი შიდა პროდუქტის სულადობრივი მაჩვენებელი ბოლო წლების

განმავლობაში მზარდია, მაგრამ ლარის კურსის გაუფასურების გამო, მისი მსყიდველობითი უნარიანობა შემცირებულია. ამ მაჩვენებელმა საქართველოში შეადგინა :[5]

- 2016 წელი - 9 613.9 ლარი.
- 2017 წელი - 10 933.9 ლარი.
- 2018 წელი - 11 968.0 ლარი.
- 2019 წელი - 13428.9 ლარი.

მთლიანი შიდა პროდუქტის სულადობრივი მაჩვენებლის სიდიდეშიც დიდი დისპროპორციაა რეგიონებს შორის. დანართი 1 გვიჩვენებს, რომ 2019 წელს მისი ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა ქ.თბილისში (7815.7 აშშ დოლარი), ყველაზე დაბალი კი გურიაში (2687.7 აშშ დოლარი). ამ წელს საქართველოში იგი დოლარზე გადააგნარიშებით საშუალოდ 4196.5 აშშ დოლარს შეადგენდა. მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო სულადობრივი მაჩვენებელი კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში ამ საშუალო საქვეყნო მაჩვენებლის მხოლოდ 63-76%-ის ფარგლებში მერყეობდა.

ეხლა რაც შეეხება შემოსავლებში უთანასწორობას, ანუ ჯინის კოეფიციენტს.

მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით გამოთვლილი ჯინის კოეფიციენტი საქართველოში

[5] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi

2008 - 2019 წლების განმავლობაში 0.40 -0.37 -ის ფარგლებში მერყეობდა: (ცხრილი 4)

ხრილი 4.

ჯინის კოეფიციენტი საქართველოში (2008-2019 წლებში)

	მთლიანი შემოსავლების მიხედვით[1]	მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით[2]	მთლიანი სახსრების მიხედვით[3]	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით[4]	მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით[5]	მთლიანი ხარჯების მიხედვით[6]
2008	0.43	0.5	0.46	0.4	0.47	0.43
2009	0.43	0.5	0.45	0.4	0.47	0.43
2010	0.44	0.49	0.45	0.42	0.48	0.44
2011	0.43	0.49	0.46	0.42	0.49	0.46
2012	0.42	0.47	0.44	0.41	0.48	0.44
2013	0.4	0.43	0.41	0.39	0.45	0.42
2014	0.4	0.43	0.41	0.39	0.47	0.44
2015	0.4	0.43	0.41	0.38	0.45	0.43
2016	0.4	0.43	0.41	0.39	0.46	0.43
2017	0.41	0.45	0.43	0.4	0.47	0.45
2018	0.39	0.42	0.4	0.37	0.44	0.42
2019	0.39	0.42	0.4	0.37	0.44	0.43

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილი 4 გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის შემოსავლებში უთანასწორობა რამდენადმე შემცირებულია, თუმცა იგი მის კრიტიკულ ზღვართან (0.41-0.46) მაინც ახლოსაა.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული მონაცემების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მოსახლეობის შემოსავლების უთანასწოობა მცირდება მეტად უმნიშვნელოდ.

საქართველოში არსებული სიღარიბის დასაძლევად და უთანასწორობის შესამცირებლად ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები საკმარისი არ არის. საჭიროა უფრო რადიკალური ქმედებები ბიზნესის განვითარების მიმართულებით. კერძოდ, ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის და მომსახურების მოცულობა უნდა გაიზარდოს იმ დონემდე, რომ მან დაიკავოს ბიზნესის ბრუნვაში დომინირებული მდგომარეობა. ვფიქრობთ, ამ გზით ამაღლდება დასაქმება და გაიზრდება მოსახლეობის შემოსავლები.

2.3 . წეროვნის ლტოლვილთა დასახლებაში მოსახლეობის ცხოვრების დონის და ახალგაზრდა ლტოლვილების ბიზნეს-ინკუნატორში სწავლებისთვის მზადყოფნის გამოკვლევა

წეროვანის დასახლებაში 80 ოჯახში ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევით, რომლის მიზანი იყო სიღარიბის დონის დადგენა, დავადგინეთ, რომ 57 ოჯახი ანუ გამოკითხულთა 72.5% ღარიბია, 7,5% - 6 ოჯახი ღატაკი, ხოლო 20% ანუ 17 ოჯახი შედარებით უკეთ ცხოვრების, მაგრამ არც ისინი არ ითვლებიან შეძლებულ ოჯახებად (ცხრილი 4).

ღატაკებს მივაკუთვნეთ გამოკვლევაში მოხვედრილი 28, 33, 42, 54, 61, 67 ოჯახები. მათ არანაირი ფულადი შემოსავალი არ აქვთ და ცხოვრობენ წეროვანში მათთვის მიცემულ მიწის ნაკვეთის მოსავლით. ღარიბებს მივაკუთვნეთ დღეში 2 დოლარის და მასზე ნაკლების (კვლევის პროცესში ლარისკურსი 1:2.88) სულადობრივი მოხმარების ოჯახები (ეს თანხა არის 5.76 ლარი). მათი რიცხვი, როგორც აღვნიშნეთ 57 ოჯახია.

რაც შეეხება 17 ოჯახს, რომლებიც ღარიბები არ არიან, მათ მივაკუთვნეთ 3, 10, 11, 14, 19, 20, 24, 27, 38, 31, 55, 58, 66, 73, 74, 78 და 79 ოჯახები. მათ დღეში ორ დოლარზე მეტი აქვთ შემოსავალი. მათგან მხოლოდ ოთხი ოჯახია (11, 14, 66 და 74), რომლებსაც დღეში 3-4 ჯერ მეტი შემოსავალი აქვთ (66-ოჯახის წევრებს 8ჯერ მეტიც), ვიდრე ღარიბებს. ამ ოჯახებს

ემიგრაციაში ყავთ ოჯახის წევრები და იქიდან იღებენ ფულად გზავნილებს. იმის მიუხედავად, რომ საზღვარგარეთ მუშაობით მრავალი ოჯახი საქართველოში თავს იცავს შიმშილისგან, ამის წაქეზება , ჩვენი აზრით, არ შეიძლება. ასეთი მიდგომით საქართველო დაიცლება მოსახლეობისგან.

დავაჯამეთ რა, წეროვნის 80 ოჯახის თითოეული წევრის სულადობრივი თვიური შემოსავალი, რომელმაც მთლიანობაში შეადგინა 950,005 ლარი, მისი 80 ოჯახის 240 წევრზე გაყოფით მივიღეთ 395,8 ლარის საშუალო თვიური შემოსავალი.

ცხრილი 5

ლტოლვილთა წეროვანის დასახლების 80 ოჯახში ჩატარებული კვლევის შედეგები[1]

ოჯახი	სულის N-ები	ოჯახის წევრთა რაოდენობა	ოჯახის ფინანსური ფონდი	ფასიანი ფონდი	ფასიანი ფონდი ლარში	1 სულზე ფასიანი ფონდი ლარში	1 სულზე ფასიანი ფონდი ლარში	ეკონომიკურად ზეგავლენა ფასიანი ფონდის ფონზე	ხელფასის ფონზე ფასიანი ფონდის ზეგავლენა	ეკონომიკურად ოჯახებზე ფასიანი ფონდის ზეგავლენა
ოჯახი 1	102	3	950	300	550-300=250	250:3=83.33	83.33/30=2.77	2*2.88=5.76	5.76>2.77	ლარი
ოჯახი 2	107	2	250	200	50	50:2=25	25/30=0.83	2*2.88=5.76	5.76>0.83	ლარი
ოჯახი 3	105	5	800	550	250	25	0.83	2*2.88=5.76	5.76>0.83	ლარი
ოჯახი 4	225	2	600	200	400	200	6.66	2*2.88=5.76	5.76<6.66	------
ოჯახი 5	227	4	900	500	400	100	3.33	2*2.88=5.76	5.76>3.33	ლარი
ოჯახი 6	229	6	1200	800	400	66.66	2.22	2*2.88=5.76	5.76>2.22	ლარი
ოჯახი 7	301	3	600	350	150	50	1.66	2*2.88=5.76	5.76>1.66	ლარი
ოჯახი 8	1207	5	1000	500	500	100	3.33	2*2.88=5.76	5.76>3.33	ლარი
ოჯახი 9	1100	4	800	300	500	125	4.16	2*2.88=5.76	5.76>4.16	ლარი
ოჯახი 10	1300	2	900	300	600	300	10	2*2.88=5.76	5.76<10	------
ოჯახი 11	89	1	800	300	500	500	16.66	2*2.88=5.76	5.76<16.66	------
ოჯახი 12	85	5	1300	800	500	100	3.33	2*2.88=5.76	5.76>3.33	ლარი
ოჯახი 13	83	3	700	450	250	83.33	2.77	2*2.88=5.76	5.76>2.77	ლარი

[1] კვლევა ჩატარებულია ავტორის მიერ. სიღარიბის ზღვრად მიჩნეულია ეკონომიკურ დაწესებულებელი შეფასაველის ნორმატივი-დღეში 2 დოლარი.

ცხრილი 5 გაგრძელება

ოჯახი 14	74	2	1600	300	1300	650	21.66	2*2.88=5.76	5.76<21.66	------
ოჯახი 15	76	2	700	400	300	150	5	2*2.88=5.76	5.76>5	ღარიბი
ოჯახი 16	1604	4	900	500	400	100	3.33	2*2.88=5.76	5.76>3.33	ღარიბი
ოჯახი 17	1600	3	880	500	380	126.66	4.22	2*2.88=5.76	5.76>4.22	ღარიბი
ოჯახი 18	1602	1	245	200	45	45	1.5	2*2.88=5.76	5.76>1.5	ღარიბი
ოჯახი 19	1500	1	900	300	600	600	20	2*2.88=5.76	5.76<20	------
ოჯახი 20	1507	5	2500	1500	1000	200	6.66	2*2.88=5.76	5.76<6.66	------
ოჯახი 20	1507	5	2500	1500	1000	200	6.66	2*2.88=5.76	5.76<6.66	------
ოჯახი 21	1509	4	1500	1000	500	125	4.16	2*2.88=5.76	5.76>4.16	ღარიბი
ოჯახი 22	400	3	800	450	350	116.66	3.88	2*2.88=5.76	5.76>3.88	ღარიბი
ოჯახი 23	425	2	700	300	400	200	6.66	2*2.88=5.76	5.76<6.66	ღარიბი
ოჯახი 24	423	5	3500	2000	1500	300	100	2*2.88=5.76	5.76<100	------
ოჯახი 25	447	2	400	300	100	50	1.66	2*2.88=5.76	5.76>1.66	ღარიბი
ოჯახი 26	455	3	900	450	450	150	5	2*2.88=5.76	5.76>5	ღარიბი
ოჯახი 27	477	2	700	350	350	175	5.83	2*2.88=5.76	5.76<5.83	------
ოჯახი 28	448	1	245	245	0	0	0	2*2.88=5.76	5.76>0	დატაკი
ოჯახი 29	450	3	1200	900	300	100	3.33	2*2.88=5.76	5.76>3.33	ღარიბი

ცხრილი 5 გაგრძელება

ოკეანი 30	479	4	1400	800	600	150	5	2*2.88=5.76	5.76>5	ღარიბი
ოკეანი 31	1302	2	1200	800	400	200	6.66	2*2.88=5.76	5.76<6.66	------
ოკეანი 32	1307	2	600	450	150	75	2.5	2*2.88=5.76	5.76>2.5	ღარიბი
ოკეანი 33	68	1	245	245	0	0	0	2*2.88=5.76	5.76>0	დატკეი
ოკეანი 34	64	3	900	500	400	133.33	4.44	2*2.88=5.76	5.76>4.44	ღარიბი
ოკეანი 35	66	3	450	300	150	50	1.66	2*2.88=5.76	5.76>1.66	ღარიბი
ოკეანი 36	62	4	800	450	350	116.66	3.88	2*2.88=5.76	5.76>3.88	ღარიბი
ოკეანი 37	50	5	2500	1800	700	140	4.66	2*2.88=5.76	5.76>4.66	ღარიბი
ოკეანი 38	227	5	3500	2500	2000	400	13.33	2*2.88=5.76	5.76<13.33	------
ოკეანი 39	229	2	490	400	90	45	1.5	2*2.88=5.76	5.76>1.5	ღარიბი
ოკეანი 40	221	4	1400	800	600	150	5	2*2.88=5.76	5.76>5	ღარიბი
ოკეანი 41	223	1	700	600	100	100	3.33	2*2.88=5.76	5.76>3.33	ღარიბი
ოკეანი 42	302	1	245	245	0	0	0	2*2.88=5.76	5.76>0	დატკეი
ოკეანი 43	306	2	950	700	150	75	2.5	2*2.88=5.76	5.76>2.5	ღარიბი
ოკეანი 44	308	2	550	300	250	125	4.16	2*2.88=5.76	5.76>4.16	ღარიბი
ოკეანი 45	350	3	900	500	400	133.33	4.44	2*2.88=5.76	5.76>4.44	ღარიბი
ოკეანი 46	355	4	1800	1500	300	75	2.5	2*2.88=5.76	5.76>2.5	ღარიბი

ცხრილი 5 გაგრძელება

ოკები 47	700	5	2500	2000	500	100	3.33	2"2.88=5.76	5.76>3.33	ლარიები
ოკები 48	709	5	1500	1200	300	60	2	2"2.88=5.76	5.76>2	ლარიები
ოკები 49	720	1	600	450	150	150	5	2"2.88=5.76	5.76>5	ლარიები
ოკები 50	710	3	1200	850	350	116.66	3.88	2"2.88=5.76	5.76>3.88	ლარიები
ოკები 51	704	2	800	550	250	125	4.16	2"2.88=5.76	5.76>4.16	ლარიები
ოკები 52	702	3	1100	850	250	83.33	2.77	2"2.88=5.76	5.76>2.77	ლარიები
ოკები 53	601	4	2500	1900	600	150	5	2"2.88=5.76	5.76>5	ლარიები
ოკები 54	603	2	490	490	0	0	0	2"2.88=5.76	5.76>0	ლატაკი
ოკები 55	607	5	3500	2000	1500	300	10	2"2.88=5.76	5.76<10	------
ოკები 56	630	5	1500	1000	500	100	3.33	2"2.88=5.76	5.76>3.33	ლარიები
ოკები 57	667	3	1800	1200	500	166.66	5.55	2"2.88=5.76	5.76>5.55	ლარიები
ოკები 58	200	1	800	600	200	200	6.66	2"2.88=5.76	5.76<6.66	------
ოკები 59	220	6	3000	2000	1000	166.66	5.55	2"2.88=5.76	5.76>5.55	ლარიები
ოკები 60	222	4	1200	800	400	100	3.33	2"2.88=5.76	5.76>3.33	ლარიები
ოკები 61	228	6	2500	2500	0	0	0	2"2.88=5.76	5.76>0	ლატაკი
ოკები 62	226	2	800	550	250	125	4.16	2"2.88=5.76	5.76>4.16	ლარიები
ოკები 63	255	1	245	200	45	45	1.5	2"2.88=5.76	5.76>1.5	ლარიები

ცხრილი 5 გაგრძელება

ოღესი 64	510	3	1200	1100	100	33.33	1.11	2*2.88=5.76	5.76>1.11	დაშვება
ოღესი 65	516	2	650	500	150	75	2.5	2*2.88=5.76	5.76>2.5	დაშვება
ოღესი 66	570	2	1700	300	1400	1400	46.66	2*2.88=5.76	5.76<46.66	------
ოღესი 67	572	1	245	245	0	0	0	2*2.88=5.76	5.76>0	დაბალი
ოღესი 68	578	3	735	600	135	45	1.5	2*2.88=5.76	5.76>1.5	დაშვება
ოღესი 69	602	4	1300	1100	200	50	1.66	2*2.88=5.76	5.76>1.66	დაშვება
ოღესი 70	1116	4	2000	1450	550	137.5	4.58	2*2.88=5.76	5.76>4.58	დაშვება
ოღესი 71	1118	2	1100	800	300	150	5	2*2.88=5.76	5.76>5	დაშვება
ოღესი 72	2000	1	600	500	100	100	3.33	2*2.88=5.76	5.76>3.33	დაშვება
ოღესი 73	42	1	550	300	250	250	8.33	2*2.88=5.76	5.76<8.33	------
ოღესი 74	44	3	3000	1500	1500	500	16.66	2*2.88=5.76	5.76<16.66	------
ოღესი 75	48	2	800	500	300	150	5	2*2.88=5.76	5.76>5	დაშვება
ოღესი 76	30	2	490	400	90	45	1.5	2*2.88=5.76	5.76>1.5	დაშვება
ოღესი 77	32	5	2400	1600	800	160	5.33	2*2.88=5.76	5.76>5.33	დაშვება
ოღესი 78	47	3	1800	1000	800	266.66	8.88	2*2.88=5.76	5.76<8.88	------
ოღესი 79	43	2	900	450	450	225	7.5	2*2.88=5.76	5.76<7.5	------
ოღესი 80	45	6	2800	2000	800	133.33	4.44	2*2.88=5.76	5.76>4.44	დაშვება
სულ		240	95005							

წყარო: ცხრილი შედგენილია აგტორის მიერ.

ამის შემდეგ მოვახდინეთ მისი შედარება საქართველოს მოსახლეობის 2019 წლის საშუალო სულადობრივ შემოსავლებთან (ცხრილი 6) და აღმოჩნდა შემდეგი:

ცხრილი 6.

წეროვნის ლტოლვილთა სულადობრივი თვიური შემოსავლის შედარება საქართველოს საშუალო სულადობრივ შემოსავლებთან

წელი	საქართველოს მოსახლეობის საშუალო სულადობრივი თვიური შემოსავალი	წეროვნის დასახლებაში მოსახლეობის თვიური სულადობრივი სარგო	გადახრა საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან
2016	302.2	-	-
2017	317.2	-	-
2018	318.3	395.8	+77.5
2019	336.1		

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

როგორც მე-6 ცხრილში არსებული მონაცემებიდან ჩანს, წეროვნის დასახლებაში მოსახლეობის 2018 წლის სულადობრივი შემოსავალი აჭარბებს საქართველოს მოსახლეობის სულადობრივ თვიურ შემოსავალს. მაგრამ

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები მიღებულია საშუალო არითმეტიკული გამოთვლის მეთოდით, რაც სამწუხაროდ არასწორ სურათს იძლევა.

ამის შემდეგ იმ შემოსავლების მიხედვით, რომელსაც წეროვნის ლტოლვილ მოსახლეობას ქონდა, შევადგინეთ შემოსავლების 5 ჯგუფი(100-ლარამდე თვეში, 101-დან 200 ლარამდე, 201 ლარიდან 300 ლარამდე, 301-დან 500 ლარამდე და 500-ზე მეტის და ვიანგარიშეთ ჯინის კოეფიციენტის გამოსათვლელი მაჩვენებლები (ცხრილი N7) და თვითონ ჯინის კოეფიციენტი (შემოსავლების მიხედვით).

ცხრილი 7.

ამოსავალი მონაცემები ჯინის კოეფიციენტის გამოსათვლელად წეროვნის ლტოლვილთა დასახლებაში

შემოსავლების ჯგუფები	გამოკითხულთა რაოდენობა	საშუალო ოჯახური ზომა (კოეფიციენტი)	საშუალო შემოსავალი ოჯახში (ლარი)	ძოლიბი შემოსავალი	შემოსავლების ხვედრითი წილები (კოეფიციენტი)	ოჯახური ბიუჯეტი ჯგუფში		
						მოსახლეობის მიხედვით (P)	შემოსავლების მიხედვით(Q)	
100 ლარამდე	111	0.49	50	5500	0.17	0.46	0.17	
101-დან 200-მდე	58	0.41	150	14700	0.47	0.46+0.41=0.87	0.17+0.47=0.64	
201-დან 300-მდე	30	0.7	250	7500	0.24	0.87+0.07=0.94	0.64+0.14=0.78	
301 დან 500 მდე	5	0.4	400	2000	0.11	0.94+0.04=0.98	0.78+0.11=0.89	
501 დან მეტი	5	0.2	700	3500	0.11	0.98+0.02=1	0.89+0.11=1	
სულ	249	1	1650	32,200	1			

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ.

ჯინის კოეფიციენტი
კ={(0.46*0.64)+(0.87*0.78)+(0.94*0.89)+(0.98*1.0)}-{(0.87+0.17)+(0.94*0.64)+(0.98*0.78)+(1.0*0.89)}=(0.2944+0.624+0.8360+0.98)- (0.1479+0.6016+0.7644+0.89)=2.735-2.4039=0.33

გაანგარიშებით დავადგინეთ, რომ წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში შემოსავლების მიხედვით გაანგარიშებული ჯინის კოეფიციენტი არის 0.33. საქართველოში 2018-2019 წლებში მაჩვენებელი შეადგენდა 0.39-ს. როგორც ვიცით რაც დაბალია ჯინის კოეფიციენტი მით დაბალია ეკონომიკური უთანასწორობა მოსახლეობაში. ამ მხრივ წეროვანის ლტოლვილთა დასახლება თითქოს ევროპის მოწინავე ქვეყნების დონეზეა (სკანდინავიის ქვეყნებში ჯინის კოეფიციენტი 0.27-0.28 არის).მაგრამ ეს ერთი შეხედვით. თუ უფრო ღრმად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ამას იწვევს არა ლტოლვილთა მთელი დასახლების თანაბრად კარგად ცხოვრება, არამედ თანაბრად ცუდად ცხოვრება. როგორც კვლევამ გვიჩვენა 80 გამოკითხული ოჯახიდან მხოლოდ 16 -ოჯახს არაუშავს, დანარჩენი ღარიბ-ღატაკია, ამიტომაა ჯინის კოეფიციენტი დაბალი და არა იმიტომ, რომ თითქოს ყველა კარგად ცხოვრობს.

ყოველივე ზემონათქვამი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემაჯამებელი დასკვნა იმის შესახებ, რომ წეროვანის მთელი მოსახლეობა ღარიბია და მათი სიღარიბიდან გამოსვლა მხოლოდ მათი დასაქმებით შეიძლება, ჩვენი აზრით, ეს უნდა მოხდეს არა მათი ემიგრაციაში წასვლით, ანდა მათზე დასარიგებელი

ლტოლვილთა შემწეობების გახუთმაგება - გაათმაგებით, არამედ მათი საქართველოში დასაქმებით. მაგრამ არსებობს ერთი დიდი პრობლემა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ მეწარმისეული განათლება არ გააჩნიათ. ბევრ მათგანს სკოლაც არ აქვთ დამთავრებული.

თუ რა უნდა გავაკეთოთ წეროვანის ლტოლვილთა დასახლების ღარიბი მოსახლეობის ჩასართავად ბიზნესში, ანუ თუ როგორ განვავითაროთ მათთან ინკლუზიური ბიზნესი, ამაზე ნაშრომის მესამე თავში გვექნება საუბარი.

მეორე თავის დასკვნა

1. საქართველოში მოსახლეობის უმუშევრობა და სიღარიბე ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა და მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. არიან შეძლებულნიც და მდიდრებიც. ერთი სიტყვით, დიდია ეკონომიკური უთანასწორობა. საქართველოში სოციალური უთანასწორობის ზრდა 1990-იანი წლებიდან დაიწყო, მაშინ როდესაც მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, ძირითადად ხელისუფლებაში მყოფმა პირებმა ხელში ჩაიგდეს ქვეყანაში არსებული ქონების დიდი ნაწილი, მეორე ნაწილი კი სრულიად გაღატაკდა. მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა, მაგრამ ვითარება თითქმის არ შეცვლილა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით საქართველოს მოსახლეობის

20.1%-ი სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით ცხოვრობს, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ ადამიანებს მინიმალურ საარსებო პირობებზეც კი არ მიუწვდებათ ხელი.

2. ქვეყანაში სიღარიბის დონის სხვა მაჩვენებელიც არსებობს, კერძოდ ფარდობითი მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ქვეყანაში მედიანური მოხმარების 60%-ზე ნაკლებს მოიხმარს მოსახლეობის - 20.5%, 40%-ზე ნაკლებს კი- მოსახლეობის 7.5% -ი.

3. ცხოვრების დონის განმსაზღვრელი შემდეგი მაჩვენებელის - ჯინის კოეფიციენტის მიხედვითაც საქართველოს ნამდვილად ვერ იამაყებს მოსახლეობის ცხოვრების დონის ხარისხით, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი ხარჯების მიხედვით გამოთვლილი ჯინის კოეფიციენტმა 0.40 დან 0,37 - მდე შემცირდა, იგი ევროპის ქვეყნებთან შედარებით მაინც მაღალია.

4. ჩვენს მიერ განხორციელებულ წეროვანის დევნილთა დასახლებაში გამოკითხული 80 ოჯახიდან 57 (72.5%), ოჯახი ღარიბი აღმოჩნდა, 6 (7,5%) ოჯახი ღატაკი, ხოლო 17 (20%) ოჯახი შედარებით უკეთ ცხოვრობს. ღატაკის კატეგორიას მიკუთვნებულ ოჯახებს არანაირი ფულადი შემოსავალი არ აქვთ. ღარიბებს მიკუთვნებული ოჯახები დღეში 2 დოლარის და მასზე ნაკლების მოიხმარენ. რაც შეეხება 17 ოჯახს, რომლებიც ღარიბები არ არიან, მათ დღეში ორ დოლარზე მეტი აქვთ შემოსავალი. თუმცა მათი

შემოსავალი ემიგრაციაში მყოფი ოჯახის წევრის ხელფასია.

5. წეროვანის დასახლების გამოკვლეული ოჯახების ერთი წევრის თვიური შემოსავალი 395,8 ლარია. ამ მონაცემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ წეროვანის დასახლებაში მოსახლეობის 2018 წლის სულადობრივი შემოსავალი აჭარბებს საქართველოს მოსახლეობის სულადობრივ თვიურ შემოსავალს, მაგრამ დღევანდელი ფასების პირობებში ამ შემოსავლის მსყიდველობითი უნარიანობა ძალზეც დაბალია.

6. წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში შემოსავლების მიხედვით გაანგარიშებული ჯინის კოეფიციენტი არის 0.33. (საქართველოში 2019 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 0.39-ს,) სამწუხაროდ, ამას იწვევს არა ლტოლვილთა მთელი დასახლების თანაბრად კარგად ცხოვრება, არამედ ყველას თანაბრად ღარიბად ცხოვრება.

7. ყოველივე ზემონათქვამი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემაჯამებელი დასკვნა იმის შესახებ, რომ წეროვანის მთელი მოსახლეობა ღარიბია და მათი სიღარიბიდან გამოსვლა მხოლოდ მათი დასაქმებით შეიძლება.

თავი 3 საქართველოში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების პერსპექტივები

3.1 საქართველოს რეგიონებში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების არსებული ჩარჩო -მოდელის შეფასება და ტრანსფორმირება

საქართველოს რეგიონებში ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების კონცეფცია შემუშავდა ბიზნესის განვითარების მხარდაჭერისა და ბიზნესმენთა უფლებების დაცვის ასოციაციის მიერ ჯერ კიდევ 2004 წელს.[6] წინამდებარე ნაშრომში მოვახდინეთ ამ კონცეფციის შეფასება ბიზნეს-ინკუბატორისადმი დღეს წარდგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, და, წარმოვადგინეთ მისი ტრანსფორმირებული მოდელი.

ბიზნეს-ინკუბატორისადმი დღეს წარდგენილი მოთხოვნებიდან ყველაზე მთავარია მისი ინკლუზიურობა, ანუ ბიზნესის სწავლაში და შემდეგ საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში მოწყვლადი მოსახლეობის ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა, განუსაზღვრელად ასაკისა, სქესისა, სოციალური სტატუსისა, ეროვნებისა და ა.შ. ადრეულ წლებში ბიზნეს-ინკუბატორი ამ ფორმატში არ განიხილებოდა. იგი მიიჩნეოდა გასახსნელად გამზადებული, ან/და ახლად გახსნილი, მაგრამ პრობლემების მქონე ფირმების დახმარების ადგილად.

---

[6] ბალიაშვილი ე,. ღუდუშაური ზ. ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის განვითარების პერსპექტივები საქართველოს რეგიონებში,ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის და ბიზნესმენთა უფლებების დაცვის ასოციაცია, თბ.,2004, გვ.1-46

ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების ზემოთხსენებული კონცეფცია მათი დაფუძნების ინიციატორებად სახელმწიფოს მართვის ადგილობრივ ორგანოებს თვლიდა. ადრეულ წლებში ასე იყო საზღვარგარეთაც, მაგრამ ამჟამად იქ კერძო ბიზნეს-ინკუბატორებიც არის გახსნილი. ამ საკითხში ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ კონცეფციის ავტორებს და მიგვაჩნია, რომ საქართველოში კერძო სექტორი ჯერ-ჯერობით ბიზნეს-ინკუბატორების გახსნის ინტერესს არ გამოიჩენს, რადგან იგი მას მოგებას ვერ მოუტანს, ამიტომ ამ საქმის პიონერიც და დამფინანსებელიც სახელმწიფო უნდა იყოს. ბიზნეს-ინკუბატორების გახსნაში სახელმწიფოს ინტერესი უნდა იყოს დაუსაქმებელი ღარიბი მოსახლეობის დასაქმება და ამ გზით მათი სიღარიბიდან გამოყვანა.

მოცემული კონცეფციის ავტორები საქართველოს რეგიონებში ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნების პროექტს 6-ეტაპად განიხილავენ:[7]

1. ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა-გავრცელების მუშა პროგრამის შედგენა;
2. საკანონმდებლო დოკუმენტების შემუშავება;
3. ბიზნეს-ინკუბატორებზე მოთხოვნის და საჭირო რესურსების მოცულობის განსაზღვრა;
4. ტიპიურ დოკუმენტთა პაკეტის დაკომპლექტება და ვებ-გვერდზე განთავსება;

---

[7] ბალიაშვილი ე., ღუდუშაური ზ. ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის განვითარების პერსპექტივები საქართველოს რეგიონებში,ბიზნესის განვითარების მხარდაჭერის და ბიზნესმენთა უფლებების დაცვის ასოციაცია, თბ.,2004, გვ.29

5. ბიზნესის დამწყებ ან უკვე გახსნილ ფირმების შერჩევა და ბიზნეს-ინკუბატორში მათი განთავსება;

6. ბიზნეს-ინკუბატორების გახსნისთვის რესურსების გამოყოფა და მათი დაფუძნება;

როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, ამ კონცეფციის ავტორები ფოკუსირდებიან ბიზნესში ახლადგახსნილ ფირმებზე, რომლებსაც პრობლემები აქვთ, ანდა მათზე, ვისაც ჯერ ფირმა არ გაუხსნია, მაგრამ მზადაა მისი გახსნისთვის. ჩვეულებრივ პირობებში ბიზნეს-ინკუბატორის გახსნისას ასეთი მიდგომა სრულიად მისაღებია. ასეთი ფირმები ბიზნეს-ინკუბატორში პრაქტიკულად ისწავლიან თუ როგორ გაუძღვნენ ბიზნესს და მომსახურების რაღაცა ნაწილს (მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვა, კომპიუტერული მომსახურება და ა.შ) ბიზნეს-ინკუბატორებიდან უფასოდაც მიიღებენ.

ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორთან მიმართებაში ეს საკითხი ბიზნეს-ინკუბატორის საქმიანობის მეორე ნაწილია. რადგან ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორი იხსნება მხოლოდ დაუსაქმებელი ღარიბ-ღატაკი მოსახლეობისთვის, ანუ ე.წ. ,,გარიყული“ ფენისთვის, ’’რომელთაც არა თუ ფირმები აქვთ“ გახსნილი, ან იწყებენ გახსნას, არამედ ელემენტარული საკვები პროდუქტების შეძენის საშუალებაც არა აქვთ. ამ ტიპის ბიზნეს-ინკუბატორში, ჩვენი ღრმა რწმენით, ამ ადამიანებს ჯერ უნდა თეორიულად ვასწავლოთ ბიზნესი და მხოლოდ შემდეგ დავეხმაროთ მათ იმაში, რომ წამოიწყონ ბიზნესი იმ სფეროში, რომელსაც ისინი ყველაზე უკეთ დაეუფლებიან.

მაშასადამე, ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორი არ არის ჩვეულებრივი ბიზნეს-ინკუბატორი. ის ჩვენ ბიზნესში ღარიბების თეორიული და პრაქტიკულ დაოსტატების ადგილად წარმოგვიდგენია. ამ მიდგომით მის საქმიანობას ორ ნაწილად ვყოფთ:

1. ღარიბებისთვის საჭირო ბიზნეს-ცოდნის გადაცემა ანუ ბიზნესის თეორიული სწავლება (წლის პირველ ნახევარში, ან პირველ წელს)

2. თეორიულ სწავლებაში წარმატებულ ღარიბებისთვის მიკრო ან მცირე ფირმების გახსნა-ამუშავებაში მხარდაჭერა (წლის მეორე ნახევარი, ან მეორე წელი მთლიანად).

ასეთი მიდგომით ბიზნეს-ინკუბატორების შექმნის ის ექვსი ეტაპი, რომელიც ზემოთდასახელებულ კონცეფციაში არის ჩამოთვლილი, გადამუშავებას მოითხოვს. კერძოდ, კონცეფციაში მეორე ეტაპად მიჩნეული ბიზნეს-ინკუბატორების საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტის შემუშავება პირველ ეტაპზე უნდა გადავიდეს, რადგანაც ყველასთვის ცნობილია, რომ ასეთ დოკუმენტებს , კერძოდ, კანონებს და ცვლილებებს უკვე არსებულ კანონებში, საქართველოს პარლამენტი და მისი კომიტეტები შეიმუშავებენ და შემდეგ ამტკიცებენ. თუ ქვეყანაში ასეთი კანონი, მოცემულ შემთხვევაში კანონი ,,ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების შესახებ“ არ არსებობს, მაშინ ის შემუშავებული და დამტკიცებული უნდა იყოს, ანდა მოხდეს მისი მიბმა ,,მცირე მეწარმეობის განვითარების შესახებ'' კანონთან. ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში არც ერთი არსებობს და არც მეორე. რადგან

ქვეყანაში ასეთი ვითარებაა და რადგან ბიზნეს-ინკუბატორები მცირე ბიზნესის განვითარებასაც მოახდენენ, ამ ეტაპზე უფრო უპრიანია შემუშავდეს და დამტკიცდეს საქართველოს კანონი ,,მცირე ბიზნესის და ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების შესახებ“ და მოხდეს მისი ოპერატიული დამტკიცება-ამოქმედება საქართველოს ყველა რეგიონში.

ამ კანონის ამოქმედებით გამოჩნდება საქართველოს მთავრობის ნება, რომ იგი თანახმაა საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის აამუშავოს ბიზნეს-ინკუბატორები, და, რომ ამ ინკუბატორების დამფუძნებლებიც და დამფინანსებლებიც იქნებიან რეგიონების ადგილობრივი ხელისუფლებები.

ეს კანონი უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ საქართველოს რეგიონებში არსებულმა მუნიციპალიტეტებმა ადგილზე ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების დასაფუძნებლად შეადგინონ სამუშაო პროგრამები. ამ პროგრამებში აუცილებლად უნდა შევიდეს ამ პროექტის განმხორციელებელი გუნდის შექმნა, რომელსაც უხელმძღვანელებს ამ საქმის პროფესიონალი (თუნდაც გარედან მოწვეული). ანუ რეგიონებში ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა-განვითარების სამუშაო პროგრამების შედგენა უნდა იყოს არა პირველ ეტაპზე გასაკეთებელი სამუშაო, როგორც ეს ზემოთდასახელებულ კონცეფციაში არის დაფიქსირებული, არამედ მეორე ეტაპის სამუშაო.

მესამე ეტაპზე საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტომ (და არა ცალკეულმა

მუნიციპალიტეტებმა) უნდა შეიმუშავოს ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორის გასახსნელი ტიპიურ დოკუმენტთა (ბრძანება, წესდება, შინაგანაწესი, დამფუძნებელთან ხელშეკრულება და ა.შ) პაკეტი და განათავსოს იგი ვებ-გვერდზე. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ყველა მუნიციპალიტეტს ჰქონდეს ბიზნეს-ინკუბატორის გასახსნელ საჭირო დოკუმენტთა ერთიანი პაკეტი, რომ ადგილი არ ქონდეს მუნიციპალიტეტებს შორის განსახვავებულ ვალდებულებებს და უფლებებს ამ საკითხში. სხვათაშორის აღვნიშნავთ, რომ ზემოთ დასახელებულ კონცეფციაში ამ პაკეტის შედგენაში რეკომენდაცია ეძლეოდა მხოლოდ მუნიციპალიტეტების გამგეობებს. ასეთი მიდგომა ჩვენ არასწორად მიგვაჩნია.

მეოთხე ეტაპზე მუნიციპალიტეტში შექმნილმა სპეციალურმა გუნდებმა რაიონის მოსახლეობაში უნდა ჩაატარონ აღწერა მათი სიღარიბის დონის დასადგენად და ღარიბ ოჯახებში გამოკვეთონ ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ ბიზნესის ორგანიზების პოტენციალი თეორიულადაც და პრაქტიკულადაც და მზად არიან ისწავლონ ეს საქმე. ამ სამუშაოს შესრულებით მუშა გუნდი დაადგენს რამდენი ადამიანი ითხოვს ბიზნეს-ინკუბატორში სწავლას. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ამის საფუძველზე განისაზღვროს ბიზნეს-ინკუბატორში სასწავლო ოთახების რაოდენობა და ფართები, თანამშრომელთა რაოდენობა, მაგიდების და სკამების რაოდენობა, კომპიუტერების რაოდენობა, მასწავლებელთა რაოდენობა და სხვა მრავალი.

მეხუთე ეტაპზე უნდა მოხდეს ბიზნეს-ინკუბატორისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური

ბაზის მომზადება, კერძოდ, შენობის, მაგიდების, კომპიუტერების და სხვა ხანგრძლივვადიანი და მოკლევადიანი მოხმარების საშუალებების რაოდენობის გაანგარიშება და საჭირო პროფესიის თანამშრომლებზე კონკურსის გამოცხადება.

მეექვსე ეტაპზე უნდა მოხდეს ბიზნეს-ინკუბატორის ამოქმედებისთვის საჭირო ფულადი რესურსების გამოანგარიშება ანუ ხარჯთაღრიცხვის შედგენა. რადგან ღარიბი მოსახლეობა უსახსროა, მთელი ხარჯი ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს. როგორც ცნობილია დაუსაქმებელი ღარიბი მოსახლეობა ბიუჯეტიდან იღებს შემწეობას. ბიზნეს-ინკუბატორებში სწავლის დაწყების პირველ წელს ამ შემწეობის მიღება მათ არ შეუწყდებათ. მეორე წლიდან კი, როცა ისინი ბიზნეს-განათლების მიღებით საკუთარ ბიზნესს აამუშავებენ, მათ სოციალური შემწეობები აღარ დასჭირდებათ. ამით იმის თქმა გვინდა, რომ მართალია ბიზნეს-ინკუბატორების დაფინანსებით რეგიონების ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები გაიზრდება, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ პირველ წელს, სამაგიეროდ, შემდეგ წლებში, ბიუჯეტის ხარჯები შემცირდება სოციალური გასაცემელის ნაწილში.

მეშვიდე ეტაპზე უნდა შედგეს ინკუბატორის ბიზნეს გეგმა, რომელსაც განიხილავს და დაამტკიცებს რეგიონის ხელმძღვანელობა.

მერვე ეტაპზე იურიდიულად უნდა დაფუძნდეს ბიზნეს-ინკუბატორი, კერძოდ, დარეგისტრირდეს, გაეხსნას ანგარიში ბანკში, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჩაირიცხოს ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებული თანხა,

კონკურსებში გამარჯვებულ თანამშრომლებთან გაფორმდეს ხელშეკრულებები, დაინიშნოს დირექტორი და ა.შ.

მეცხრე ეტაპზე უნდა გაიხსნას და ამუშავდეს ბიზნეს-ინკუბატორი, ანუ დაკომპლექტდეს სასწავლო ჯგუფები და დაიწყოს ბიზნესის აპრობირებული საგნების სწავლა.

სწავლის დაწყების პირველი ექვსი თვის ან ერთი წლის გასვლის შემდეგ მოხდება ბიზნესის ათვისებაში წარმატებული ადამიანების გადარჩევა და ბიზნეს-ინკუბატორი დაიწყებს მათთვის ბიზნეს პროფილის შერჩევას და მათთვის და მათივე ინიციატივით მცირე (ან მიკრო) ფირმების დაფუძნებას. ეს სამუშაო უკვე იქნება მეათე და დამამთავრებელი ეტაპი. ბიზნეს-ინკუბატორი ამ ფირმებს მოემსახურება უფასოდ 6 თვე, ან ერთი წელი, ხოლო ამ პერიოდის გასვლის შემდეგ მათი მეპატრონეები დამოუკიდებლად გააგრძელებენ მუშაობას საკუთარ ხარჯზე.

მაშასადამე, საქართველოს რეგიონებში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნება-განვითარების სამუშაოები, ჩვენი აზრით, 10 ეტაპად უნდა განხორციელდეს. აქედან 9-ეტაპი იქნება ინკუბატორის დაფუძნება, მოწყობა და ღარიბებისთვის ბიზნეს განათლების სწავლების ორგანიზება, მეათე კი მათთვის მიკრო ან მცირე ფირმების გახსნა და ამუშავება.

აღნიშნულ სამუშაოების შესრულებას გარკვეული დრო დასჭირდება. ჩვენი აზრით, თითოეულ ეტაპს ერთ თვეზე მეტი დასჭირდება (მეოთხე ეტაპის სამუშაოს 2 თვეც არ ეყოფა). რადგან საქართველოში სიღარიბე კი არ

კლებულობს, არამედ მატულობს, ამიტომ საქართველოში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის განვითარების დაყოვნება, გადავადება ან საერთოდ გადადება, დაუშვებლად და პირდაპირ დანაშაულად მიგვაჩნია. ეს საქმე დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს და არაუმეტეს ერთ წელიწადში 10 ეტაპის სამუშაოები უნდა შესრულდეს (ცხრილი 8).

ცხრილი 8

საქართველოში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის განვითარების ეტაპები

ეტაპის დასახელება	საქმიანობის დასახელება	შემსრულებელი	შესრულების ვადა
პირველი	ბიზნეს-ინკუბატორის საკანონმდებლო-ნორმატიულად დოკუმენტირების უზრუნველყოფა	საქართველოს მთავრობა, პარლამენტი	**ერთი თვე**
მეორე	საქართველოს რეგიონებში ბიზნეს-ინკუბატორების განსახორციელებელ სამუშაო პროგრამების შედგენა და ამ პროგრამების შესრულებელი გუნდების ჩამოყალიბება.	ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობა, ქალაქის მერიები	**ოვე-სამდე-ური**
მესამე	ბიზნეს-ინკუბატორების განსახორციელებელ ტიპიურ დოკუმენტთა (წესდება, დებულება, ხელშეკრულება და სხვა.) პაკეტის შექმნა.	საქართველოს ეკონომიკურ-განვითარების სამინისტრო	**ერთი თვე**
მეოთხე	რაიონის მოსახლეობის აღწერის და ღარიბ ოჯახებში ბიზნესის ლიუფლების მსურველი ადამიანთა გამოკვეთა	მუნიციპალიტეტი შემმუშავებელ მუშა გუნდები	**ორი სამი თვე**

მესუთე	ბიზნეს-ინკუბატორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობისათვის საჭირო საგნების ანგარიში	მუნიციპალიტეტის მუშა გუნდები	**ერთი თვე**
მეექვსე	ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნების ხარჯთაღრიცხვის შედგენა	მუშა გუნდი ბუღალტრის მონაწილეობით	**ერთი თვე**
მეშვიდე	ბიზნეს-ინკუბატორის ბიზნეს-გეგმის შედგენა	მუნიციპალიტეტში მუშა გუნდი	**ერთი თვე**
მერვე	ბიზნეს-ინკუბატორის სახელმწიფო რეგისტრირება, ანგარიშის გახსნა, დირექტორის დანიშვნა.	ბიზნეს-ინკუბატორის დირექტორი	**ერთი თვე**
მეცხრე	ბიზნეს-ინკუბატორში სასწავლო ჯგუფების დაკომპლექტება და სწავლის დაწყება	ბიზნეს-ინკუბატორის დირექცია	**ერთი თვე**
მეათე	ბიზნესის სწავლაში წარმატებული აფლიანების ამორჩევა და მათთვის მიკრო, საწარმოთა გახსნა-ამოშავებაში დახმარების გაწევა	ბიზნეს-ინკუბატორის დირექტორი	**ერთი თვე**

სამუშაოთა ამ ჩამონათვალიდან ჩანს, რომ ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, პირველი, მეორე, მესამე, მეშვიდე ეტაპის სამუშაოები) ანალიტიკურ აზროვნებას მოითხოვს. ამიტომ ამ სამუშაოების შესრულებაში ექსპერტები უნდა ჩაერთონ. ასეთი ადამიანები არიან მეწარმეთა კავშირებში, უმაღლეს სასწავლებლების ბიზნესის ფაკულტეტებზე, მეწარმეების განვითარების სააგენტოში და სხვაგან.

ჩვენ ვეთანხმებით საქართველოში ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის განვითარების ზემოთდასახელებულ კონცეფციის ავტორებს იმაში, რომ ინკუბატორების მასიური გავრცელება გადაწყვეტს შემდეგ ამოცანებს:[8]

1. შექმნის ახალ ფირმებს;
2. შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ამ გზით შეამცირებს ქვეყანაში უმუშევრობას;
3. განავითარებს საბაზრო ინფრასტრუქტურას;
4. გააფართოებს საგადასახადო ბაზას;
5. მოახდენს ბიზნესის დივერსიფიკაციას;
6. აამაღლებს მეწარმეთა კონკურენტუნარიანობას;
7. მოახდენს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას და რეგიონების განვითარების დონეების გამოთანაბრებას და ა.შ.

რაც შეეხება ჩვენს მიერ რეკომენდებულ ინკლუზიურ ბიზნეს- ინკუბატორების მასიურ

---

[8] ბალიაშვილი ე., ღუდუშაური ზ. ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის განვითარების კონცეფცია საქართველოში, თბ., 2004, გვ.17

გავრცელებას საქართველოში, ისინი ამ ამოცანებსაც გადაწყვეტენ და სიღარიბესაც აღმოფხვრავენ ამ ქვეყანაში.

საქართველოს მოსახლეობა ღარიბია არა სიზარმაცის გამო, არამედ იმის გამო , რომ ისინი არ ფლობენ შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნილ ახალ პროფესიებს, რომელთა უმრავლესობა ბიზნესს და ინფორმატულ ტექნოლოგიებს უკავშირდება. თუ ჩვენ საქართველოს მოსახლეობას დავატრენინგებთ ამ პროფესიებში, ისინი აითვისებენ მათ და შეძლებენ დასაქმებას.

საქართველოს რეგიონებში გახსნილ ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორებს შემდეგი პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად:

1. რეგიონის ღარიბი მოსახლეობიდან ბიზნესის სწავლების და ბიზნეს-კომპანიების გახსნის მსურველთა რაოდენობა, ასაკი და გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები.

2. ბიზნეს-ინკუბატორებში სწავლების პროფილის და შემდეგ გასახსნელი ბიზნეს-კომპანიების პროფილის შესაბამისობა რეგიონის პირობებთან (ანუ რა ნედლეულია რეგიონში და რომელ პროდუქციაზე არის მოთხოვნა)

3. ბიზნეს-ინკუბატორის გახსნამდის წინასაინკუბაციო გამოკვლევის და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება.

4. მოსამზადებელ პერიოდში ბიზნეს-ინკუბატორის დამფუძნებელი გუნდის შექმნა, რომელშიც შევლენ ამ საქმის მცოდნე ადგილობრივი მმართველობითი ორგანოს წარმომადგენლები, წარმატებული ბიზნესმენები,

საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლობები და ექსპერტები.

5. ბიზნეს-ინკუბატორის ბიზნეს გეგმა.

აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის გამოკლებით საქართველოში 11 რეგიონია. მეტნაკლებად ყველა რეგიონში სიღარიბე მეფობს. ამიტომ ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორები ყველა რეგიონში არის გასახსნელი, ამასთან, არა ერთი ან ორი, ხშირად 5-6-იც კი. ეს დამოკიდებულია რეგიონში მოსახლეობის სიღარიბის დონეზე და ღარიბი ოჯახების იმ წარმომადგენელთა რაოდენობაზე, რომელთაც სურვილი აქვთ ინკუბატორში უფასოდ ისწავლონ ბიზნესი.

საქართველოს რეგიონები ერთმანეთისგან განსხვავდებიან განვითარების დონით. ამ მხრივ ყველაზე ჩამორჩენილი რეგიონებია რაჭა-ლეჩხუმი, სამცხე-ჯავახეთი, გურია და ნაწილობრივ შიდა ქართლი და კახეთი.

2019 წლის სტატისტიკური ინფორმაციით მთლიანად საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 1129.5 ლარს შეადგენდა[9] (მ.შ. ბიზნესში დასაქმებულების 1161.7 ლარს). ასეთ დროს რაჭა-ლეჩხუმში იგი იყო 631 ლარი, შიდა ქართლში- 721 ლარი, კახეთი-760 ლარი, გურიაში 672 ლარი[10]. ჩვენი აზრით, საქართველოს მთავრობამ ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნება და

[9] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2020, გვ. 43
[10] ბიზნეს სექტორი საქართველოში, თბ. , 2020, გვ.119

მათი ამუშავება სწორედ ამ რეგიონებიდან უნდა დაიწყოს. კერძოდ, ამ რეგიონების ცენტრებში უნდა გაიხსნას ინკუბატორები და დაიწყოს იქ ღარიბებისთვის ბიზნესის სწავლება და შემდეგ მათი გამოცდილება, გავრცელდეს სხვა რეგიონებშიც.

ამასთან, რადგან საქართველოს რეგიონები ბიზნესის განვითარების მეტად ურთიერთგანსხვავებულ პირობებს ფლობენ, ამიტომ საჭიროა რეგიონის ბიზნეს-ინკუბატორებში ბიზნესის სწავლების სხვადასხვა პროფილი დადგინდეს. ჩვენი გამოკვლევით რაჭა-ლეჩხუმში გასახსნელ ბიზნეს-ინკუბატორში ბიზნესის სწავლება უპირატესად მესაქონლეობაზე, მინერალური წყლის ჩამოსხმაზე და ტურიზმზე უნდა იყოს ფოკუსირებული, გურიაში-სოფლის მეურნეობაზე (ჩაის ბიზნესი, თხილის ბიზნესი და სხვა), სამცხე-ჯავახეთში ტურიზმზე და მესაქონლეობის ბიზნესზე, აჭარის რეგიონში მეცუტრუსეობაზე, მეთამბაქოობაზე, ტურიზმზე, ხოლო მთიან აჭარაში-მესაქონლეობაზე და ა.შ.

ჩვენი ღრმა რწმენით საქართველოს ღარიბი მოსახლეობის ნაწილი მომსახურეობას (ტურიზმი, ვაჭრობა, საშუამავლო საქმე და სხვა), ხოლო უფრო დიდი ნაწილი წარმოებას უნდა დავაუფლოთ. განსაკუთრებით საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინება, რომ როგორმე იმპორტული კვების პროდუქტები, რომელთა წილი ამ ბაზრის 70-80%-ია, ადგილობრივი პროდუქტებით ჩავანაცვლოთ.

სამწუხაროდ, ეს საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა დღეს კორონავირუსის პანდემიის პირობებში, როცა

კორონავირუსის პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა სურსათის საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვს, რაც გამოწვეულია ,,აგრარული სფეროს შრომატევად დარგებში სეზონური სამუშაო-ძალის დეფიციტით. რამდენიმე ქვეყანამ სასურსათო უსაფრთხოების მოტივით სურსათის ცალკეულ სახეობათა ექსპორტიც შეზღუდა”[11]. ეს მოხდა არა მოუსავლიანობის გამო, არამედ მოსავლის აღებაზე დასაქმებული ადამიანების დეფიციტით, რის გამოც ამ ქვეყნებს მოსავალი გაუფუჭდათ, ეს ის ადამიანებია, რომლებიც სხვა ქვეყნებიდან ჩადიოდნენ სეზონურ სამუშაოების შესასრულებლად და საზღვრების ჩაკეტვის გამო იქ ვეღარ ჩავიდნენ. თუ ასე გაგრძელდა, და, როგორაც მედიკოსები ვარაუდობენ, ჩვენ წლების მანძილზე მოგვიწევს ,,კოვიდ-19“-თან თანაცხოვრება, რის გამოც, ყველა ქვეყანას წარმოეშვება პროდუქტის წარმოების პრობლემა და ისინი ჩვენთან კვების პროდუქტების ექსპორტს ვეღარ განახორციელებენ, მაშინ ჩვენ კატასტროფის წინაშე დავდგებით. დღეს ჩვენ ამ მძიმე გამოწვევის წინაშე ვართ და ეს პრობლემა არის მთელი თავისი მნიშვნელობით გასაცნობიერებელი. დღეს საქართველოში მოსახლეობის საციცოცხლოდ აუცილებელი საკვები პროდუქტების პრობლემა დგას. ეს არ არის არც საცხოვრისი და არც ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. ეს საკვებია, რომლის 80% საზღვარგარეთიდან შემოდის. იმის მაგივრად, რომ კორონა-ვირუსის გამოჩენისთანავე

[11] კაკულია მ. კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები საქართველოს, ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XII, 2, 2020, გვ.48

საქართველოს მთავრობაში შექმნილ ანტიკრიზისულ ჯგუფს კორონავირუსის გავრცელების შემცირების ღონისძიებების პარალელურად ყველაზე მეტი ყურადღება სოფლის მეურნეობაზე გადაეტანა და არა ტურიზმზე, როგორც ეს ფაქტიურად მოხდა, ჩვენ უკვე წელსვე (2020 წელი გვაქვს მხედველობაში) შევძლებდით ჩვენთვის თვითკმარ პროდუქციის წარმოებას. სამწუხაროდ ასე არ მოხდა. შედეგად ვეღარც ვერაფერი ტურიზმს ვუშველეთ და სოფლის მეურნეობაც სათანადო ყურადღების გარეშე დაგვრჩა. ტურიზმისთვის რომც გვეშველა და მილიონიანი შემოსავლები მიგვეღო ამ სფეროდან, თუ ჩვენი ექსპორტიორი ქვეყნები ვეღარ მოგვყიდიან საკვებ პროდუქტებს იმ მიზეზით, რომ საკუთარი სამყოფელიც აღარ აქვთ, მაშინ სად არის ჩვენი საშველი? ამ საშიშროებას ხედავს ქართველი მეცნიერი მ.ჯიბუტი და წერს: ,,საქართველო ღია ეკონომიკის ქვეყანაა და მსოფლიოში პროტექციონიზმის ტენდენციები ქმნის საფრთხეებს, რომ ფულის არსებობის შემთხვევაშიც შეუძლებელი გახდება საბაზო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქციის შეძენა“[12].

ორი აზრი არ არის, რომ საქართველოში ეკონომიკურ ზრდას აქვს ადგილი. ეს ზრდა ზომიერია, მაგრამ მოსახლეობაზე ნაკლებად აისახება. მეცნიერი ერეკლე პირველი წერს: ,, ქვეყნის მიერ მიღწეული ზრდა მთლიან სამამულო პროდუქტში (GDP) დიდწილად

---

[12] ჯიბუტი მ. პოლიტეონომიკის ვირუსული გაკვეთილები შ. ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. XII 2, 2020, გვ. 41.

საფინანსო საქმიანობაში, ანუ საქონლისა და მომსახურებაში ხორციელდება. ქვეყანას კი რეალური, ანუ საქონლისა და მომსახურების წარმოებით მიღებული ეკონომიკური ზრდა ესაჭიროება... დაკვირვება ამტკიცებს, იმ აზრს, რომ ქვეყნის ეკონომიკა არაეფექტიანი მიმართულებით ვითარდება. სამთავრობო უწყებებისთვის აპრიორი უნდა იყოს მატერიალური წარმოების სექტორში საწარმოთა ჩართულობის ზრდის სტიმულირება...''[13] მეცნიერი ერეკლე პირველი წარმოებაში შეიძლება მაინდამაინც სასოფლო-სამეურნეო წარმოებას არ გულისხმობს, მაგრამ, ხომ ყველამ ვიცით, რომ საქართველოს პროდუქციის წარმოების ყველაზე დიდი პოტენციალი სწორედ სოფლის მეურნეობაში აქვს. აქედან გამოგვაქვს დასკვნა, რომ დასახელებული მეცნიერი მატერიალურ წარმოებაში , პირველ რიგში ალბათ სოფლის მეურნეობას გულისხმობს. იგივე აზრს გამოთქვამს სოფლის მეურნეობის დიდი სპეციელისტი პ. კოღუაშვილიც, როცა ამბობს, რომ ,,გლეხი კაცი არის ქართველი ერის ხერხემალი, საზოგადობის გამომკვები“[14]

გარდაქმნის შემდეგ საქართველოში 4-მთავრობა გამოიცვალა, მაგრამ მატერიალურ წარმოებას, მ.შ. სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, საფუძვლიანად ვერავინ

---

[13] პირველი ე. საქართველოს ეკონომიკური მოდელის დარგობრივი ანალიზი, ჟ, „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2 , 2020, გვ. 115-116.

[14] კოღუაშვილი პ. რა უნდა გავიზიაროთ ამერიკული გამოცდილებიდან , ჟ. „ეკონიმიკა და ბიზნესი“, ტ VIII, 1, 2015, გვ.25

ვერ მიხედა. ,, აბა გზები, აბა გვირაბები, აბა პარკები, მილსადენები, ტურიზმი მთაში, ტურიზმი ბარში, ანუ ყველაფერი ის, რაც მთავრობაში ვინმეს ინტერესებში შედიოდა, ან ვინ სად ელოდა საკუთარი ჯიბის გავსებას. ეს არ იყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სწორი სტრატეგია“.[15] 2012 წლის ოქტომბრიდან ქვეყანაში მოსულმა ახალმა მთავრობამ სცადა სოფლის მეურნეობისკენ შემობრუნება და ეს თავის პროგრამაშიც დააფიქსირა. მასში ვკითხულობთ: ,,საქართველოს ყველაზე მეტი ეკონომიკური ეფექტი შეიძლება მოიტანოს ეკოლოგიურად სუფთა და მაღალხარისხოვანი სურსათის წარმოებამ, სამამულო სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველზე აგროსამრეწველო კომპლექსის აღორძინებაში იმპორტის შემცირებამ და მისმა ჩანაცვლებამ ადგილობრივი ინოვაციური სასურსათო პროდუქციით”[16].

ამ პროგრამის მიღებიდან 8-წელი გავიდა და პრაქტიკულად, არა თუ ინოვაციური, არამედ ქართველი კაცისთვის ჩვეულებრივი, ტრადიციული სურსათ-სანოვაგითაც კი ვერ ჩავანაცვლეთ იმპორტი. არადა, ამის რეალური პოტენციალი არის საქართველოში. იგი მისთვის მთავარიც არის, მიღწევადაც და პრიორიტეტულიც. მთავარი იმიტომ, რომ თავისი მრავალფეროვანი ბუნებით

---

[15] ღუდუშაური ზ. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას ადამ სმიტის უჩინარი ხელი“ კი არა, ხელისუფლების მარჯვე ხელი სჭირდება, ჟ. „ახალი ეკონომისტი“, 1, 2016, გვ 9

[16] საქართველოს ინოვაციური განვითარების კონცეფცია, თბ. პარტია „ ქართული ოცნება“, 2012წ, მაისი, გვ. 8

საქართველო მაინც აგრარული ქვეყანაა, მიღწევადი იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობის 50%-ზე მეტი სოფლად ცხოვრობს და მათი საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა, პრიორიტეტული კი იმიტომ, რომ ამ დარგს შეუძლია ჩაანაცვლოს სურსათის იმპორტი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით გამოკვებოს საქართველოს მოსახლეობა.

ეს პოტენციალი საქართველოს ყოველთვის ქონდა, არსებობს იგი დღესაც. ამასთან, ,,პანდემიის პირობებში საკვები პროდუქტებით ქვეყნის შეუფერხებელი მომარაგების აუცილებლობა (სასურსათო უსაფრთხოება) დღის წესრიგში აყენებს ძირითადი სასურსათო პროდუქტების ადგილობრივი წარმოების სტიმულირების ამოცანას“[17]. მეცნიერი მ. კაკულია აყენებს ძირითადი სასურსათო პროდუქტების სახელმწიფო სტრატეგიული მარაგების აღდგენის საკითხსაც, რომ საჭირო შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნას ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება. მას საქართველოს ეკონომიკური განვითარების პარადიგმის სისუსტედ მიაჩნია მომსახურების ეკონომიკაზე, უწინარეს ყოვლისა ტურიზმზე, ჭარბი დამოკიდებულება, რასაც ჩვენც მთლიანად ვიზიარებთ. მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, საქართველოს მმართველობითმა ელიტამ ,,ეკონომიკის რეალური სექტორის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ენერგეტიკა) სწრაფი განვითარების ხარჯზე

---

[17] კაკულია მ. კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები საქართველოსთვის, ჟ. ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XII , N 2, 2020, გვ 48

დღის წესრიგში უნდა დაიყენოს მომსახურების სექტორზე დამოკიდებულების შემცირების სტრატეგიული ამოცანა'' [18].

მეცნიერი მ. კაკულიას მსჯელობიდან გამოდის, რომ იგი კორონომიკური კრიზისის გაკვეთილებზე დაყრდნობით საქართველოს განვითარების მოდელის სრულყოფის (ცვლილებების) აუცილებლობის საკითხს საქართველოს დღის წესრიგში აყენებს. ეს ცვლილება ასე უნდა გავიგოთ: ,,მომხმარებლური ეკონომიკიდან-მწარმოებელი ეკონომიკისკენ".

ამ შემთხვევაში მეცნიერი მ. კაკულია მარტო არ არის. ამ აზრს იზიარებენ სხვა მეცნიერებიც, მაგალითად- მ. პირველი, რ. აბესაძე, რ. ასათიანი, ზ. ღუდუშაური და სხვები. ამის მომხრე ვართ ჩვენც.

სწორედ ასეთი ხედვის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს რეგიონებში გასახსნელად ჩვენს მიერ რეკომენდებულ ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორებში მეტი უპირატესობა მივცეთ მატერიალურ წარმოებაში, უპირველეს ყოვლისა აგრობიზნესში, ღარიბების დასპეციალიზებას. ცხადია, ეს არ ეხება მსხვილ ქალაქებს-თბილისს, ქუთაისს, ბათუმს და რუსთავს. აქ გახსნილ ბიზნეს-ინკუბატორებში ღარიბების აგრობიზნესში სწავლება და დატრენინგება მათ არაფერში არ გამოადგებათ. აქ გახსნილ ბიზნეს ინკუბატორებში ღარიბები უნდა მომზადნენ გადამამუშავებელ სამრეწველო

---

[18] კაკულია მ. კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები საქართველოსთვის, ჟ. ,,ეკონომიკა და ბიზნესი", ტომი XII , N 2, 2020, გვ 53

ბიზნესში, სავაჭრო-საშუამავლო ბიზნესში, საგანმანათლებლო ბიზნესში, სამშენებლო ბიზნესში და ა.შ.

ნაშრომის წინამდებარე ნაწილში საქართველოსთვის ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების მასიური გავრცელების კონცეპტუალური ხედვის მიზანი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის სიღარიბის შემცირება. (შევნიშნავთ, რომ მათგან სრულიად განსხვავებულია ტექნოლოგიური ბიზნეს-ინკუბატორები. მათი არც არსებული მდგომარეობის შესწავლა და არც განვითარების პერსპექტივების დასახვა ჩვენი კვლევის სფეროში არ შემოდიოდა). ღარიბები მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან. მათ ნაწილს შეიძლება საერთოდ არავითარი განათლება არ ქონდეს, ნაწილი ზრდასრული ანუ ასაკოვანი იყოს, ნაწილი შეიძლება ნაწილობრივ უნარშეზღუდულიც იყოს. ამ ფენას, რა თქმა უნდა, ვერც ვასწავლით და ვერც დავასაქმებთ ინოვაციურ ბიზნესში. მათ შედარებით მარტივი ბიზნესი უნდა ვასწავლოთ. ასეთია სწორედ აგრობიზნესი, პურისცხობა, ვაჭრობა, საზკვება და ზოგიერთი სხვა. ეს შეიძლება განვახორციელოთ ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორში და ამ გზით მოვახდინოთ მათი აქტივაცია და ინკლუზია.

საქართველოს რეგიონებში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების ჩვენს მიერ წარმოდგენილი ეს კონცეფცია ჩვენი ფანტაზიის ნაწილი არ არის. იგი ეფუძნება ამ სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებებს. მათ ეს ეტაპი დიდი ხანია გაიარეს და შეიძლება ითქვას, რომ მცირე მეწარმეთა ფენა სწორედ ბიზნეს-ინკუბატორების მეშვეობით ჩამოაყალიბეს.

საქართველოში დღემდის ეს ღონისძიება არ განხორციელებულა. ამიტომ ქვეყანაში უმუშევრობა და სიღარიბე მეფობს. სხვადასხვა სამთავრობო დოკუმენტებში საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავდა მოსახლეობის დასაქმების და შემოსავლების მიღების შესაძლებლობათა გაზრდას, მაგრამ შემდეგ ეს მიზნები დავიწყებას ეძლეოდა. 2017 წელს შექმნილ დოკუმენტში- ,,საქართველოში შრომისა და სოციალური დაცვის სფეროების განვითარების ხედვა 2030 წლისთვის“[19]-მოცემულ სტრატეგიულ პრიორიტეტებში სწორედ ეს საკითხია პირველ პრიორიტეტად წარმოდგენილი და 11 - ამოცანად ჩაშლილი.

თითოეული ეს ამოცანა დასაქმების და შემოსავლების ზრდის საკითხს ეხება სხვადასხვა კუთხით (ცოდნის და კვალიფიკაციის სტიმულირება, შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული განათლების სისტემის ფორმირება, დასაქმების აქტიური პოლიტიკის შემუშავება და სხვა.) , მაგრამ არსად არ ჩანს, რა მექანიზმით (თუ მექანიზმებით) აპირებს საქართველოს მთავრობა ამ ამოცანების გადაჭრას, ვინ იქნება მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო და რა ვადაში და დაფინანსების რომელი წყაროთი შესრულდება იგი. ეს მოთხოვნები განვითარების ყველა სტრატეგიულ ხედვას წარედგინება და ზემოთდასახელებული ხედვა რაღა გამონაკლისია.

---

[19] საქართველოს შრომისა და სოციალური დაცვის სფეროების განვითარების ხედვა 2030 წლისთვის, საქართველოს პარლამენტი, 2017, გვ. 9-10

წინამდებარე მონოგრაფიულ ნაშრომში ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინკლუზიური ბიზნესის განვითარების და ამ გზით სიღარიბის შემცირების ჩვენეული ხედვა სამივე ამ კომპონენტს მოიცავს კერძოდ:

1. ჩვენი ხედვის განხორციელების მექანიზმად დასახელებული გვაქვს ბიზნეს-ინკუბატორი’
2. შემსრულებელ ორგანოდ საქართველოს რეგიონების ადგილობრივი ხელისუფლებები;
3. შესრულების ვადად მაქსიმუმ ერთი წელი;
4. დაფინანსების წყაროდ-ადგილობრივი ბიუჯეტები.

თუ ინკლუზიური ბიზნესის და ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის განვითარების წინამდებარე ხედვას მიიღებს და განახორციელებს საქართველოს მთავრობა, ანუ აქცევს თავის პოლიტიკად, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სიღარიბე საქართველოში 2-3 წელიწადში შემცირდება. ამასთან, საქართველოს ეს პოლიტიკა სრულ თავსებადობაში იქნება ამ სფეროში ევროკავშირის დღევანდელ პოლიტიკასთან, რომელიც როგორც ვიცით, მცირე ბიზნესის განვითარებაზე და ამ გზით მოსახლეობის მასიურ დასაქმებაზე არის ორიენტირებული. ევროპაში ბიზნეს-ინკუბატორი არის სწორედ ის ადგილი, სადაც ხდება ადამიანების მომზადება ბიზნესმენებად. ზოგიერთ ქვეყანაში ეს პროცესი სკოლის ასაკიდან (მაგალითად შვედეთი) იწყება, ზოგან კი ზრდასრული ასაკის ადამიანების ბიზნესში დაოსტატებასაც კი არ ერიდებიან (მაგალითად გერმანია). ამ გზას ისინი 20-30 წელიწადია, რაც დაადგენ. დაგვიანების მიუხედავად ჩვენ ეხლა მაინც უნდა

გავაცნობიეროთ ამის აუცილებლობა, და, დაუყოვნებლივ დავიწყოთ ეს საქმე.

გამოგვიჩნდებიან ოპონენტები, რომლებიც გვეტყვიან, რომ ასეთი ბიზნეს-ინკუბატორების დრო წავიდა, რომ ეხლა საქართველოს ევროპის დარად მხოლოდ მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინკუბატორებზე უნდა ჰქონდეს ორიენტაცია. ჩვენ ამის წინააღმდეგი არ ვართ. ასეთ ინკუბატირების ბენეფიციარები კრეატიული, შემოქმედებითი ნიჭის მქონე ახალგაზრდები იქნებიან, რომლებიც ღმერთის მადლით საკმაოდ გვყავს. ასეთი ინკუბატორების მიზანი საქართველოს ინოვაციურობის დონის ამაღლებაა და არა ღარიბ-ღატაკთა სიღარიბიდან გამოყვანა. ამ უკანასკნელს ჩვენ ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორებს ვაკისრებთ, რომელშიც მოხვდებიან მოწყვლადი ჯგუფების ყველა მსურველი, ვისაც ამის სურვილი და უნარი აღმოაჩნდებათ-განათლებულიც, გაუნათლებელიც, ახალგაზრდაც, ასაკოვანიც, ერთი სიტყვით, ე.წ,, გარიყული ფენის“ ყველა წარმომადგენელი. ასეთი ინკუბატორების მიზანი მოწყვლადი ადამიანებისთვის ბიზნესის უფასო სწავლება და ამ ეტაპის გავლის შემდეგ საკუთარი მცირე ბიზნესის წამოწყებაში სახელმწიფოს დახმარებაა.

მოსახლეობის ეს ფენა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით შიმშილობს და ეს ხდება 21-ე საუკუნის საქართველოში, ქვეყანაში, რომელსაც მარტო იმდენი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა აქვს, რომ მისი სწორი დამუშავებით არა თუ თავისი მოსახლეობა, 2-3-ჯერ მეტი შეუძლია გამოკვებოს.

3.2 წეროვნის ლტოლვილთა დასახლებაში ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნება-ამუშავების შეფასება კონცეფციის შემუშავება

ნაშრომის წინა ნაწილში ვიმსჯელეთ საქართველოში ბიზნეს-ინკუბატორების მასიური გახსნა-დაფუძნების აუცილებლობაზე, რომელიც ჩვენ მეტად დაგვიანებულადაც კი მიგვაჩნია. დღეს, კიდევ უფრო წინა პლანზე წამოიწია ასეთი სასწავლო ბიზნეს-ცენტრების გახსნამ საქართველოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა კომპაქტურ დასახლებებში. ერთ-ერთი ასეთი დასახლება არის ცხინვალიდან და ახალ გორიდან ლტოლვილთა წეროვანის დასახლება. ნაშრომის მეორე თავში ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით, რომელმაც 80 ოჯახი მოიცვა, დავადგინეთ, რომ მხოლოდ 17 ოჯახი ცხოვრობს საშუალო დონეზე, ყველა დანარჩენი კი ღარიბია. იგივე გვიჩვენა ჯინის კოეფიციენტმა. მოცემულ დასახლებაში ჯინის კოეფიციენტი 0.33-ია რაც იმას ნიშნავს, რომ აქ არ არსებობს შემოსავლებში უთანასწორობა - ყველა ცხოვრობს ღარიბად ან სიღარიბესთან ახლოს. ეს კიდევ მეორე უკიდურესობაა, ანუ არანაკლები, ვიდრე მაღალი უთანასწორობა.

აქედან გამომდინარე, ჩვენი კონცეფციის არსი იმაშია, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამოიჩინოს ინიციატივა, რომ წეროვანის დასახლებას მისცეს თემის სტატუსი და მცხეთის ბიუჯეტიდან დაფინანსება. პირველ რიგში ეს უნდა გამოიხატოს წეროვანის დასახლებაში ადგილობრივი

ბიუჯეტის ხარჯზე ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნებაში, რომელშიც ამ დასახლების მცხოვრებთა ერთი ნაწილი, კერძოდ, ისინი, რომლებიც ამას მოისურვებენ, უფასოდ მიიღებენ ბიზნეს-განათლებას, ხოლო შემდეგ გახსნიან კიდეც მცირე ან მიკრო საწარმოებს, რომლის ამუშავებაშიც პირველი წლის და ნაწილობრივ მეორე წლის ხარჯებს ასევე დაფარავს მცხეთის მუნიციპალიტეტის ხელისუფლება.

ამ ინიციატივამ რომ მცხეთის მუნიციპალიტეტს რეალური შედეგი მისცეს, მან უპირველესად უნდა შექმნას გუნდი, რომელიც შეისწავლის წეროვანის ლტოლვილთა მთელ დასახლებას, ყველა ოჯახს ცალ-ცალკე და შეადგენს ბიზნეს-განათლების მიღების მსურველთა სიას.

ჩვენი გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით ჩვენ ასეთთა რიცხვში 30 ბენეფიციარი ვივარაუდეთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირველ ეტაპზე, ანუ ინკუბატორის ამოქმედების პირველ წელს ალბათ მათი რიცხვი მეტი არ იქნება. ერთი წლის შემდეგ, როცა მათი სასწავლო პროგრამა დამთავრდება და ისინი საკუთარი ბიზნესის წამოწყებით დაკავდებიან, ინკუბატორი შეძლებს ასეთ ბენეფიციართა ახალი ნაკადის მიღებას. ეს გაგრძელდება იქამდის, ვიდრე წეროვანის დასახლებას ბიზნესის შემსწავლელთა მსურველი ადამიანები ეყოლება.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი წინადადებების მიზანი არის წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში სიღარიბის აღმოფხვრა, რომელიც სრულიად შესაძლებელია საკუთარ მიკრო და მცირე ბიზნესში მათი დასაქმებით, ეს კი ვერ განხორციელდება თუ მათ არ ექნებათ ბიზნეს განათლება. სწორედ ამ მიზნით მივაქციეთ ყურადღება ბიზნეს-

ინკუბატორის ინსტიტუტს, რომლის მეშვეობით მთელმა რიგმა ქვეყნებმა შეძლეს მოსახლეობის დასაქმება მცირე ბიზნესში და ამით შეამცირეს სიღარიბე. რა თქმა უნდა, მათი პრაქტიკის პირდაპირ გადმოღება არც გამოგვადგება და არც გვიცდია, რადგან ჩვენი რეალობა განსხვავებულია (მხედველობაში გვაქვს მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სიდიდე, ლტოლვილი მოსახლეობის ინტერესები , ტრადიციები და მრავალი სხვა). იმ გუნდმა, რომელსაც მცხეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება დააკომპლექტებს წეროვანის მოსახლეობის აღსაწერად, მათი ინტერესებიც უნდა გაარკვიოს და მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაძლებლობაც. მხოლოდ ამის საფუძველზე უნდა გადაწყდეს რამდენ ბენეფიციარზე გაიხსნას წეროვანში ბიზნეს-ინკუბატორი, რა პროფილით, რა საგნები ისწავლებოდეს, რა პროგრამით და ა.შ. აუცილებლად საჭირო იქნება ექსპერტების ჩართვაც ამ საქმეში.

ჩვენი აზრით, ეს სამუშაო ეტაპებად უნდა განხორციელდეს. (ცხრილი 9). როგორც ცხრილი 8 გვიჩვენებს, მთელ ამ სამუშაომ უნდა დაიკავოს 8-თვე და 4-ეტაპად უნდა განხორციელდეს. ეს ფაქტიურად იქნება წეროვანში ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნების მოსამზადებელი სამუშაო. ამის შემდეგ ინკუბატორი ამუშავდება, დაიწყება იქ ერთწლიანი სწავლა, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლების კურსგავლილი ბენეფიციარები შეძლებენ მიკრო ან მცირე საწარმოს გახსნას და მის ამუშავებას. წეროვანის ლტოლვილთა ინტერესი ბიზნეს-ინკუბატორების გახსნაში სწორედ იმაში

გამოიხატება, რომ მათ ისწავლონ ბიზნესი და დამოუკიდებლად შეძლონ მისი წამოწყება და მართვა. რაც შეეხება მცხეთის მუნიციპალურ ხელისუფლებას მისი ინტერესი იქნება წეროვანის თემში სიღარიბის შემცირება და მეორე, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი, ადგილობრივ ბიუჯეტში ლტოლვილთა შემწეობების მუხლით გათვალისწინებული ხარჯების შემცირება. ეს ხარჯი შემცირდება მაშინ, როცა ლტოლვილი ბენეფიციარები საკუთარ ბიზნესს აამუშავებენ და სოციალურად დაუცველთა რეგისტრაციიდან მოიხსნებიან, რაც აგრეთვე იმასაც ნიშნავს, რომ მათ მოეხსნებათ ლტოლვილთა შემწეობები და სოციალური დახმარებები.

წეროვანის ლტოლვილთა თემში ბიზნეს-ინკუბატორის დასაფუძნებლად ჩასატარებელ სამუშაოთა გასამარტივებლად ჩვენ პირობითად 30 ბენეფიციარზე ვიანგარიშეთ დანახარჯების სავარაუდო მოცულობა, დანახარჯების მიმართულებები და შევადგინეთ სასწავლო პროგრამები თვეების, კვირების და ცალკეული საგნების ჭრილში.

ცხრილი 9

ნეგოციის ლტოლვილთა დასახლებაში ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნების სამუშაოთა შესრულების გრაფიკი

	თვეები											
I ეტაპი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
• შესავლის ეტაპზეობის მიერ ეკადმოწყვეტილებების მიღება ბიზნეს-ინკუბატორის ფუნქციის თაობაზე												
• ბიზნეს გეგმის დაკონსულტაცია (ექსპერტების ჩართვით)												
• ბიზნეს გეგმის ბიჯურ ნეგოციის ლტოლვილთა პირველი და ბიზნეს-ინფორმაციის მსურველთა სიის შედგენა												
II ეტაპი												
• შესავლის ადგილობრივი პიროვნებებიან სახსრების გამოყოფა												
• შენობის დაქირავება, საჭირო აღჭურვა, ტექნიკური მოწყობილობის და სხვა ნივთების შეძენა												
• ინკუბატორისთვის თანამშრომლებთან შერჩევა კონკურსით და წესთან ნელშეკრულების გაფორმება												
III ეტაპი												
• ბიზნეს ინკუბატორის ოფისის და საწარმოო აუდიტორიების მოწყობა												
• საკუთარი პროდუქციის და ცხრილების შედგენა												
• ბიზნეს-ინკუბატორისთვის ფულ-ადგილის მოძებნა												
• ბაზაში ბიზნეს- ინკუბატორის ანგარიშის ფასება												
IV ეტაპი												
• ბიზნეს ინკუბატორის პროექტის												

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

მე-10 ცხრილში წარმოდგენილი გვაქვს ბიზნეს-ინკუბატორის ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის ხარჯები. მისი წლიური სიდიდე 60200 ლარს შეადგენს. აგრეთვე წარმოდგენილი გვაქვს საჭირო პერსონალის რაოდენობა და მათზე გასაცემი ხელფასის წლიური ხარჯი. მან 181200 ლარი შეადგინა (ცხრილი 11).

წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში 30 ბენეფიციარის სწავლებისთვის და მათთვის ბიზნესში პრაქტიკული ჩვევების გადაცემისთვის ერთი ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნების და ინკუბატორში სწავლის წლიური ხარჯი სავარაუდოდ 60200+181200=241400 ლარი იქნება. ჩვენი რეკომენდაციით ეს თანხა მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან უნდა იყოს დაფარული. ამის გარდა, სწავლების პროგრამის დამთავრების შემდეგ ბიზნეს-ინკუბატორის დირექცია სწავლებაკურსგავლილ ბენეფიციარებს პარტნიორულ თანადგომას გაუწევს მიკრო ან მცირე საწარმოთა გახსნაში. მოცემულ შემთხვევაში იგი მათ უფასოდ შესთავაზებს რეკლამის გაკეთებას, ბუღალტრულ და აუდიტორულ მომსახურებას, მიაწოდებს ინფორმაციას ნედლეულის წყაროებზე, განუხორციელებს ბაზრის კვლევებს და ა.შ. ჩვენი ვარაუდით, ამ სამუშაოთა შესრულების ხარჯი ყველა 30 საწარმოზე ერთად წელიწადში 30 000 ლარი იქნება. ამ ხარჯის მხედველობაში მიღებით ერთი ინკუბატორის დაფუძნება-ამუშავების სავარაუდო ხარჯი 241400+30000=271400 იქნება. ასე რომ, მცხეთის მუნიციპალურ ხელისუფლებისთვის ჩვენს მიერ

წეროვანში გასახსნელად შეთავაზებული ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნება-ამუშავების ხარჯი ბენეფიციართა პირველი 30 კაციანი ნაკადისთვის შეადგენს 60 200+181 200+30 000=271 400 ლარს.

როცა პირველი 30-კაციანი ნაკადი დაამთავრებს ინკუბატორში ბიზნესის განათლების მიღებას, მაშინ ინკუბატორის სასწავლო სექტორის ფართობი (აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ა.შ.) გამოთავისუფლდება და ინკუბატორის დირექცია შეძლებს მიიღოს მეორე ნაკადი. ასე გაგრძელდება შემდეგაც, ვიდრე წეროვანში არ ამოიწურება ბიზნესის დაწყების შესწავლის მსურველთა ნაკადი. როცა ეს მომენტი დადგება, ინკუბატორი რომ უფუნქციოდ არ დარჩეს, მან ბიზნეს განათლების მიღების მსურველები უნდა მიიღოს წეროვნის ლტოლვილთა დასახლების გარედანაც-სხვადასხვა სოფლებიდან და სხვა რაიონებიდანაც კი. დაშორებული ადგილებიდან მოსულთათვის ინკუბატორშივე უნდა მოეწყოს კამპუსი. ეს მეტად მოხერხებულს გახდის მას და ბიზნესის სწავლის მსურველთა რიცხვიც გაიზრდება.

ცხრილი 10.

ინკუბატორისთვის საჭირო ძირითად და საბრუნავ საშუალებათა რაოდენობა და სავარაუდო დანახარჯი მათ შეძენაზე

	საჭირო რაოდენობა	ნლიური დანახარჯი (ლარი)
1. ბიზნეს-ინკუბატორის ფართის დაქირავება 1-ბენეფიციარზე 6 კვ. მეტრის ოდენობით	6*30=180კვმ	სავარაუდოდ 12000
2. წყლიანი ყოფილის შეძენა	------	სავარაუდოდ 5000
3. ელექტროენერგიის ბიბლიოთეკაში ელექტრონული კატალოგის მოწყობა	-------	სავარაუდოდ 3000
4. კომპიუტერების შეძენა და დაშენება	30	30 000
5. მეხრეში	15 ცალი	15*150=750
6. დაფები	3 ცალი	3*100=300
7. მაგიდები	10	10*15=150
8. სკამები	5	5*100=500
9.კარადები	5	5*100=500
10. ელეფონი (ანტენა)	1	500*1=500
11.საბრიფოცესო აპარატი	1	700
12. სკანერი	1	500
13. ვიდეო აპარატური	1	1000
14.მეორე ფასიანი ინვენტარი და საკანცელარიო საქონელი		2000
15. კომუნალური გადასახადი (წყლის, ელექტრო ენერგიის, დასუფთავების და სხვა)		სავარაუდოდ 3500
სულ ხარჯი		60200

ცხრილი 11.

ბიზნეს-ინკუბატორში დაქირავებულთა ხელფასი წელიწადში (ლარი)

	დასაბრუნებელი ხელფასი (თვეში)	ერთი წლის დასაბრუნებელი ხელფასი (ლარი)
1. ბიზნეს-ინკუბატორის ვებგვერდის მენეჯერი	1500	18000
2.მოამზადებლის და ლოგისტიკის აუსტენერი	1000	12000
3. მთავარი ბუღალტერი	1200	14400
4. ოფისის მენეჯერი	500	6000
5. პიარ-ოფიცერი	500	6000
6. სასწავლო სექტორის მერეკერი	1400	16800
7.მომსახურების სექტორის მერეკერი	1400	16800
სასწავლო სექტორის მუშაკები		
1. სასწავლო სექტორის მენეჯერი	1300	15600
2. სასწავლო კურსის „ბიზნესის ორგანიზება"-წამყვანი მასწავლებელი	1000	12000
3. სასწავლო კურსის - „მენეჯმენტი" წამყვანი მასწავლებელი	1000	12000
4.სასწავლო კურსის - „ბუღალტრული აღრიცხვის"- წამყვანი მასწავლებელი	1000	12000
5.სასწავლო კურსის „მარკეტინგის"-წამყვანი მასწავლებელი	1000	12000
6.სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების ადმინისტრირება" წამყვანი მასწავლებელი	1000	12000
7. სასწავლო კურსის „ადეკვატური საბუთების" წამყვანი მასწავლებელი	1000	12000
8.სასწავლო სექტორის მცველი	400	4800
9.კონსულტანტი (დაქირავება 3 თვით)	2000	6000
სულ წელიწადში		181200

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

რაც შეეხება წეროვანის ბიზნეს-ინკუბატორში ბიზნესის სწავლების პროგრამას, იგი ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ცხრილებში N 12 და N 13. ჩვენ ვთავაზობთ ინკუბატორის დირექციას ბენეფიციარებს ასწავლოს 6-საგანი: ბიზნესის საფუძვლები, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ბუღალტრული აღრიცხვა, სამეწარმეო სამართალი და საგადასახადო საქმე. აქედან პირველი სამი საგანი უნდა ისწავლებოდეს პირველ სემესტრში რომელიც მოიცავს 5 თვეს, ხოლო მეორე სამი საგანი-მეორე სემესტრში, რომელიც ასევე 5 თვით განვსაზღვრეთ. სასაწავლო პროგრამაში ჩვენ უპირატესობა მივეცით პრაქტიკულ სწავლებას და ორჯერ მეტი საათები მათ დავუთმეთ. ყოველი კვირის ორშაბათი და სამშაბათი დაეთმობა თეორიულ სწავლებას, ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი კი-პრაქტიკულ სწავლებას. პრაქტიკული სწავლება აუცილებლად უნდა განხორციელდეს რომელიმე საწარმოში. ასეთი საწარმოები მრავლად არის მცხეთის რაიონში და ვფიქრობთ, მცხეთის მუნიციპალური ხელისუფლებისთვის ამის ორგანიზება პრობლემა არ იქნება.

მცხეთის მუნიციპალური ხელისუფლების მიერ აღნიშნული ღონისძიებების გატარება იქნება კარგი მაგალითი საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც, რომ მათაც ადგილზე დააფუძნონ ბიზნეს-ინკუბატორები და ღარიბ მოსახლეობას პრაქტიკულად ასწავლონ საკუთარი ბიზნესის ამუშავება და ამ გზით სიღარიბის დაძლევა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, 30-ბენეფიციარზე გათვლილი ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნება-ამუშავების ხარჯები პირველი ორი წლის განმავლობაში (პირველი წელი სწავლება, მეორე წელი- მცირე და მიკრო საწარმოთა გახსნა) წეროვანის მაგალითზე 271400 ლარს შეადგენს. ეს არ არის მცირე თანხა, მაგრამ მისი ერთჯერადი დახარჯვით ეს 30 ბენეფიციარი უკვე მეორე წელს დასაქმდება და მათ და მათი ოჯახის წევრებს აღარ დასჭირდებათ სახელმწიფოს მხრიდან ლტოლვილთა შემწეობა, რომელიც ლტოლვილებისთვის ოჯახის ერთ წევრზე ანგარიშით 45 ლარს შეადგენს.

წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში საშუალო სიდიდის ოჯახი 4 წევრიანია. ანუ წეროვანის ბიზნეს-ინკუბატორში სასწავლებლად ამორჩეულ თითოეულ

ბენეფიციარის კმაყოფაზე საშუალოდ ოჯახის 3 წევრია. ეს ადამიანები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სახელმწიფოსგან იღებენ ერთ სულზე ანგარიშით 45 ლარ შემწეობას. 2008 წლის სექტემბრიდან დაწყებული 2020 წლის სექტემბრამდე ანუ 12 წლის განმავლობაში მათზე გაცემულია 777600 ლარი, ანუ თითქმის სამჯერ მეტი (777600:271400=2,9) , ვიდრე მცხეთის მუნიციპალიტეტს დაუჯდება ერთი ბიზნეს-ინკუბატორის ამუშავება და მისი ხარჯების დაფარვა ორი წლის განმავლობაში. ამასთან, თუ წეროვნის ლტოლვილების დასაქმებისთვის არ გატარდება ჩვენს მიერ შემოთავაზებული ღონისძიება, ან რაიმე სხვა მისი მსგავსი, მათზე ლტოლვილის შემწეობის გაცემას დროში ზღვარი არ ექნება. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ბიუჯეტის ხარჯების ეს ნაწილი, რომელსაც ლტოლვილების შემწეობები ეწოდება, აუცილებლად უნდა ჩანაცვლდეს. ამ თანხებით წეროვანში ბიზნეს-ინკუბატორი უნდა მოეწყოს სადაც ლტოლვილები ისწავლიან ბიზნესს და თვითონ შეიქმნიან სამუშაო ადგილებს. ეს ის ღონისძიება იქნება, რომლის განხორციელების შემდეგ თამამად ვიტყვით, რომ ბიზნეს ინკუბატორები დიდ როლს

ასრულებენ საქართველოს ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდაში.

ცხრილი 12

ხანმოკლე დაბეგვრიდან წეგრეგლის ბიზნეს-ინკუბატორში ფილანტროპული საგადასახადო თეორიული და პრაქტიკული ხარისხობრივი ჭრილში

| სწავლების საგნები | ანბანი იდნიერიდ | | |

ცხრილი 13

აკადემიური საათების განაწილება ნეროვნის მიზნეს-ინკუბატორში სასწავლო საგნებისა და კვირების მიხედვით, პირველ და მეორე სემესტრში

	I სემესტრი						II სემესტრი					
	ბიზნესის საფუძვლები		მენეჯმენტი		მარკეტინგი		ბუღალტრული აღრიცხვა		საქმიანობის სამართალი		საგადასახადო სფერო	
	ლექცია	პრაქტიკა	ლექცია	პრაქტიკა	ლექცია	პრაქტიკა	ლექცია	პრაქტიკა	ლექცია	პრაქტიკა	ლექცია	პრაქტიკა
ორშაბათი	2	-	2	-	-	-	2	-	2	-	-	-
სამშაბათი	-	-	-	-	2	-	-	-	-	-	2	-
ოთხშაბათი	-	3	-	-	-	-	-	4	-	-	-	-
ხუთშაბათი	-	-	-	4	-	-	-	-	-	3	-	-
პარასკევი	-	-	-	-	-	4	-	-	-	-	-	4

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

დასკვნა

მონოგრაფიული ნაშრომის-,,ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორები, როგორც სიღარიბის შემცირების საფუძველი“რომელშიც შევიდა ზოგადად ინკლუზიურ ზრდაზე და ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორებზე მეცნიერთა მსჯელობების შეფასება, საქართველოში და წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში უმუშევრების ცხოვრების დონის და სიღარიბის ანალიზი, ინკლუზიური ზრდის გზების წარმოჩენა, წეროვანის დასახლებაში კვლევის ჩატარება ახალგაზრდა ლტოლვილების მზაობაზე ბიზნეს-ინკუბატორში ბიზნეს-განათლების მისაღებად და სხვა, ვაკეთებთ შემდეგ დასკვნებს:

1. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა თანამედროვე მსოფლიოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოწვევაა, განსაკუთრებით ისეთი ღარიბი ქვეყნებისათვის როგორიც საქართველოა.

2. საერთაშორისო საზოგადოება ღრმადაა დარწმუნებული, რომ სიღარიბის დაძლევის და უთანასწორობის შემცირების ერთადერთი გზა ეკონომიკის ინკლუზიური განვითარებაა. მსოფლიოში ინკლუზიური ზრდისთვის შემუშავებული, ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები საუკეთესოდ მიესადაგება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დახმარების, ეკონომიკური აქტივობის გაზრდის და ქვეყნის მთლიანი, ყოვლისმომცველი კეთილდღეობის მიღწევის მიზნებს.

3. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად,

საჭიროა საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკის განვითარება და ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის ამოქმედება. ასევე უცხოური გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ კარგად შემუშავებული სამთავრობო პროგრამის საშუალებით შესაძლებელია ეფექტიანად მოქმედი ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის შექმნა.

4. საქართველოში ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის ამოქმედებისათვის, საჭიროა დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავება, სამთავრობო და ადგილობრივი სტრუქტურების მხარდაჭერა, და, როგორც მათი, ისე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა.

5. უკანასკნელ ათწლეულში, ინკლუზიური განვითარების შესახებ აქტიური საუბარია საქართველოში, თუმცა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ მიმართულებით არ გადადგმულა. ამ დრომდე საქართველოს ეკონომიკას ინკლუზიური ეკონომიკის სიკეთეები არ დასტყობია. ჩვენი აზრით , ამის მიზეზი ის არის, რომ არც ადრე და არც დღეს, საქართველოს მთავრობამ მასიურად ბიზნეს-ინკუბატორები არ დააფუძნა.

6. საქართველოში მოსახლეობის უმუშევრობა და სიღარიბე ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა და მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. არიან შეძლებულნიც და მდიდრებიც, თუმცა მოსახლეობის 70-80% ღარიბია. ერთი სიტყვით, დიდია ეკონომიკური უთანასწორობა. საქართველოში სოციალური უთანასწორობის ზრდა 1990-იანი წლებიდან დაიწყო. მას

შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა, მაგრამ ვითარება თითქმის არ შეცვლილა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით საქართველოს მოსახლეობის 19.5%-ი სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით ცხოვრობს, რაც იმას გულისხმობს რომ ამ ადამიანებს მინიმალურ საარსებო პირობებზეც კი არ მიუწვდებათ ხელი.

7. სიღარიბის დონის სხვა მაჩვენებელიც არსებობს, კერძოდ, ფარდობითი მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, თუ ქვეყანაში მედიანური მოხმარების მაჩვენებელთან შედარებით, მოსახლეობის რა ნაწილს აქვს 40 ან 60 პროცენტით ნაკლები შემოსავალი. აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით 2019 წლის მდგომარეობით მედიანური მოხმარების 60%-ზე ნაკლებს მოიხმარს მოსახლეობის - 20.3%, ხოლო 40%-ზე ნაკლებს კი- მოსახლეობის 7.5% -ი.

8. ცხოვრების დონის განმსაზღვრელი ჯინის კოეფიციენტის მიხედვითაც საქართველო ნამდვილად ვერ იამაყებს, მიუხედავად იმისა, რომ სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით გამოთვლილმა ჯინის კოეფიციენტმა 0.40 დან 0,37 - მდე დაიწია.

9. მძიმე მდგომარეობაა საქართველოს რეგიონების მოსახლეობაშიც. ქ.თბილისში უმუშევრობის დონე 17.7%-ია, ქვემო ქართლში-14.6%, იმერეთში-11.6%. მთელ რიგ რეგიონებში (კახეთი, შიდა ქართლი, გურია, იმერეთი, სამეგრელო) დაბალია მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) სულადობრივი მაჩვენებელიც საშუალო საქვეყნო მაჩვენებელთან შედარებით.

10. ჩვენს მიერ განხორციელებულ წეროვანის დევნილთა დასახლებაში გამოკითხული 80 ოჯახიდან 57 (72.5%), ოჯახი ღარიბი აღმოჩნდა, 6 (7,5%) ოჯახი ღატაკი, ხოლო 17 (20%) ოჯახი შედარებით უკეთ ცხოვრობს. ღატაკის კატეგორიას მიკუთვნებულ ოჯახებს არანაირი ფულადი შემოსავალი არ აქვთ. ღარიბებს მიკუთვნებული ოჯახები დღეში 2 დოლარს და მასზე ნაკლების მოიხმარენ. რაც შეეხება 17 ოჯახს, რომლებიც ღარიბები არ არიან. მათ დღეში ორ დოლარზე მეტი აქვთ შემოსავალი. თუმცა შეძლებულად ისინიც არ ითვლებიან. მათი შემოსავალი ემიგრაციაში მყოფი ოჯახის წევრის ხელფასია.

11. წეროვანის დასახლების გამოკვლეული ოჯახების ერთი წევრის თვიური შემოსავალი 395,8 ლარია. ამ მონაცემის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წეროვანის დასახლებაში მოსახლეობის 2018 წლის სულადობრივი შემოსავალი მცირედით აჭარბებს საქართველოს მოსახლეობის სულადობრივ თვიურ შემოსავალს, მაგრამ დღევანდელი ფასების პირობებში ამ შემოსავლის მსყიდველობითი უნარიანობა ძალზე დაბალია.

12. წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში შემოსავლების მიხედვით გაანგარიშებული ჯინის კოეფიციენტი არის 0.33. (საქართველოში 2018 წელს შესაბამისი მაჩვენებელი შეადგენდა 0.39-ს,) სამწუხაროდ, ამას იწვევს არა ლტოლვილთა მთელი დასახლების თანაბრად კარგად ცხოვრება, არამედ ყველას თანაბრად ღარიბად ცხოვრება.

13. ყოველივე ზემონათქვამი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ შემაჯამებელი დასკვნა იმის შესახებ, რომ წეროვანის მთელი მოსახლეობა ღარიბია და მათი სიღარიბიდან გამოსვლა მხოლოდ მათი დასაქმებით შეიძლება.

შექმნილი სიტუაციიდან გამოსასვლელად, როგორც მთლიანად საქართველოსთვის, ისე წეროვანის ლტოლვილთა დასახლებისთვის, ჩვენ შევიმუშავეთ ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების მასიური განვითარების მოდელი, სადაც დაუსაქმებელი და აქედან გამომდინარე, ღარიბი მოსახლეობა სახელმწიფოს ხარჯზე მიიღებს უფასო ბიზნეს-განათლებას და დაასაქმებს თავის თავს ან თავისივე გახსნილ საწარმოებში, ან სხვა საწარმოებში. ჩვენს მიერ შედგენილი ეს ჩარჩო-მოდელი საქართველოს მთავრობის მხრიდან მოითხოვს შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

1. საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს ბიზნეს-ინკუბატორების საკანონმდებლო- ნორმატიული დოკუმენტები. პირველ რიგში ასეთთა რიცხვში უნდა იყოს კანონი ,, მცირე ბიზნესის და ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების შესახებ“. ამ კანონის ამუშავებით გამოჩნდება მთავრობის ნება, რომ იგი თანახმაა საქართველოში დაფუძნდნენ და განვითარდნენ ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორები.

2. ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორების გასახსნელად საქართველოს მუნიციპალიტეტებმა და ქალაქების მერიებმა უნდა შეადგინონ სამუშაო პროგრამები და ჩამოაყალიბონ ამ პროგრამების შემსრულებლის

გუნდები. აღნიშნული გუნდები აღწერენ თავის სამოქმედო ზონის ღარიბ მოსახლეობას და შეადგენენ ინკუბატორში ბიზნეს-განათლების მიღების მსურველთა სიებს.

3. საქართველოს მეწარმეობის სააგენტომ უნდა შექმნას ინკლუზიურ ბიზნეს-ინკუბატორის დასაფუძნებელ დოკუმენტთა პაკეტი და გადაუგზავნის ყველა მუნიციპალიტეტს ან მერიას.

4. რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალიტეტი, მერია) შეადგენს ინკუბატორის ბიზნეს-გეგმას, ხარჯთაღრიცხვას, მოაწესრიგებს ინკუბატორის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, დაარეგისტრირებს ინკუბატორს და გაუხსნის მას ანგარიშს და დააკომპლექტებს მას კადრებით.

5. თავის მხრივ, ინკლუზიური ბიზნეს-ინკუატორის დირექცია 0,5 ან 1 წლიანი ვადით შეადგენს სასწავლო ჯგუფებს და სასწავლო კურიკუმულებს.

6. სწავლის პერიოდის გასვლის შემდეგ ინკუბატორის დირექცია სწავლება - კურსგავლილ და სწავლაში წარმატებულ ადამიანებს დაეხმარება მცირე საწარმოს გახსნაში.

ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორები პირველ რიგში საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში უნდა გაიხსნას. ასეთებია: რაჭა-ლეჩხუმი, გურია, ნაწილობრივ კახეთი და შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი (მათი ძირითადი პროფილი უნდა იყოს აგრობიზნესი). ამაზე წინ კი ლტოლვილთა დასახლებები, კერძოდ, წეროვანის ლტოლვილთა კომპაქტური დასახლება უნდა დავაყენოთ. ნაშრომში ჩვენ დავასაბუთეთ იმის აუცილებლობა, რომ

მცხეთის მუნიციპალიტეტმა წეროვანის დასახლებაში საკუთარი ბიუჯეტის ხარჯზე გახსნას ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორი. შედგენილი და წარმოდგენილი გვაქვს შესასრულებელ სამუშაოთა შესრულების გრაფიკი, ინკუბატორის მოწყობა და 30-ბენეფიციარის სწავლის და მათ მიერ მცირე საწარმო ამუშავების პირველი წლის ხარჯები, შერჩეული გვაქვს სასწავლო კურსები და საათების განაწილება, სასწავლო დატვირთვები და ა.შ.

მონოგრაფიული ნაშრომის დამამთავრებელ ნაწილში წეროვანის ბიზნეს-ინკუბატორის გახსნა-ამუშავების ხარჯები შევუდარეთ ბოლო 12 წლის მანძილზე წეროვანის მოსახლეობაზე ბიუჯეტიდან გაცემულ ლტოლვილთა შემწეობის ხარჯების ჯამს. ეს უკანასკნელი მასზე თითქმის 3-ჯერ მეტი აღმოჩნდა. თუ წეროვანში ინკუბატორს გავხსნით და იქ ლტოლვილებს ბიზნესს ვასწავლით, მათ ლტოლვილთა შემწეობები აღარ დასჭირდებათ, თვითონ დასაქმდებიან და ბიუჯეტს იქეთ გადაუხდიან სათანადო გადასახადებს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის შეთავაზებული ჩვენი ეს წინადადება სასურველია გამოიყენონ საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებმაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Klassen, ADB,S. (2010) measuringand monitoring inclusive growth- http://www.adb.org/sites/default/files/publication/28492/adb-wp12-measuring-inclusive-growh.pdf , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.05.2019

2. The World Bank - http://www.worldbank.org/en/search?q= Inclusive+growth, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.05.2019

3. Ranieri,R. (2013) After all, What is inclusive growth? – www.ipc-undp.org/pub/IPCOnePager188.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.05.2019

4. Deininger, K., and L. Squire (1998) "New ways of looking at old issues: inequality and growth," Journal of Development Economics 57, pp. 259-287

5. Lazare R, Rosen S, "RANK"Order tournaments as ontimum laber countracts, journal of politikal ekonomy, 1981. 89

6. Nelson J,, Ishikava E., .Geaneotens A., Developing inclucive business models, Harvard Kennedy school and international finance corporation, 2009.

7. საქართველოს მთავრობის დადგენილება №199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ", 2013 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი.

8. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., გამომცემლობა უნივერსალი, 2008 წ. გვ.511

9. ხმალაძე მ., სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, ნაწილი მეორე, თბ. 2015 ,გვ. 315

10. კბილაძე ქ. ,,უმუშევრობის სტატისტიკური ანალიზი საქართველოში“ თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,,გლობალიზაცია და სტატისტიკა”, შრომების კრებული 2014 წ.

11. გელაშვილი ს., შონია ზ.,. ქინქლაძე რ, სოციალური სტატისტიკა, თბ,.2013წ, 107

12. მესხია ი., გაბელაშვილი კ. _ მოსახლეობის ცხოვრების დონე, თბ., 2004, გვ. 14

13. აბესაძე რ. _ მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სიღარიბის ზოგიერთი სოციალურეკონომიკური ასპექტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული III, თბ., 2010, გვ. 10

14. E.skaramuzzi, incubators in developing countries: status and development perspeqtives. The world bank, Washington DC,2002, 4

15. ბერიძე ე., ინკლუზიურობა: ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ფაქტორი, ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი, 2017, #1, 63,69

16. ლაზვიაშვილი ლ. ინკლუზიური ეკონომიკური განვითარების მახასიათებლები საქართველოში, ჟურნ. „ეკონომისტი“ #4, 2017, 166.

17. მაჭავარიანი შ. საკითხები საქართველოში ბიზნეს ინკუბატორების ქსელის ჩამოსაყალიბებლად, კავკასიის

უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომების კრებული, 2012, გვ 20

18. ბალიაშვილი ე., ღუდუშაური ზ. ბიზნეს ინკუბატორების ქსელის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი,2004,გვ.10

19. სამადაშვილი უ. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და ადამიანური კაპიტალი. ჟურნ. ეკონომიკა #5-6, 2014. 15

20. ხარხელი მ. და ქიმაძე ა. მცირე მეწარმეობა - ეკონომიკის ინკლუზიური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის ფაქტორი საქართველოში. ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი, #4, 2018. 88.

21. Klassen, ADB,S. (2010) measuringand monitoring inclusive growth- http://www.adb.org/sites/default/files/publication/28492/adb-wp12-measuring-inclusive-growh.pdf , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.05.2019

22. რა არის ინკლუზიური ზრდა? - https://idfi.ge/ge/what-is-inclusive-growth, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.05.2019

23. TheWorldBank- http://www.worldbank.org/en/search?q=Inclusive+growth, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

24. IMF - საერთაშორისო სავალუტო ფონდი

25. J. D. Ostry and others . 2014. “Redistribution, Inequality and Growth”. IMF

26. WB. 2017, Global monitoring Report, development Goals in an Era of demographic change.

27. ILO(2016) world employment social outlook. - www.ilo.org/wcmsp5/groups/publicdgreports/---dcomm/---publ/dokuments/publication/wcms_443480.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

28. Palavinel, UNDP,T (2011) consultation on conceptualizating inclusive growth – http://www.undo.org ,უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

29. Europe Comission - https://ec.europa.eu/commission/index_en , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

30. Wennberg, Ehrling (2014) Inclusive growth in europe.

31. WB. Group (2018) taking in inequality - http://openknowledge.worldbank.org/bitsmean/handle/10985/25078/9781464809583.pdf , უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

32. Alter, S.K.Social enterprise tipology.virtue ventures LLC.Nov27.2007

33. შაბურიშვილი შ. სოციალური მეწარმეობის ფენომენი და ინკლუზიური ბიზნესის მოდელები. ეკონომიკა და ბიზნესი, 2012, მაისი-ივნისი, N3, გვ.101-112

34. BUSINES SOLUTIONS TO POVERTY – how inclusive business models create opportunitirs for all in emerging Europe and central asia, united natrions development programme, 15-16

35. J.Nelson, E.Ishikava, A.Geaneotens, Developing inclucive business models, Harvard Kennedy school and international finance corporation, 2009.

36. Zhuang ,ADB, J, (2010) Poverty, inequality and inclusive Growth in Asia: Meusurement, Policy Issues, and Country Studies.

37. https://www.worldbank.org/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

38. Revallion , 2. (2004) "pro-poor growth-a-primer, world bank."

39. სამადაშვილი უ. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა და ადამიანური კაპიტალი, ეკონომიკა #5-6, 2014,18

40. სამეულსონი პ. ,ნორდჰაუსი ვ. ეკონომიკსი.თბ, 2005. 133

41. ბალცერობიჩი ლ. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში , 2002, 118

42. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, თბ,2013

43. IMF.(2014) Fiscal Policy and income inequaliti

44. Slater M.a(2014) social proteqtion and growth

45. Revallion , 2. (2004) "pro-poor growth-a-primer, world bank."

46. https://www.worldbank.org/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

47. World Economic Forum - the inclusive growth and development report 2017, 11

48. WEF: ინკლუზიური განვითარებით საქართველო განვითარებად ქვეყნებში 32-ე ადგილზეა - http://forbes.ge/news/3450/inkluziuri-ganviTarebiT-saqarTvelo-32e-adgilzea, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

49. https://forbes.ge/news/3458/inkluziuri, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

50. მაჭავარიანი შ. საკითხები საქართველოში ბიზნეს ინკუბატორების ქსელის ჩამოსაყალიბებლად, კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომების კრებული, 2012, გვ. 19

51. NBIA - ამერიკის შეერთებული შტატების ბიზნეს-ინკუბატორების ეროვნული ასოციაციის განმარტებით

52. SPICA. Categories of business incubators/teqnology parks – http://www.spica-directory.net/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

53. History of incubators – http://professionalpractice.asme.org /Entrepreneurial/Incubators/History_incubators.cfm უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

54. Business inkubators in france – http://www.nbdn-bg.org/en/business-incubation.html უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

55. აწარმოე საქართველოში - http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

56. https://www.geostat.ge/ka, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

57. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო - https://gita.gov.ge/geo/static/139, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

58. ბალიაშვილი ე., ღუდუშაური ზ., კაციტაძე ნ., კულიანი ი., ჩუბინიძე მ., აჭარაში ბიზნეს ინკუბატორების ქსელის განვითარების კონცეფცია. თბ.2009

59. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 10.07.2019

60. Robert J. Barro- Inequality and growth in a panel of countries. 1999

61. სწრაფად მზარდი ეკონომიკების ათეული - https://forbes.ge/news/5129/swrafad-mzardi-ekonomikebis-aTeuli, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.05.2020

62. Piketti T. Capital in tventy-first century, Cambridge, masachusetss, Harvard university press, 2014

63. "საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შუალედური დოკუმენტი", მთავრობის გაბაცხადი 2001.

64. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმება და უმუშევრობა საქართელოში 2019 წელი III კვარტალი - https://www.geostat.ge/media/27855/dasaqmeba-da-umushevroba-19.11.2019-%28geo%29.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.05.2020

65. საქსტატი: 2018 წელს საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები შემცირდა - https://forbes.ge/news/6338/saqarTveloSi-siRaribis-maCveneblebi-Semcirda, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.05.2020

66. შემოსავლების სამსახური - https://www.rs.ge//, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.05.2020

67. თვეში 5000 ლარზე მაღალი ხელფასი, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 0.5%-ს აქვს - https://www.bm.ge/ka/article/tveshi-5000-larze-magali-xelfasi-saqartvelos-mosaxleobis-mxolod-05-s-aqvs/36426, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.05.2020

68. აბესაძე რ. _ მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სიღარიბის ზოგიერთი სოციალურეკონომიკური ასპექტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული III, თბ., 2010, გვ. 10

69. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.05.2020

70. ღუდუშაური ზ. , ბალიაშვილი ე. , სულაძე ლ. , და სხვები მეწარმეობა მცირე წარმოება:თეორია და პრაქტიკა, თბ., 2004, გვ 133

71. ბიზნეს სექტორი საქართველოში, თბ. , 2019, გვ.119

72. კაკულია მ. კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები საქართველოს, ჟ. ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XII, N2, 2020, გვ.48

73. ჯიბუტი მ. პოლიტეკონომიკის ვირუსული გაკვეთილები შ. ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. XII N2, 2020, გვ. 41.

74. პირველი ე. საქართველოს ეკონომიკური მოდელის დარგობრივი ანალიზი, ჟ, ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, N 2 , 2020, გვ. 115-116.

75. კოღუაშვილი პ. რა უნდა გავიზიაროთ ამერიკული გამოცდილებიდან , ჟ. ,,ეკონიმიკა და ბიზნესი“, ტ VIII,

76. საქართველოს ინოვაციური განვითარების კონცეფცია, თბ. პარტია ,, ქართული ოცნება“, 2012წ, მაისი, გვ. 8

77. ღუდუშაური ზ. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას ადამ სმიტის უჩინარი ხელი“ კი არა, ხელისუფლების მარჯვე ხელი სჭირდება, ჟ. ,,ახალი ეკონომისტი“, N 1, 206. გვ 9

78. საქართველოს შომისა და სოციალური დაცვის სფეროების განვითარების ხედვა 2030 წლისთვის, საქართველოს პარლამენტი, 2017, გვ. 9-10

79. ქიმაძე ა. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები მოსახლეობის სიღარიბის გლობალური გამოწვევების შუქზე, დისერტაცია, 2019

80. კახნიაშვილი ნ. სიღარიბის დაძლევის ფინანსური ასპექტები, დისერტაცია, თბ., 2016

81. გაბიძაშვილი ბ. სიღარიბის პორტრეტი საქართველოში, თბ., 2006

82. ვანიშვილი მ., გიგუაშვილი გ. სოციალური პოლიტიკა, თბ., 2010

83. მესხია ი.სიღარიბის დაძლევა, როგორც სოციალური უსაფრთხოების მთავარი ინდიკატორი, ჟ. ,,სოციალური ეკონომიკა“,N5, 2000

84. გაბიძაშვილი ბ., კირვალიძე ზ. სიღარიბე საქართველოში, თბ.,2003

85. მოსახლეობის ცხოვრების დონის ანალიზისა და რეგულაციების საკითხები საქართველოში, დისერტაცია, 2003

86. ხიზანიშვილი ნ. ცხოვრების დონე-საზოგადოების განვითარების მაჩვენებელი, ჟ ,, ეკონომიკა“, 2009, N 7

87. ღუდუშაური ზ., კაციტაძე ნ. ვაშენებთ კი საქართველოში ეკონომიკის სოციალურ მოდელს, ჟ. ,,ეკონომიკა“ N 7, 2009

88. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო ეკონომიკის ჩიხში, თბ., 2009

89. ჩიქავა ლ. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში, თბ., 2012

90. ENa Dabla Norris, Kalpana Kochhen. Causes and Consequences of Income Inequality; A Global Denspective. International Monetary Fund, 2015

91. საქართველოში ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის შემცირების სტრატეგია, თბ., 2002

92. ჯაფარიძე დ. საქართველოში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ანალიზი, თბ., 2012

93. ღუდუშაური ზ., კაციტაძე ნ., ბალიაშვილი ე. სამუშაო ძალის მიგრაცია გლობალიზაციის პირობებში, ჟ. ,,ეკონომიკა“ , N 2, 2009

94. გველესიანი რ., ერქომაიშვილი გ. სოციალური მეწარმეობის განვითარება საქართველოში, თბ., 2017

95. ხადური ნ.ინკლუზიური ზრდის ფაქტორი და საქართველოს წინაშე მდგომი გამოწვევები, ჟ ,, ეკონომისტი“, 2018 N...

96. პაპაშვილი გ. ბიზნესის განვითარების გავლენა მოსახლეობის შემოსავლების განაწილებაზე საქართველოში,დისერტაცია, 2018

97. სამთავრობო პროგრამა-,,თავისუფლება,სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, 2016

98. ღანიაშვილი მ. მსოფლიოში ყოველი მე-16 უმუშევარი იქნება, ჟ. ,,საქართველოს ეკონომიკა“, N7-8,2012

99. UBDP-ს 2018 წლის მოხსნებება- სიღარიბის დაძლევის შესახებ მსოფლიოში.

100. ასათაინი რ. საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები და გენერალური სტრატეგია, ჟ. ,,ეკონომისტი“, 2017, ტომი XIII, N 3

101. ასათიანი რ. კეთილდღეობის ქვეყნების სახელმწიფო მოდელები, ჟ. ,,ეკონომისტი“, ტომი XII, N1, 2017

102. Kenchoshvili M. Inclusive Crowth-Tne Qualilative Innoration of Georgian Social and Economic Development Strategy, ჟ. ,, ეკონომიკა და ბიზნესი“, 2017, N2

103. S. Mian, Wadid Lamine, Alain Fayolle, Technology Business Incubation, 2016

104. Innovative entrepreneurship by startups and spin-offs in the Crech Republic, 2014

105. ღუდუშაური ზ., მესხიშვილი დ., ბიზნეს-ინკუბატორები-როგორ შევძლოთ საქართველოში მათი

ფორმირება და განვითარება, ჟ. ,,ბიზნესი და კანონმდებლობა“, N3, 2004

106. ღუდუშაური ზ., კერძო მეწარმეობის განვითარება- საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის ძირითადი გზა, ჟ. ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“, N 10-12, 2001

107. ღუდუშაური ზ., ბალიაშილი ე., თბილისში მცირე ბიზნესის განვითარებას მუნიციპალიტეტის აქტიური თანადგომა სჭირდება, ჟ. ,,ეკონომიკა“, N9-10, 2003.

108. A Companative study of business incubators and tecnopark in the EU, 2010.

109. Costa-David J.,Malann J., Lalkoka R. Inproving business incubator nerformance througt benchmarking and evalution, 2002.

110. Barrines and Potential challenges in the development or social business in the Crech Republic, 2017.

111. Era Dabla Norris, kaplana Kochhar. Causes and consequences of income inequality: A Global Perspective. International Monetary fund, June, 2015.

112. Deininger, K., and L. Squire (1998) “New ways of looking at old issues: inequality and growth,” Journal of Development Economics.

113. J.Nelson, E.Ishikava, A.Geaneotens, Developing inclucive business models, Harvard Kennedy school and international finance corporation, 2009.

ავტორის მოკლე ბიოგრაფია

თათია ბილისეიშვილი

ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

დაიბადა საქართველოში, ქალაქ თბილისში 1990 წ. 1996-2007 წ.წ. სწავლობდა ქალაქ თბილისი 124 საჯარო სკოლაში. 2007-2011 წ.წ. სწავლობდა ი. ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში. 2015-2017 წ.წ. მიიღო მაგისტრის ხარისხი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2020 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე - ,,ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის განვითარება, როგორც მოსახლეობის სიღარიბის შემცირების საფუძველი“ და მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

სამუშაო გამოცდილება

2013-2016 წ.წ. ცენტრალიზებული ბექ-ოფისის პროდუქტების რეგისტრაციის მენეჯერი-თიბისი ბანკი, 2017-2019 ცენტრალიზებული ბექ-ოფისის პროდუქტების რეგისტრაციის უფროსი მენეჯერი-თიბისი ბანკი, სექტემბერი 2019-დღემდე ოპერაციების ექსპერტი-თიბისი ბანკი.

ნაშრომები, პუბლიკაციები: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - მეცნიერება, განათლება, ინოვაცია: აქტუალური საკითხები და თანამედროვე ასპექტები: „Ways to achieve inclusive growht”; incluzive development in Georgia as a Way Of improving Country’s economical condition- international scientific conference; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე

გამოწვევები: ,,საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების უთანასწორობა და ცხოვრების დონე“; The supply chain management processes- international multidisciplinary Scientific conference- ,,modern world is facing new challenges” larnaca.; . ,,იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურეკონომიკური მდგომარეობა და ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორის დახმარებით ამ მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოში“ - ჟურნალი ,,სოციალური ეკონომიკა“; ,,ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების დახმარებით გამყარებული ეკონომიკა (ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი).” - ჟურნალი ,, ეკონომიკა და ფინანსები”; ,, ინკლუზიური ბიზნეს ინკუბატორი, როგორც ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა“- ჟურნალი ,, ეკონომიკა და ფინანსები“; ,,სიღარიბის და უმუშევრობის დონე საქართველოში, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება ინკლუზიური ბიზნეს ინკუბატორების დახმარებით“- ჟურნალი ,,განათლება“; „რეგიონალური რისკის სოციალურ-პოლიტიკური და საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლები“ - ჟურნალი „ათინათი“; ,,ტურიზმის კვლევის მეთოდოლოგიის საკვანძო ელემენტები“- ჟურნალი- Economics and Finance”.

შინაარსი

შესავალი ----------13
თავი 1. ბიზნეს ინკუბატორების არსი და მათი როლი ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდაში
1.1. ეკონომიკის (მ.შ. ბიზნესის) ინკლუზიური ზრდის დახასიათება.----------22
1.2. ინკლუზიური ზრდის მიღწევის გზები ---------- 33
1.3.მეცნიერები ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების და სიღარიბის დაძლევაში მათი როლის შესახებ ----------38
პირველი თავის დასკვნა ----------46
თავი 2. საქართველოში (მ.შ. წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში) მოსახლეობის სიღარიბის და ცხოვრების დონის ანალიზი.
2.1. უმუშევრობის და სიღარიბის მდგომარეობა და მათი ტენდენციები საქართველოში ----------48
2.2.ცხოვრების დონე და შემოსავლების უთანასწორო განაწილება საქართველოში ----------54
2.3. წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში მოსახლეობის ცხოვრების დონის და ახალგაზრდა ლტოლვილების ბიზნეს-ინკუბატორში სწავლებისთვის მზადყოფნის გამოკვლევა ----------65
მეორე თავის დასკვნა ----------75
თავი 3. საქართველოში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების პერსპექტივები
3.1. საქართველოს რეგიონებში ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორების განვითარების არსებული ჩარჩო - მოდელის შეფასება და ტრანსფორმირება ----------78
3.2. წეროვანის ლტოლვილთა დასახლებაში ბიზნეს-ინკუბატორის დაფუძნება-ამუშავების კონცეფციის შემუშავება ----------102
დასკვნა ---------- 116
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ----------123
ავტორების მოკლე ბიოგრაფია ----------135

შენიშვნებისთვის

Tatia Biliseishvili

Inclusive Business-Incubators as a Basis for Poverty Reduction

Monograph

ტექნიკური რედაქტორი **ლევან თოთაძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **გურამ შავლოხაშვილი**
სტილისტ-კორექტორი **მარიამ დეკანოსიძე**

ტირაჟი 100 ეგზემპლარი
გამომცემლობა „ეკგბი“

---

t.biliseishvili@seu.edu.ge